საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლიდან

№301 (12 672) 23 დეკემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

MARCA

as



Héctor Cúper, primer candidato para el banquillo del Almería

# კუპერი ნაკრებიდან მიდის?



ოხერი რამეა ეჭვი - რალაცის არ გჯერა, მაგრამ მაინც გრგლნის. გუშინ წამყვანი ევროპული სააგენტოები, ესპანურების თამადობით, ერთხმად ამტკიცებდნენ - პრიმერადივიზიონური „ალმერიის" ვაკანტურ სამწვრთნელო პოსტზე მთავარი კანდიდატი ექტორ კუპერიაო.

კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო, ნათქვამია. დამაფიქრებელია, რომ დღესდღეობით უმუშევარ და საკმაოდ სახელიან ალტერნატივებს შორის წინა პლანზე, რატომღაც, არის კუპერი, რომელიც საქართველოს ნაკრებს უდგას სათავეში. და კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ფედერაციის არც ერთ მაღალჩინოსანს გუშინ კუპერისთვის არც დაურეკავს და ცალყბად მაინც არ უკითხავს - რა ხდება „ალმერიასთან" დაკავშირებით?

თემის ირგვლივ » 2

## ისელიძის დაბრუნება



ინტერვიუ ვლადიმერ ისელიძესთან

» 11

## ნანა ძაგნიძის ტრიუმფი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2008 წელი ნანა ძაგნიძისა იყო. საჭადრაკო ოლიმპიადაზე ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, აგერ, გუშინ ნანამ ახალ გამარჯვებას მიაღწია – ჯერ ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილის თასი მოიგო, მერე სუპერთასზე ვაჟთა შორის ტიგრან პეტროსიანის მემორიალში გამარჯვებულ გიორგი ბაღათუროვს სძლია და წლევანდელ მონაგარს ეს ძვირფასი ჯილდოც შემატა. ვულოცავთ!

დაწვრილებით მომდევნო ნომერში.



ნიკა რურუა აჯილდოებს ნანა ძაგნიძეს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ამბავი ესპანეთიდან

# ალმერია კუპერს გვართმევს?

## საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ნოემბერში მექსიკელებიც შეეხმიანნენ

ეს სენსაციური ინფორმაცია ესპანურ მედიაში პირველად „მარკამ“ გაავრცელა, რომელსაც სხვა წყაროებიც აჰყვნენ. გუშინ კი ანდალუსიურმა გამოცემა „დიარიო დე სევილიამ“ ამ ამბავს მთელი სტატია მიუძღვნა სათაურით - „ექტორ რაულ კუპერი ალმერიაში არკონადას შეცვლის“. დიახ, პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ მაჩანჩალას საქართველოს ნაკრებისთვის არგენტინელი თავკაცის წართმევა სურს...



ექტორ კუპერი

გუშინ „ალმერიის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ თანამშრომლობას წყვეტს მთავარ მწვრთნელ **გონსალო არკონადასთან.** მოკრძალებულმა ანდალუსიურმა კლუბმა ბოლო ტურში სტუმრად 0:1 დათმო „სპორტინგთან“, თუმცა, „მარკას“ ცნობით, კლუბის პრეზიდენტმა **ალფონსო გარსია გაბარონმა** ასტურიაში გამგზავრებამდე აუწყა არკონადას, რომ „ესტადიო დელ მედიტერანეაზე“ გუნდის გამოყვანა აღარ მოუწევდა. „მარკას“ მტკიცებით, გაბარონს უკვე შეგულებული ჰყავს რამდენიმე სავარაუდო კანდიდატურა, მათ შორის კი ყველაზე სახელოვანი ექტორ კუპერია. „ალმერიას“ კარგი სტარტი ჰქონდა, თუმცა მერე და მერე კლუბმა დათმო პოზიციები და ახლა მე-16 ადგილზეა.

„დიარიო დე სევილია“ მოგვითხრობს: „კანდიდატთა შორის არიან ვიქტორ ფერნანდესი, დიეგო სიმეონე, ჯანი დე ბიაზი... მაგრამ არგენტინელ ექტორ კუპერს ყველაზე დიდი შანსი აქვს საიმისოდ, რათა ვაკანტურ პოსტზე აღმოჩნდეს. 53 წლის კუპერს ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერა აქვს გავლილი. სწორედ ის შეარჩია კლუბის პრეზიდენტმა არკონადას სანაცვლოდ. ამჟამად, კუპერი საქართველოს ნაკრების თავკაცია. დაახლოებით ერთი კვირა გავიდა მას მერე, რაც „ალმერიის“ ხელმძღვანელობას მასთან პირველი კონტაქტი ჰქონდა. რა თქმა უნდა, კლუბს შემუშავებული აქვს გეგმა B-ც, რომლის მიხედვითაც მწვრთნელობის შანსი ვიქტორ ფერნანდესს, დიეგო სიმეონეს, ჯანი დე ბიაზის ანდაც ხავიერ ირურეტას აქვთ. კუპერის უპირატესობა ის არის, რომ დასახელებულ კანდიდატებს შორის ის პრიმერას ყველაზე უკეთ იცნობს. მას უმუშავია „ვალენსიაში“, „მალიორკასა“ და „ბეტისში“. კუპერის სახელი ხშირად ჩნდება მედიაში, მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს ნაკრების მწვრთნელია. ერთი თვის წინ მას სამუშაოს მექსიკური „ჩივასიც“ სთავაზობდა. ასე რომ, ექტორ კუპერს შესანიშნავი შანსი აქვს, შარშან, მე-14 ტურში, „ბეტისში“ შეწყვეტილი ესპანური კარიერა განაახლოს“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ფედერაციას კუპერთან არ უსაუბრია...

ესპანურ პრესაში **ექტორ კუპერსა** და „ალმერიაზე“ მონათხრობი ამბავი ვერ გამოდგა პერსპექტიული, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ფეხბურთის ფედერაციაში. იშვიათად, მაგრამ მაინც მომხდარა, ამა თუ იმ მწვრთნელს რომელიმე კლუბის სასარგებლოდ ეროვნულ ნაკრებთან კონტრაქტი გაეწყვიტოს. ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება - წინა შესარჩევ ციკლში ჩვენს მეტოქე შოტლანდიას თავიდან **უოლტერ სმიტი** თავკაცობდა, მაგრამ მერე „რეინჯერსმა“ შესთავაზა სამსახური. სმიტი გლაზგოში გადაბარგდა. „რეინჯერსმა“ მისი ტრანსფერი შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციისგან გამოისყიდა...

„ალმერია“ არ არის იმ დონის კლუბი, რომ სახელიანმა მწვრთნელმა ევროპულ ნაკრებს ანაცვალოს. ნაკლებად სავარაუდოა, ანდალუსიურმა კლუბმა კუპერს იმაზე ბევრად მეტი ხელფასი შესთავაზოს, რასაც საქართველოს ნაკრების გაწვრთნაში იღებს.

„ეს აბსურდია, თუმც უნდა გავარკვიოთ, რატომ გაჩნდა ასეთი ინფორმაცია“ ,- გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ**, როცა ამ საკითხზე კომენტარისთვის შევეხმიანეთ.

ქავთარაძეს მოგვიანებით კიდევ დავუკავშირდით. მანამდე კი ის ვკითხეთ, ფედერაცია ნაკრების მწვრთნელს ჯამაგირს ხომ არ უგვიანებს.

„არანაირი დაგვიანება, კუპერს ნოემბრის ჩათვლით აქვს ხელფასი აღებული. მას ჩვენს ნაკრებში გარკვეული სამუშაოები აქვს დაგეგმილი და წარმოუდგენელია, ამ ეტაპზე სხვაგან წავიდეს“ - გვამცნო ქავთარაძემ.

ფედერაციაში, თურმე, „ალმერიაზეც“ ჰქონიათ ინფორმაცია - ანდალუსიელებს მწვრთნელად „რეალიდან“ წასული **ბერნდ შუსტერი** მიჰყავთო.

ფედერაციაში მაინც გადაამოწმეს, რამდენად სერიოზული იყო „ალმერიაში“ კუპერის შესაძლო მისვლა: „მას ეს კლუბი ადრეც ესაუბრებოდა, მაგრამ ახლა ეს საკითხი აღარ დგას დღის წესრიგში. პირადად კუპერთან არ გვილაპარაკია, თუმც მისი პოზიცია ერთხელაც დადასტურდა - ის არანაირ წინადადებას არ განიხილავს და აგრძელებს მუშაობას საქართველოს ნაკრებში“.

**დავით თავართქილაძე**

# აგენტი: კუპერი საქართველოს არ დატოვებს

ძნელი დასაჯერებელია, რომ ევროპის ერთ-ერთი ეროვნული გუნდის თავკაცმა ნაკრები არაფრით გამორჩეულ კლუბზე (თუნდაც ესპანურზე) გაცვალოს, მაგრამ, როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ბუნებრივია, მხოლოდ **გოგი ქავთარაძის** კომენტარით ვერ დავკმაყოფილდებოდით და ფედერაციის პრეზიდენტთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. თუმცა გერმანიაში მყოფ **ნოდარ ახალკაცთან** გასაუბრება ვერა და ვერ მოხერხდა - მისი მობილური დუმდა.

როგორც გავიგეთ, თბილისიდან გამგზავრებამდე კუპერი ახალკაცთან ერთად ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** ესაუბრა. ბოკერიას გუშინ შევეხმიანეთ.

„დიახ, კუპერს თბილისიდან გამგზავრების წინ, 16 დეკემბერს ვესაუბრე. 2009 წლის სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით მან ბევრი რამ ჩამანიშნინა. ბუნებრივია, 11 თებერვალს ირლანდიასთან სტუმრად გასამართ მატჩსაც შევეხეთ. კუპერმა მითხრა, რომ თბილისში 14 იანვარს დაბრუნდება. ასე რომ, არანაირი „ალმერია“, ნამდვილად ვიცი - კუპერი ჩვენი ნაკრების დატოვებას არ აპირებს. ისიც გადაწყვეტილია, რომ ნაკრები დუბლინში 6 თებერვალს გაემგზავრება“ - გვითხრა ბოკერიამ.

დაახლოებით ანალოგიური კომენტარი გააკეთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემაც:**

„ნებისმიერ კლუბს შეუძლია, ესა თუ ის მწვრთნელი, თუნდაც კონტრაქტიანი, კანდიდატებს შორის განიხილოს. დარწმუნებული ვარ, კუპერი საქართველოს ნაკრებიდან წასვლას არა თუ არ აპირებს, ამაზე არც კი უფიქრია. მას ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი აკავშირებს, რაც გარკვეულ ვალდებულებებს ითვალისწინებს. არ მგონია, არგენტინელი მწვრთნელი ამაზე არ ფიქრობდეს“.

გუშინვე დავუკავშირდით აგენტ **აკა ტონიას**, რომელიც კუპერის წარმომადგენელ **ალეხანდრო კამანიოს** ქართველი პარტნიორია. აი, ტონიას კომენტარიც:

„კამანიოს ვესაუბრე. როგორც მან მითხრა, ის დღესაც (გუშინ - ავტ.) ელაპარაკა კუპერს. ჩვენი ნაკრების თავკაცი ბუენოს აირესშია. კამანიომ დამიდასტურა - „ალმერია“ და სხვა ესპანური კლუბები მართლაც განიხილავენ კუპერის კანდიდატურას, თუმცა ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოქმედი კონტრაქტის ერთგულია და მის ამოწურვამდე არსად წასვლას არ აპირებსო“.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი




იური სიომინი და მალხაზ ასათიანი

# სიომინმა, ასათიანი მჭირდებაო...

მაშ ასე, მცირეხნიანი გაურკვევლობის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა **იური სიომინმა მალხაზ ასათიანის** გამოსყიდვა გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, ასათიანის კონტრაქტი „ლოკომოტივს“ ეკუთვნის. სექტემბერში რკინიგზელებმა ის არენდით კიევის „დინამოში“ გაუშვეს. საქართველოს ნაკრების მცველმა უკრაინაში ასე თუ ისე აღიდგინა ფორმა, „დინამოს“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე მატჩიც გამართა და სიომინი დარწმუნდა, რომ ქართველი ისევ საჭირო კაცია...

კიეველებმა არენდა ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლებით გააფორმეს. ცოტა ხნის წინ იყო ლაპარაკი, თითქოს კიეველები ასათიანის დატოვებას აღარ აპირებდნენ. მალხაზი მოსკოვში გაემგზავრა და საკუთარი მომავლის გარკვევას „ლოკომოტივთან“ მოლაპარაკებებით შეეცადა. სიომინის განცხადებამ ყველა ვარაუდს ხაზი გადაუსვა - კიევის „დინამო“ მზადაა, კონტრაქტი გამოისყიდოს, თუმცა საკითხი ჯერაც მოსაგვარებელია.

„გასარკვევია ფინანსური საკითხები. ასათიანის ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებებია საჭირო“ - განაცხადა სიომინმა.

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტი **ნიკოლაი ნაუმოვი** კი თანახმაა, რომ ქართველი მცველი დათმოს: „თუკი ასათიანი, რომელმაც „ლოკომოტივს“ წლები შეალია, კლუბის დატოვებას მოისურვებს, წინააღმდეგობას არ გავუწევთ. თანხას, რომელსაც მის სანაცვლოდ მოვითხოვთ, მე სიმბოლურს ვუწოდებდი“ - ამბობს რკინიგზელთა ბოსი.

„ლოკომოტივის“ უფროსობა ადრეც აცხადებდა, რომ მალხაზს წასვლაში ხელს არ შეუშლიდა, მაგრამ „შალკეს“ 10 მილიონი დოლარი (დაახლოებით 7 მილიონი ევრო) მოსთხოვეს და ასათიანის გერმანული ტრანსფერი ჩაშალეს. დიახ, მას მაშინ ასეთი ფასი ჰქონდა. ახლა კი უცნობია, რას მოითხოვს რუსული კლუბის პრეზიდენტი და რამდენია ნაუმოვისთვის „სიმბოლური ფასი“?

თავად ასათიანმა „ლელოსთან“ საუბარში იმედი გამოთქვა, რომ მოსკოველები პირობას შეასრულებენ.

**- მალხაზ, სიომინს თურმე შენი ტრანსფერის გამოსყიდვა სურს. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ნაუმოვმაც თქვა, სიმბოლურ თანხას მოვითხოვთო...**

- სწორედ ახლა ირკვევა, რა თანხაზე შეთანხმდებიან. ვფიქრობ, ფინანსური საკითხი პრობლემა არ გახდება. ნაუმოვს მეც ვესაუბრე, იგივე მითხრა და დარწმუნებული ვარ, სიტყვას შეასრულებს. ბავშვი არ არის, სოლიდური კლუბის პრეზიდენტია და იცის, რასაც ამბობს.

**- კიევის „დინამოს“ რამდენწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურს?**

- ჯერ ამ თემაზე არ გვისაუბრია. როცა „ლოკომოტივსა“ და „დინამოს“ შორის ფინანსური საკითხი გაირკვევა, ჩემს პირად კონტრაქტზე მერე დავილაპარაკებთ.

**- სხვა ვარიანტი არ გაქვს?**

- ჯერ არა. თუკი რომელიმე კლუბი დაინტერესდება, ამას აუცილებლად გავიგებ.

**მერაბ მამულაშვილი**

ბენდელას თასი

# ჯერ მხოლოდ ორმა გაინაღდა

მინი-ფეხბურთის ტრადიციულ ტურნირ „ბენდელას თასზე“ გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ჯგუფებში მდგომარეობა ასეთია:

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სეუ ვეტერანები-სამეგრელო | 6:3 |
| GMCS-დუშეთი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუშეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| GMCS | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| სეუ ვეტერანები | 2 | 1 | 0 | 1 | 8-7 | 3 |
| სამეგრელო | 2 | 0 | 0 | 2 | 5-10 | 0 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| VIMCM-რუბიკონი | 6:4 |
| ნაძალადევი-სამედიცინო | 5:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| VIMCM | 2 | 2 | 0 | 0 | 11-5 | 6 |
| რუბიკონი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| სამედიცინო | 2 | 0 | 1 | 1 | 5-6 | 1 |
| ნაძალადევი | 2 | 0 | 1 | 1 | 6-10 | 1 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რეესტრი-შავი ზღვის უნივ. | 3:1 |
| დინამო-სეუ | 2:5 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეუ | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| რეესტრი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-6 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 7-8 | 3 |
| შავი ზღ. უნივ. | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

სამივე ჯგუფიდან გასულ ორ-ორ გუნდს ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც დაემატება. შესაბამისად, 6-6 ქულის მქონე VIMCM-მა და სეუმ მეოთხედფინალში თამაში უკვე გაინაღდეს. დღეს ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

დუშეთი-სეუ ვეტერანები
GMCS-სამეგრელო
VIMCM-სამედიცინო
რუბიკონი-ნაძალადევი
დინამო-შავი ზღვის უნივ.
რეესტრი-სეუ

მეოთხედფინალური შეხვედრები 24 დეკემბერს ჩატარდება, 25-ში კი ნახევარფინალებია. ფინალი პარასკევს, 26 დეკემბერს შედგება.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

1001 [illegible]

# ბლატერი თანახმაა: სუპერპროექტი მომავლისთვის

## სპორტული ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიას ფიფა დააფინანსებს

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად ნიკო დოლიძის დანიშვნის შემდეგ ეს ორგანიზაცია აშკარად გამოცოცხლდა. სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა - ქართული მინი-ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ყველგან „იდეების გენერატორი" იყო. საფეხბურთო აკადემია „ოლიმპი" და საფეხბურთო კლუბი „თბილისი" სწორედ მისი თანამონაწილეობით დაარსდა. ეს საქმე მან მამუკა გუგეშაშვილსა და თემურ უგულავასთან ერთად გააკეთა. დედაქალაქის ფედერაციაში დანიშვნის შემდეგ კი თბილისის ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალიც დააფუძნა და საქართველოს „დანა ქაფის" მსგავსი მასშტაბური ტურნირი ელირსა. პლუს ამას, თბილისის ფედერაციამ ხელშეკრულება გააფორმა სპორტული პროდუქციის მწარმოებელ გერმანულ კომპანია „ზალერთან".

ახლა დოლიძე ფიქრობს მორიგ პროექტზე, რომელიც საქართველოს უთუოდ წაადგება. მასთან ინტერვიუ სწორედ ამ თემაზე საუბრით დავიწყეთ:



იოზეფ ბლატერი

- დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციამ თბილისის წლის საუკეთესო საფეხბურთო სკოლის, საუკეთესო მწვრთნელისა და ბავშვთა საუკეთესო გუნდის გამოვლენა დაიწყო. გამოკითხვაში 40-მდე სკოლა, გაზეთები, ტელევიზიები, გულშემატკივრები, ვეტერანები და ფეხბურთის ფედერაცია მონაწილეობენ. საუკეთესო მსაჯს კი თავად თბილისის ფედერაცია დაასახელებს. გამარჯვებულები სოლიდურ პრიზებს მიიღებენ - საუკეთესო სკოლა 3 ათას ლარსა და გარდამავალ თასს, საუკეთესო გუნდი სრულ ეკიპირებას, მწვრთნელი კი 1500 ლარს და ლაურეატის დიპლომს. საზეიმო დაჯილდოება „ლოკომოტივის" სტადიონის ვიპლოჟაში გაიმართება. ჩვენი პროექტი თბილისის მერიასთან ერთად ხორციელდება და დიდი სურვილი გვაქვს, ეს ტრადიციად იქცეს.

**- როგორც შევიტყვეთ, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თქვენი ერთ-ერთი პროექტის დაფინანსება გადაწყვიტა. მაინც რომელ პროექტზეა ლაპარაკი?**

- თბილისში საფეხბურთო და სპორტული ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიის გახსნა გვსურს. მწვრთნელებთან ერთად, სპორტული მარკეტინგისა და მენეჯმენტის სპეციალისტებსაც გავზრდით, რაც დღევანდელ ქართულ ფეხბურთს ასე სჭირდება. რაც მთავარია, ჩვენ უკვე მივიღეთ ბლატერის სიტყვიერი და წერილობითი თანხმობა.

**- იქნებ, პროექტზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ...**

- მოდით, თავიდანვე ერთ რამეზე შევთანხმდეთ, რომ ქართული ფეხბურთის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ სიძნელეებს ქართული ფეხბურთიც განიცდის. სამწუხაროდ, საქართველოში საფეხბურთო კლუბის მართვისა და ორგანიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა და ინფრასტრუქტურა არ არსებობს. პრობლემაა კვალიფიციური კადრებიც, რადგან არ არის კვალიფიკაციის ამაღლების პირობებიც. ასევე არ გვაქვს ერთიანი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რომელიც მოამზადებს და დანერგავს საფეხბურთო ინდუსტრიის განვითარებისთვის საჭირო მეთოდოლოგიურ მასალასა და პროგრამულ რეკომენდაციებს. არადა, საფეხბურთო ინდუსტრიას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ სფეროში ჩაიდო დიდი რაოდენობით ფინანსური რესურსი და უამრავი ადამიანიც დასაქმდა. დააკვირდით, დღევანდელი ევროპული საფეხბურთო კლუბები მხოლოდ სპორტული კლუბები არ არიან. კლუბის წევრები, გულშემატკივრები, მასმედია, სპონსორები, კომერციული პარტნიორები, აქციონერები და ასე შემდეგ - ეს რგოლები კლუბების საქმიანობაში სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ, რადგან კლუბის განვითარებითა და წარმატებით არიან დაინტერესებულნი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომერციული თვალსაზრისით, ფეხბურთი ბიზნესისთვის ძალიან საინტერესო სფერო გახდა. ამიტომ, ქართულმა საფეხბურთო სამყარომ არსებული ეკონომიკური რესურსების პირობებში დამოუკიდებლად ცხოვრება უნდა ისწავლოს. ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო ბიზნესი ჩანასახის მდგომარეობაშია. პირველ ყოვლისა, ეს პროფესიონალების ნაკლებობის გამოა. ჯერ ვერ გავაცნობიერეთ, რომ საჭიროა დროულად მოვამზადოთ საფეხბურთო ინდუსტრიის მენეჯერები. სპორტული და საფეხბურთო მენეჯერი, როგორც პროფესია, ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გაჩნდა საფეხბურთო და სპორტული ინდუსტრიის საერთაშორისო აკადემიის (სსისა) იდეა, სადაც პრიორიტეტი ექნება სწორედ საფეხბურთო ინდუსტრიის განვითარებას.

**- რას ნიშნავს აკადემიისთვის საერთაშორისო სტატუსი?**

- როგორც გითხარით, პროექტით თავად ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერია დაინტერესებული. შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში, ის ლიცენზირებასა და კვალიფიციური სპეციალისტების გამოგზავნას გვპირდება. ეს აკადემია ითანამშრომლებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებთან. დასაწყისშივე უნდა განისაზღვროს აკადემიის სტრატეგია და მისი განხორციელების გზები. აკადემიის ფუნქციაში შევა როგორც სპორტული კლუბების მომზადება, სპეციალისტების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე კომპლექსური სამეცნიერო მომსახურება საფეხბურთო და სპორტული ინდუსტრიის განვითარებისთვის. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სპორტული ორგანიზაციები და, მათ შორის, საფეხბურთო კლუბები პროდუქციის მწარმოებლები არიან და ისევე ემორჩილებიან საბაზრო კანონებს, როგორც ბიზნესის სხვა სუბიექტები. სსისა-ს ბაზაზე პრიორიტეტული ფაკულტეტებიც გაიხსნება. სასწავლებელი კლუბებისთვის შეიმუშავებს კომპლექსურ, კერძო პროგრამებსა და რეკომენდაციებს. ლექციებს წაიკითხავენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, იქნება ეს ეკონომიკაში, მენეჯმენტში, მარკეტინგში, სამართალში, უსაფრთხოებაში თუ ასე შემდეგ. ეტაპობრივად ჩამოყალიბდება ხუთი ფაკულტეტი: სამწვრთნელო, სამსაჯო, ჟურნალისტიკის, იურიდიული, სამედიცინო და ეკონომიკური. სსისა მომზადების პროგრამებს, სწავლებისა და ატესტაციის მეთოდიკას შეიმუშავებს. ყოველ 3-4 წელიწადში ჩატარდება პერიოდული ატესტაციები. სსისა-ში გაიხსნება დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებიც, სადაც სტუდენტები სასწავლო პროგრამებს მოკლე დროში გაივლიან. რჩეულები უცხოეთის ცნობილ ცენტრებსა და საფეხბურთო კლუბებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან. სწავლების ასეთი ფორმა, ფეხბურთსა და სპორტულ კლუბებში დასაქმებულებს შეუწყობს ხელს და საშუალებას მოგვცემს, საფეხბურთო და სპორტულ კლუბებში მოვიდნენ განათლებული კადრები. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ქართული ფეხბურთი ევროპულ სტანდარტებს გაუთანაბრდება.

**- რა რეაქცია ჰქონდა ფედერაციას თქვენს მიმართვაზე?**

- საუბარია ყოველწლიურად 200 ათასი ლარის დაფინანსებაზე, რომლის შედეგებსაც საქართველო რამდენიმე წლის შემდეგ დაინახავს. ველოდებით პასუხს... აკადემიაში თანამედროვე მოთხოვნების მცოდნე მწვრთნელები უნდა გავზარდოთ. დაფინანსებაზე ფიფას პრეზიდენტს თბილისში ვიზიტისას ველაპარაკე. ბლატერმა სიტყვიერი და წერილობითი თანხმობა უკვე განაცხადა და პროექტის წარდგენაც მთხოვა. იცით, მას არ უყვარს ზღაპრების მოსმენა... ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ქართულ ფეხბურთში არსებული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა. ამიტომ დავწერეთ კიდევ ერთი პროგრამა - ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარების, ანუ „საყრდენი ცენტრების" სისტემის პროექტი. მისი დაფინანსების იმედს უეფა გვაძლევს.

**- და რამდენად რეალურია ეს იმედი?**

- გლობალური ნაციონალური პროგრამები ბევრ საფეხბურთო ქვეყანაშია შემუშავებული. მაგალითად, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ამისთვის 10 მილიონი ევრო გამოყო. ანუ, პრეცედენტი უკვე არსებობს, მეთოდი აპრობირებული და გამართლებულია. სწორედ მსგავსი რამ გვსურს, რომ დავნერგოთ საქართველოშიც. მზა რეცეპტები არ არსებობს. სხვა ქვეყნის მაგალითების ბრმად გამოყენებაც არ შეიძლება. ადგილობრივი ტრადიციის, თავისებურებებისა და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებაა საჭირო. გამოცდილების შესწავლა სისტემის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარება. ბევრჯერ თქმულა, რომ საქართველო ტალანტებით მდიდარი ქვეყანაა. მაგრამ მათი უმრავლესობა განვითარებას ადრეულ ასაკშივე ამთავრებს, დიდ მწვერვალებს კი მხოლოდ ერთეულები აღწევენ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტალანტების არასწორი განვითარება-გაწკრთნაა. ასეთ ვითარებაში, ფეხბურთის რეგიონული ფედერაციების გამართულ და ეფექტურ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ფეხბურთის ფედერაციის სტრუქტურაში ისინი სერიოზულ ორგანიზაციებად უნდა იქცნენ და არა - ფორმალურ დანამატებად. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია ტალანტების აღმოჩენაც. მწვრთნელებმა ცალკეულ ფეხბურთელებთან ინდივიდუალურად უნდა იმუშაონ და სწორად აღზარდონ. თუ ამ პროგრამას გამოეხმაურებიან სპეციალისტები და საერთოდ, ჩვენი საზოგადოება, საერთო ძალისხმევით ქართული ფეხბურთს ვუშველით.

**- ამ პროექტზეც კონკრეტულად ვისაუბროთ...**

- ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარების აუცილებელი პირობაა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყველა რეგიონში ბავშვთა ფეხბურთის „საყრდენი ცენტრი" ჩამოაყალიბოს. ცენტრში უნდა მუშაობდეს მინიმუმ ერთი ლიცენზირებული მწვრთნელი, რომელსაც ხელფასს ფედერაცია გადაუხდის. დიახ, სწორედ ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს ცენტრის ფუნქციონირება, მოამარაგოს ბურთებითა და ინვენტარით... მწვრთნელები ფედერაციის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმით იმოქმედებენ. ისინი ნიჭიერ ბავშვთა სელექციას მთელი რეგიონის მასშტაბით განახორციელებენ და ყველა მათგანზე მონაცემებს შეაგროვებენ. მოძიებულ ტალანტებს კი კვირაში ერთხელ ცენტრის ბაზაზე ავარჯიშებენ. ეს ყველაფერი მიზანმიმართული სელექცია იქნება, სელექცია იმისთვის, რათა არც ერთი ნიჭიერი ბავშვი არ დაიკარგოს. ასევე, თვეში ერთხელ, აუცილებელი იქნება რეგიონულ ნაკრებთა ტურნირის ჩატარებაც.

**- სხვათა შორის, ტალანტების მოძიების პროგრამით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრებები უკვე ჩამოყალიბდა...**

- ჩვენ გვსურს, ყველა რეგიონი მოვიცვათ და ცენტრების ბაზაზე სხვადასხვა ასაკის მუდმივმოქმედი და არა დროებითი ნაკრებები ჩამოვაყალიბოთ. ფედერაციამ კი მათ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი - მაგალითად, ფიფადან და უეფადან ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის ჩარიცხული თანხებით. რეგიონული გუნდების არსებობით გაადვილდება 15, 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების დაკომპლექტება და მაქსიმალურად გამოირიცხება ჩაწყობები, ასაკის გადაკეთება, კორუფცია და ასე შემდეგ.

**- დღევანდელი კრიზისის პირობებში რამდენად რეალურია ესოდენ მასშტაბური პროექტების განხორციელება?**

- ამისთვის საჭიროა თანადგომა და კეთილი ნება. და საერთოდაც, ამ პროექტის განხორციელება ნიკო დოლიძეს კი არ სჭირდება, ეს საქართველოსთვის, ჩვენი ფეხბურთისთვისაა აუცილებელი.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერი

# მაკარიძე ლე მანში ჩაირიცხა

## ...და ცუდი ამბავიც: ვარჯიშზე დაშავებულ მეკარეს თვე-ნახევარი გაუცდება

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები მეკარე **გიორგი მაკარიძე** საფრანგეთში ადგილობრივი „ლე მანის" მიწვევით იმყოფებოდა. დორტმუნდულისგან განსხვავებით, ამჯერად, მისი ვოიაჟი წარმატებული გამოდგა - მაკარიძემ „ლე მანთან" 3-წლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. **ამირან სანაიასა** და **ვახტანგ ფანცხავას** შემდეგ ის ამ ფრანგულ კლუბში მესამე ქართველია.

*„საფრანგეთიდან დღეს (ორშაბათს - ავტ.) დავბრუნდი. დიახ, „ლე მანთან" 3-წლინახევრიანი კონტრაქტი გავაფორმე. იქ ტესტირებაზე არ ვყოფილვარ, ჩასვლამდე ყველაფერი მოგვარებული იყო, მხოლოდ კონტრაქტის პირობებზე გვქონდა ბოლო დეტალები დასაზუსტებელი... მოკლედ, ჩავედი, სამჯერ ვივარჯიშე მთავარ გუნდთან ერთად და საკითხიც დადებითად გადაწყდა. ეს იყო და ეს. კონტრაქტიც გავაფორმე",* - თქვა „ლელოსთან" საუბარში მაკარიძემ.

როგორც ირკვევა, „ლე მანი" მაკარიძით ჯერ კიდევ შარშან დაინტერესდა: *„ფრანგებს პირველად შარშან, პორტუგალიაში მოვეწონე, სადაც 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ვიყავი ტურნირზე. მერე ეროვნულ გუნდში მიმიწვიეს. მათ შოტლანდიასთან და სხვა გუნდებთან მატჩებშიც ნახეს ჩემი თამაში. „ლე მანს" ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა ჩემი აყვანა, როცა თბილისის „დინამოში" ვიყავი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თანხის გადახდა მოუწევდათ, ამიტომ, მოცდა ამჯობინეს, თავისუფალი აგენტი გავხდი და კონტრაქტიც ახლა გამიფორმეს".*

მაკარიძემ თურმე ახალი კლუბის წევრებთან დაახლოებაც მოასწრო: *„მთავარ გუნდთან ერთად ვარჯიშის დროს თანაგუნდელებიც გავიცანი. სანაიასა და ფანცხავას გარდა, მეკარეებს - პელესა და ტიაგოსაც დავუახლოვდი. კონტაქტური, თბილი ადამიანები არიან... სხვათა შორის, არაერთხელ შემაქეს კიდეც".*

„ლე მანის" ახალწვეული ვარჯიშის დროს ტრავმამ შეაწუხა, თუმცა ამის გამო, საკითხის გადაწყვეტისას პრობლემა არ შექმნია: *„ბოლოს რომ ვივარჯიშე, მუხლი ამტკივდა. ძველმა ტრავმამ შემახსენა თავი, მაგრამ ფრანგებმა მითხრეს - კარგად ვიცით შენი შესაძლებლობები და ტრანსფერში ეს ხელს ვერ შეგიშლისო. ექიმებმა გამსინჯეს და მითხრეს, თვე-ნახევრით უნდა დაისვენო და თუ ვერ მორჩი, ოპერაციის გაკეთება მოგიწევსო".*

საინტერესოა, მაკარიძეს „ლე მანის" რომელ გუნდში მოუწევს თამაში: *„გუნდისა და მეკარეების მწვრთნელებს ამაზეც ველაპარაკე... მთავარია, მალე გამოვჯანმრთელდე და ოპერაცია არ დამჭირდეს. მწყობრში რომ დავბრუნდები, მთავარ გუნდთან ერთად ვივარჯიშებ და როგორც მითხრეს, თავიდან დუბლებში მომიწევს თამაში. სამწელიწად-ნახევარი ცოტა დრო არ არის და ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ მაქვს. ისიც კარგად ვიცი, თუ რას ამბობენ ჩემზე... დიახ, ვიცი, რომ ზოგს ჩემი არ სჯერა და ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევს. მჯერა, „ლე მანში" ჩემს სიტყვას ვიტყვი. მინდა, ყველას დავუმტკიცო, რაც შემიძლია"* - დასძინა მაკარიძემ საუბრის ბოლოს.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XVI ტურის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაობლებული ტური



18 დეკემბერი. ეროვნულ სტადიონზე, დინამო-ზესტაფონის მატჩამდე ორი დღით ადრე, თოვლის საფარი 15 სანტიმეტრს შეადგენდა

სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი გამართლდა - დეკემბრის მიწურულს ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ საიუბილეო ჩემპიონატის კალენდარზე ნეგატიური გავლენა იქონია. ჰო, ვეღარც ვიხსენებთ, თუ რამდენჯერ დავაფიქსირეთ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება XVI და XVII ტურის მატჩების თარიღებთან დაკავშირებით. დეკემბრის დასაწყისში ადრეც ყოფილა შემთხვევები, როცა მატჩები ჩატარებულა, მაგრამ 27 და 28 დეკემბერს ჩვენთან ვის ეფეხბურთება? ეგაც რომ არ იყოს, შეშფოთებას ჩვენი სტადიონების მდგომარეობის გამოც გამოვთქვამდით - გვაქვს კი იმდენი საფეხბურთო მოედანი, საახალწლოდ (!) თამაშები რომ გამართულიყო? ან, რა - 7 და 8 თებერვალს, ზამთრის პაუზის მერე სეზონი რომ უნდა განახლდეს, ზუგდიდში, ბოლნისსა და ბორჯომში მინდვრის საფარი რა მდგომარეობაში იქნება? ამ ყველაფრის მერე კი, ალბათ, აღარც უნდა დავსვათ ხოლმე უკვე ტრადიციული და ლამის ყველასგან უპასუხო კითხვა: ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე გულშემატკივრები რატომ აღარ დადიან?

ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ორიდან ერთი თამაში... ჩვენს უპირველეს საფეხბურთო სარბიელზე თოვლის საფარის გამო გადაიდო. მოდით, ჯერ ისევ ოფიციალურ წყაროს დავეყრდნოთ, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ ვებგვერდიდან რომ შევიტყვეთ: *„გაცნობებთ, რომ საქართველოს XX ჩემპიონატის XVI ტურის მატჩი ს.კ. „დინამო“ თბილისსა და ს.კ. „ზესტაფონს“ შორის, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 20 დეკემბერს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, აღარ გაიმართება სათამაშო მინდორზე დიდთოვლობის გამო. ამასთან დაკავშირებით, დღეს, ეროვნული სტადიონის საფარი პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა და ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროსმა ნოდარ კაკულიამ მოინახულეს, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ მინდვრის საფარზე ა/წ 18 დეკემბრის მდგომარეობით, თოვლის საფარის სიმაღლე შეადგენს 15-16 სანტიმეტრს. თოვლის საფარის ძირი არის გაყინული, რაც შეუძლებელს ხდის მის გაწმენდას. ამინდის პროგნოზის მიხედვით 19 დეკემბერს მოსალოდნელი არის ყინვა, ხოლო 20 დეკემბერს მოსალოდნელია კვლავ თოვა და არსებულ მდგომარეობაში მყოფ საფარზე მატჩის გამართვა შეუძლებელია.“*

ანუ, „დინამო“-“ზესტაფონის“ მატჩამდე ორი დღით ადრე უკვე ცნობილი გახდა, რომ პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრა გადადებული იყო. ზემოთ, უცნაურობა შემთხვევით არ გვიხსენებია - ნუთუ, ჩვენი უპირველესი სტადიონის ხელმძღვანელობა ორი დღის განმავლობაში სტადიონისგან თოვლის გაწმენდას ვერ მოახერხებდა? არავინ უარყოფს (ფოტოებითაც დარწმუნდებით), რომ 18-ში ეროვნული სტადიონის მოედნის საფარი თოვლით იყო დაფარული, მაგრამ მატჩამდე ხომ ორი დღე რჩებოდა? როგორ, ბოლნისსა და გორში თუ მოახერხეს მოედნიდან თოვლის აღება (თანაც, ორი დღის განმავლობაში), „ეროვნულზე“ რატომ იყო მატჩის ჩატარება შეუძლებელი?

რა თქმა უნდა, ახლა უაზრობაა დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ ტურის ცენტრალური შეხვედრის გადადება... მონაწილე გუნდებსაც აძლევდათ ხელს. არავისთვის დასამალი არ არის, რომ „დინამოსაც“ და „ზესტაფონსაც“ ნოემბერ-დეკემბერში გადატვირთული კალენდრის გამო „ნორმაზე“ მეტი შეხვედრის ჩატარებამ მოუწიათ. ანუ, ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ ჩემპიონატის, თასისა და სუპერთასის შეხვედრები ამ გუნდების ფეხბურთელებს... ყოველ მესამე-მეოთხე დღეს უწევდათ. მოკლედ, დროებითი (თუნდაც, ერთკვირიანი) პაუზა ორივესთვის მისწრება იყო. ჰო, ნურც ბორჯომის გადადებულ შეხვედრას დავივიწყებთ: იქ რომ დეკემბრის მიწურულს თოვლი იქნებოდა, ეგ არავის უკვირს; უცნაური და საკვირველი ის გახლავთ, რომ ხელოვნურსაფარიან მოედანზე... რა უნდა გაყინულიყო? ანუ, გაიწმინდებოდა და მორჩა, მაგრამ, აქვე სხვა პრობლემაც იჩენდა, ალბათ, თავს: ჰქონდა კი სტადიონის თუ კლუბის დირექციას მოედნის დასუფთავებისთვის საკმარისი სახსრები? მით უმეტეს, რომ უკვე მერამდენე თვეა, „ბორჯომის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები უხელფასოდ არიან...

...ვერაფერს ვიტყვით, აშკარად არასადღესასწაულო განწყობა სუფევს ჩვენს ჩემპიონატში. თანაც, ჯერ კიდევ არავინ ვიცით, თუ როგორ და რა პირობებში ჩატარდება თვენახევრიან პაუზამდე დარჩენილი ერთადერთი ტური. ამაზე მერე, XVII ტურის წინათქმაში ვისაუბროთ, ახლა კი მოკლედ, არასრული და „დაობლებული“ ტურის იმ სამ შეხვედრაზეც ვთქვათ. მით უფრო, რომ არაოფიციალური ტიტულის, „ზამთრის ჩემპიონის“ ვინაობა გაირკვა: როგორც უნდა დასრულდეს მომდევნო ტურის მატჩები, „ვიტ ჯორჯიას“ პირველობას ვერავინ შეეცილება! შეგახსენებთ, რომ „ვეტერინარებმა“ პირველი წრეც ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაასრულეს და, წესითა და რიგით, ვინმეს არც მორიგი მიღწევა უნდა გაჰკვირვებოდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ **რამაზ მუმლაძის** გუნდს უკვე 13-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და საერთოდაც, ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა (1-ელ ოქტომბერს „ლოკომოტივთან“). თუმცა, ბოლო ტურში ამ სიმპათიურ გუნდს ძალიან მძიმე მატჩის ჩატარება მოუხდა: მეტოქედ ხომ ფორმააკრეფილი „ოლიმპი“ ჰყავდა. ნურც **ვარლამ კილასონიას** გუნდის ბოლოდროინდელ მიღწევებს დავივიწყებთ: 18 ოქტომბერს ზუგდიდში მარცხის მერე „ოლიმპი“ ტურიდან ტურამდე აუმჯობესებდა შედეგსა და თამაშს. ეგ კი არა, ორი თვის განმავლობაში ამ გუნდის კარში გოლის გატანასაც ვერავინ ახერხებდა. და აი, რუსთაველთა მშრალი სერია **ლუკა რაზმაძის** ჩინებულმა დარტყმამ შეწყვიტა - „ვიტ ჯორჯიასა“ და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა საჯარიმოდან, მართლაც, ეფექტური გოლი გაიტანა. თუმცა, სილამაზე, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი იყო - რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ „ვიტ ჯორჯიას“ ძვირფასი ქულა მოუტანა. ისე, „ოლიმპის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს, ალბათ, მწარედ ახსენდებათ სეზონის სტარტი - რომ არა ნამეტნავად ბევრი გაფლანგული ქულა, რუსთაეული კლუბი ამჟამად საჩემპიონო რბოლაში უნდა იყოს ჩაბმული.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად გამოასწორა საქმე ქვემო ქართლის მეორე გუნდმაც - ბოლნისის „სიონმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და **ოთარ კორღალიძის** გუნდი უკვე ლიდერთა სამეულს მიუახლოვდა. აუტანელი სათამაშო პირობების მიუხედავად, „სიონმა“ მატჩის დასაწყისშივე გადაწყვიტა შეხვედრის ბედი და ხუთწუთიან მონაკვეთში მეტოქეს ორი გოლი გაუტანა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გოლში ლომის წილი დაიდო **სულიკო დავითაშვილმა** - „სიონის“ ვეტერანმა ფორვარდმა ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. აი, მეტოქეზე კი რა უნდა ვთქვათ: „გაგრამ“... სტუმრად ქულების მოგროვება თუ არ დაიწყო, სეზონის ბოლოს პირველ ლიგაში დაქვეითება არ ასცდება. არადა, ამისთვის არც ამ გუნდის ერთიმეორეზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვემეტება და არც - მთავარი მწვრთნელი; თანაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ვლადიმერ ხაჩიძე**, ალბათ, ერთადერთია კოლეგებში, საკუთარ და პრინციპულ პოზიციას კალენდართან თუ სხვა პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით ხმამაღლა რომ აფიქსირებს...

დაბოლოს, კიდევ ერთ მატჩზეც - „ლოკომოტივმა“ საკუთარი, მართლაც, დანავსული სერია შეწყვიტა და ზუგდიდში მატჩი ფრედ დაასრულა. ამდენი საკადრო პრობლემისა და ჩემპიონატში ზედიზედ ექვსი (!) წაგების მერე ეს ერთი ქულა შენაძენად უნდა ჩავთვალოთ. ამ ეტაპზე ასეა და მერე, ვნახოთ...

**გია ტუხაშვილი**

## ტურის სიმბოლური ნაკრები




საკლუბო კრიზისი

## ბორჯომი ჯერ ითამაშებს, მერე?

სამცხე-ჯავახეთის კლუბები რომ მწვავე ფინანსურ კრიზისში არიან, ცნობილი ამბავია. ამას ემატება გუშინ გავრცელებული ხმები, „ბორჯომში“ არსებულ კატასტროფულ მდგომარეობასთან დაკავშირებით - ფაქტობრივად, გუნდი დაიშალა და წლის ბოლო ტურში (28 დეკემბერს, „ლოკომოტივთან“) არ ითამაშებსო. „ლელოს“ ბორჯომელთა კლუბის დირექტორი **ვახტანგ მაისურაძე** დაუკავშირდა და ასეთი განმარტება გააკეთა:

*„ფეხბურთელთა სახელფასო დავალიანება მართლაც ბევრი დაგვიგროვდა. ფინანსური კრიზისი სახეზეა, მაგრამ გუნდი არ დაშლილა და წლის დასკვნით ტურშიც ვითამაშებთ. იმედი გვაქვს, ბორჯომის გამგეობა და ბიზნესმენები ზამთრის პაუზის დროს დაგვეხმარებიან და სეზონის მეორე ნახევარსაც ვითამაშებთ“.*

**დავით ცაბაძე**

### პირველი ლიგა. აღმოსავლეთი. გადატანილი მატჩი

**დინამო 2-ამერი 0:0**

დინამო: ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, კეკელია, კაკუბავა, ჩადუნელი (82. ლეკვთაძე), ბოლქვაძე (68. მამუჩიშვილი), ჯოხაძე, სიხარულიძე, ჯიშკარიანი

*სათადარიგოები:* ნადირაძე, მამრაში, ქამუშაძე, კოპაძე, ქანთარია

მთავარი მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

ამერი: გვენცაძე, სანიკიძე, გვაძაბია, კაკაბაძე, ელბაქიძე, მჭედლიშვილი (65. ლაფერაშვილი), ცხოვრებაშვილი, ბენდელიანი, ტიკურიშვილი (90. ჯინიკაშვილი), ხუციძე (76. ქებაძე), ჩიმაკაძე.

*სათადარიგოები:* ნაჭყეპია, ფუტკარაძე, ბუმბეიშვილი, ბოჯგუა

მთავარი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილებები: გვაძაბია, სანიკიძე, ბოლქვაძე

არბიტრი: მ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 11 | 2 | 2 | 28-7 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 5 | 2 | 25-6 | 29 |
| 4. დინამო 2 | 16 | 8 | 5 | 2 | 25-12 | 29 |
| 5. დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-12 | 23 |
| 6. თბილისი | 16 | 5 | 3 | 8 | 25-26 | 18 |
| 7. სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21-38 | 18 |
| 8. გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26-37 | 17 |
| 9. კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 10. წ/დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16-30 | 8 |
| 11. ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11-37 | 7 |

### მეორე ლიგა
**აღმოსავლეთი. XVII ტური**

**19 დეკემბერი**

სპარტაკი 2-ერთობა 5:0

**20 დეკემბერი**

ამერი 2-ზოოვეტი 3:0
35-ე სკოლა-სამგორი გადაიდო
იმედი-გარეჯი გადაიდო

**21 დეკემბერი**

წ. დინამო 2-ჰერეთი 2 გადაიდო
I.B.S.U.-ალაზანი გადაიდო
არაგველები-ალგეთი გადაიდო

**22 დეკემბერი**

ლოკომოტივი 2-ბორჯომი 2 7:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი 2 | 17 | 11 | 3 | 3 | 41-21 | 36 |
| 2. დუშეთი | 16 | 11 | 2 | 3 | 35-14 | 35 |
| 3. სპარტაკი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 48-22 | 35 |
| 4. ამერი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 34-11 | 35 |
| 5. გარეჯი | 16 | 9 | 2 | 5 | 26-15 | 29 |
| 6. ჰერეთი 2 | 16 | 8 | 1 | 7 | 36-25 | 25 |
| 7. 35 ს.ს. | 16 | 7 | 4 | 5 | 28-26 | 25 |
| 8. სამგორი | 16 | 6 | 6 | 4 | 29-24 | 24 |
| 9. ერთობა | 17 | 7 | 2 | 8 | 24-38 | 23 |
| 10. ბორჯომი 2 | 16 | 7 | 1 | 8 | 22-31 | 22 |
| 11. I.B.S.U. | 16 | 7 | 1 | 8 | 19-24 | 22 |
| 12. ლიახვი | 17 | 6 | 4 | 7 | 27-29 | 22 |
| 13. იმედი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-24 | 20 |
| 14. ალგეთი | 16 | 5 | 2 | 9 | 19-35 | 17 |
| 15. არაგველები | 16 | 4 | 4 | 8 | 17-23 | 16 |
| 16. ზოოვეტი | 17 | 4 | 2 | 11 | 21-35 | 14 |
| 17. ალაზანი | 16 | 3 | 2 | 11 | 12-31 | 11 |
| 18. წ. დინამო 2 | 16 | 1 | 3 | 12 | 10-40 | 6 |

*პირველობა მარტიდან განახლდება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

რამაზ მუმლაძე

# შემოდგომაც ვიტელებისაა, ზამთარიც...

## რაღა დარჩა?

არ დავმალავთ - ბევრი ვიფიქრეთ, არასრული ტურის გამო შეგვედგინა თუ არა სიმბოლური ნაკრები; იმავეს ვიტყოდით „ტურის მწვრთნელის" გამოვლენაზეც - ბოლოს და ბოლოს, ხუთიდან ხომ მხოლოდ სამი შეხვედრა ჩატარდა. და მაინც: ტურში თავგამოჩენილი ფეხბურთელებისა თუ მწვრთნელის რა „ბრალი" იყო, დიდთოვლობისა თუ უამინდობის გამო ორი მატჩი რომ გადაიდო?

სამწუხაროდ, ზედიზედ მეოთხე შემთხვევაა, ტურის ფეხბურთელს ვერ ვასახელებთ; რა ვქნათ, უკვე ამდენი ხანია სხვებთან შედარებით მკვეთრად გამორჩეული ფეხბურთელი არ ჩანს; სამაგიეროდ, ტურის მწვრთნელის არჩევა არ გაგვჭირვებია: რიცხობრივ უმცირესობაში მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" უმძიმეს შეხვედრაში ქულის მოპოვება შეძლო და რამაზ მუმლაძეც XVI ტურის რჩეულად დავასახელეთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ „ვიტ ჯორჯიას" ერთობ სერიოზული და „მადაზე მოსული" მეტოქე ჰყავდა: რუსთავის „ოლიმპმა" ისეთი ტემპი აკრიფა, შინ თუ გარეთ რომ არავის ინდობს. ამასთან, „ოლიმპთან" მოპოვებულმა იმ ერთმა ქულამ „ვიტ ჯორჯიას" მორიგი არაოფიციალური ტიტულიც მოუტანა - თვენახევრიან შესვენებამდე ერთი ტურით ადრე „ზამთრის ჩემპიონობა"!..

XVI ტურის საუკეთესო მწვრთნელთან საუბარი, რალა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია-"ოლიმპის" მატჩის გახსენებით დავიწყეთ.


რამაზ მუმლაძე

- უმძიმესი შეხვედრა იყო, სატურნირო თვალსაზრისითაც და სათამაშო პირობებითაც. ასეთ ყინვას და მძიმე გრუნტზე თამაშს ისიც დაემატა, რომ თითქმის ტაიმ-ნახევარი ათი კაცით ვეთამაშებოდით საკმაოდ ძლიერ მეტოქეს. არ დაგიმალავთ, სტუმრებს თავისუფლად შეეძლოთ სულაც დიდი ანგარიშით გაემარჯვათ.

**- ანუ, მოპოვებული ერთი ქულით კმაყოფილი ხართ?**

- ყველა იმ პრობლემის გამო, რაც ჩამოვთვალე, მართლაც, კმაყოფილი ვარ. მით უმეტეს, კიდევ ვიმეორებ, „ოლიმპის" შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

**- შეხვედრის ერთ-ერთი საკამათო ეპიზოდი თქვენი ფეხბურთელის, გიგა ბეჭვაიას გაძევება გახლდათ.**

- აბა, ვინმეს ახსოვს, ოდესმე მსაჯობაზე კომენტარი გამეკეთებინოს? თუმცა, ამ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ არბიტრმა ჩვენი ფეხბურთელის მიმართ მეტისმეტად მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო. ორ მოწინააღმდეგეს შორის ჩვეულებრივი ბრძოლა მიმდინარეობდა: აკუასაგა უკნიდან ფეხს ურტყამდა, ბეჭვაიასაც გამიზნულად პასუხი არ გაუცია.

**- თქვენი აზრით, არბიტრს ორივე ფეხბურთელის გაფრთხილებით შეეძლო ამ ინციდენტის განმუხტვა?**

- ეს ინციდენტი კი არა, სათამაშო ეპიზოდი იყო. თანაც, როცა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან ერთმანეთს, პლუს ასეთ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, სიტუაციის ასეთი დრამატიზება, ალბათ, არ იყო საჭირო.

**- ათი კაცით დარჩენის მერე ცვლილება და, აქედან გამომდინარე, ტაქტიკური გადაადგილება ხომ არ დააგვიანეთ?**

- ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით: ბოლო მატჩებში მარჯვენა მცველად ხურცილავა თამაშობდა და დისკვალიფიკაციის გამო ამ შეხვედრას ტოვებდა; ბეჭვაია უკანა ხაზში დავწიეთ და პირველ ტაიმშივე გააძევეს. ჯერ გიორგი დათუნაიშვილი დავაყენეთ დროებით მარჯვენა მცველად, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე შუა ხაზს აკლდებოდა კაცი. ამიტომაც დათუნაიშვილი ისევ საკუთარ პოზიციაზე დავაბრუნე, ხოლო შეცვლაზე შემოსულმა კვალინიძემ მარჯვენა მცველის ადგილი დაიკავა.

**- კვალინიძეც ხომ ამპლუით ნახევარმცველია...**

- დიახ, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე სხვა ისეთი ფეხბურთელი არ მყავდა, მარჯვენა მცველის პოზიცია რომ შეევსო. პლუს ამას, ისიც გავითვალისწინეთ, რომ კვალინიძეს ძლიერი დარტყმაც აქვს და ასეთ მინდორზე უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეეძლო. ამასთან, ფიზიკურადაც ძლიერია და ნორმალურ სისწრაფესაც ფლობს. მთლიანობაში, მისი თამაშით კმაყოფილი დავრჩი - მეორე ტაიმში მისი პერსონალური მეურვე გიორგი ფეიქრიშვილი გაანეიტრალა.

**- ფორვარდების შეცვლებზეც უნდა გკითხოთ...**

- რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენის მერე, ყველა ვარიანტში, ერთი თავდამსხმელი უნდა შემეცვალა. შეიძლებოდა ლიპარტია დამეტოვებინა მოედანზე და ბერიაშვილი გამომეცვალა, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მებრძოლი ტიპის ფორვარდია და ამიტომაც უფრო დიდხანს ვენდე. თუმცა, მეორე ტაიმში, მოედანზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სისწრაფე გვჭირდებოდა და ამიტომაც ვუხმე კვარაცხელიას. ამ ფორვარდს სისწრაფის ხარჯზე ბევრის გაკეთება შეუძლია და ერთ ეპიზოდში მიზანთანაც ახლოს იყო.

**- გულახდილად გვითხარით: გჯეროდათ, რომ თამაშს შემოატრიალებდით?**

- სხვათა შორის, შესვენებაზე ბიჭებს ვუთხარი კიდეც - თამაშის გადარჩენის შანსი გვექნება და მოგებაზეც შეიძლება ფიქრი-მეთქი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ფრე ამ შეხვედრაში აბსოლუტურად კანონზომიერი შედეგი იყო.

**- „ვიტ ჯორჯია" ჯერ „შემოდგომის ჩემპიონად" გამოვაცხადეთ, ახლა - „ზამთრის". მოკლედ, რაღა დარჩა?**

- რა, და უმთავრესი - აი, გაზაფხულზე ვინ იქნება ცხრილის სათავეში. რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობაც სასიამოვნო და საპატიოა; ისე როგორც, თქვენ მიერ ხსენებული „შემოდგომისა" და „ზამთრის" ჩემპიონობა; თუმცა, მთავარი ბრძოლები წინ გველოდება...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

დავით დევდარიანი

# ორჰუსში სავარჯიშოდ კი არა, სათამაშოდ წავედი

## წვიმიანი ქალაქის ეული ქართველი

დავით დევდარიანი ექტორ კუპერმა 2008 წლის ბოლო „სამშაბათობაზე" გამოიძახა. მანამდე, ის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი იყო. ახლახან, დევდარიანს 21 წელი შეუსრულდა. ჩვენმა საფეხბურთო მილეთმა ის რუსთავის „ოლიმპიდან" გაიცნო, ამ ზაფხულს კი დანიური სუპერლიგის პოპულარულ კლუბ „ორჰუსში" აღმოჩნდა. დევდარიანი მოეწონათ, თუმცა დანიაში დებიუტი ჯერ არ ჰქონია.

„ორჰუსს" გამოკვეთილი პოლიტიკა აქვს - ეძებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, რათა მერე დანიურზე მდიდარ ევროპულ კლუბებში გაასხვისოს. ერთი სიტყვით, დევდარიანი კარგ გზას ადგას და ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას...



**- რატომ ვერ ხვდებოდი „ორჰუსის" პირველ გუნდში, რა იყო ამის მთავარი მიზეზი?**

- „ორჰუსში" მაშინ მივედი, როცა დანიაში სეზონი უკვე გახურებული იყო. პირველად 20 ივლისს წავედი, ხელმეორედ კი სექტემბრის შუა რიცხვებში, მაგრამ ვერ ვვარჯიშობდი. საქმე ისაა, რომ დანიაში ამასაც ლიცენზია სჭირდება. იქაური მთავრობა მას უცხოელებზე გასცემს. სამი კვირა ველოდე ლიცენზიას...

**- რა ვადიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- სამწლიანი. იმედია, მალე მომინევს თამაში.

**- „ორჰუსის" მეორე გუნდში ვარჯიშობდი და თამაშობდი?**

- პირველ გუნდში ვვარჯიშობდი, მეორე გუნდში კი ვთამაშობდი. იქ მეტწილად პირველი გუნდის ის ფეხბურთელები ვიყავით, რომელთაც სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა. სულ 6 მატჩი ვითამაშე და 2 გოლი გავიტანე. ხან გამთამაშებელი ვიყავი, ხან - საყრდენი ნახევარმცველი. მე პლეიმეიკერად მირჩევნია თამაში.

**- რას გეუბნებოდა „ორჰუსის" მთავარი მწვრთნელი, რომელ კომპონენტში უნდა მოუმატო, პირველ გუნდში თავის გამოჩენის შანსი რომ მოგცეს?**

- „ორჰუსის" მთავარი მწვრთნელი ოუე პედერსენი გუნდიდან წავიდა და ახალ დამრიგებელს ველით. პედერსენს კონკრეტულად არაფერი უთქვამს. მე რომ „ორჰუსში" მივედი, გუნდს უკვე საკუთარი სახე ჰქონდა, ყველა რგოლი ჩამოყალიბებული იყო და პედერსენი ისეთი მწვრთნელია, მკვეთრი ცვლილებები რომ არ უყვარს.

**- ორჰუსში ფეხბურთი რამდენად უყვართ, რამდენი მაყურებელი ესწრებოდა გუნდის საშინაო მატჩებს?**

- სტადიონი 25 ათასს იტევს, დასწრება კი 15 ათასზე ნაკლები არ ყოფილა. როცა „ორჰუსი" რომელიმე ლიდერს ეთამაშებოდა, სტადიონი თითქმის ივსებოდა.

**- დანიის პირველ ლიგაში მოთამაშე გიორგი ფოფხაძესა და მიხეილ ბარაბაძეს არ შეხვედრიხარ?**

- არა, ეს ვერ მოხერხდა, ჩვენი სავარჯიშო და სათამაშო გრაფიკი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

**- „ორჰუსში" ძალიან გადატვირთული გრაფიკი გაქვს?**

- კვირაში ხუთი დღე ვარჯიშია, ერთი დღე თამაში და ერთიც დასვენება. სამშაბათსა და ხუთშაბათს ორჯერადი წვრთნაც გვაქვს.

**- შენს ნაკლად სპეციალისტები არასათანადო ფიზიკურ მომზადებას მიიჩნევდნენ, დევდარიანმა ათლეტიზმში უნდა მოუმატოსო. მუშაობ ამაზე?**

- რა თქმა უნდა, კვირაში ორჯერ ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზი კლუბის ბაზაზეა, გადატვირთული გრაფიკის გამო ყოველდღე ტრენაჟორებზე ვარჯიშს ვერ ვახერხებ.

**- იქაური პირობებით კმაყოფილი ხარ? არ გაგიჭირდა უცხო გარემოსთან შეგუება?**

- ბინა გამომიყვეს, მარტო ვცხოვრობ და იქაურობასაც კარგად შევეწყვე. ორჰუსი ძალიან ლამაზი, ზღვისპირა ქალაქია, ხალხი თბილად გეპყრობა... ერთადერთი, რაც არ მომწონს, ის არის, რომ თითქმის სულ წვიმს. ენობრივი ბარიერი კი არ მქონია, დანიაში ინგლისურად ყველა ლაპარაკობს...

**- როგორ ატყობ, პირველ გუნდში რომ მოეცათ შანსი, არ გაგიჭირდებოდა? საქართველოს ჩემპიონატიდან ევროპაში წასულთ, ალბათ, განსაკუთრებით ფიზიკურ მომზადებაში გიჭირთ...**

- ცხადია, დანიის ჩემპიონატში სისწრაფე მეტია და სულ სხვაგვარი გამძლეობაა საჭირო, თუმცა ძალიან დიდი განსხვავებაც არ არის.

**- წინა სეზონში „ორჰუსი" სუპერლიგის ერთ-ერთი მაჩანჩალა იყო, ახლა კი მეხუთე ადგილზეა...**

- წინა სეზონთან შედარებით, მართლაც კარგი შედეგი გვაქვს, ლიდერებთან წარმატებით ვითამაშეთ, საშუალო გუნდებთან კი დასანანი ქულები დავკარგეთ. დანიის ჩემპიონატი ნორმალური დონისაა. „ოლბორგმა" წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა, შინაურ პირველობაზე კი ახლა მეექვსე ადგილზეა. „ბრონდბიუ", „კოპენჰაგენი", „ოდენსე"... კარგი გუნდები არიან და დანიის სუპერლიგაც არ არის ურიგო. იქ სავარჯიშოდ კი არა, ფეხბურთის სათამაშოდ წავედი და სეზონის მეორე ეტაპზე, ალბათ, ვითამაშებ. „ორჰუსის" სამწვრთნელო შტაბიდანაც დამაიმედეს, მალე მოგიწევს თამაშიო. შვებულება 5 იანვარს გვიმთავრდება. საწვრთნელ შეკრებაზე ამერიკაში, ესპანეთში ან კვიპროსზე წავალთ.

**- „ორჰუსის" ლიდერად ვინ მიიჩნევა?**

- ლიდერები თავდამსხმელები არიან: ანგოლური წარმოშობის გერმანელი ნანდო რაფაელი, რომელიც „ჰერტაში" თამაშობდა, და ლიბერიელი დიო უილიამსი.

**დავით თავართქილაძე**

მემორიალი

# გაიხსენეს კახი ასათიანი...

„ქარიშხალას" სპორტკომპლექსში სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის (**იროდი ბეჟაშვილი**), კახი ასათიანის საერთაშორისო ფონდისა (**ვალერი ჩოლარია**) და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის (**გრიგოლ ცაავა**) საერთო ინიციატივით წლეულს მესამედ გაიმართა ცნობილი ფეხბურთელის კახი ასათიანის მემორიალი მინიფეხბურთში. დასკვნით ეტაპზე საასპარეზოდ სამინისტროებისა და უწყებების რვა გუნდმა მოიყარა თავი.

ფინალში თბილისის მერიის ფეხბურთელებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს სძლიეს და მთავარი პრიზი მეორედ დაიმსახურეს. მესამე ადგილზე „საქართველოს რკინიგზის" ორი გუნდი გავიდა. პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. პრიზები გადაეცათ, ასევე, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელებს - **თემურ გიორგაძეს, გიორგი კვანტალიანს** (ორივე - მერია), **ლევან შალვაშვილს** (შსს), **ბორის დერევიანჩევსა და ზურაბ ჭანკვეტაძეს** (ორივე - რკინიგზა). საუკეთესო მწვრთნელად **მერაბ დეკანოიძე** (რკინიგზა) აღიარეს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ემანუელ ადებაიორი

არსენალი

# ფაბრეგასი დაშავდა

## რას ერჩის ჰოვარდ უები ადებაიორს?

„ლივერპულთან" მატჩისას (1:1) „არსენალის" კაპიტანმა **ფრანსესკ ფაბრეგასმა** მუხლი იტკინა. ის პირველ ტაიმში იმ დროს დაშავდა, როდესაც **ჩაბი ალონსოსათვის** ბურთის ართმევას ცდილობდა. შესვენების შემდეგ ფაბრეგასი მინდორზე აღარ გამოჩენილა. ის **აბუ დიაბით** შეცვალეს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენი ხანი გაუცდება ესპანელ ვარსკვლავს. ექიმების ვარაუდით, იძულებითი შვებულება შეიძლება, სამ კვირამდე გაიწელოს. არსენ ვენგერმა იმედგაცრუება ვერ დამალა. გადატვირთული საშობაო და საახალწლო კალენდრისას „მეთოფეებს" ერთ-ერთი ლიდერის გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა.

იმავე თამაშის შემდეგ მოსიე ვენგერმა მთავარი მსაჯი **ჰოვარდ უები** გააკრიტიკა. მიზეზი ის გახლდათ, რომ 63-ე წუთზე მისტერ უებმა მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა **ემანუელ ადებაიორს** და მინდვრიდან დაითხოვა: *„ის ეპიზოდი რამდენჯერმე ვნახე. დაბეჯითებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ არბიტრი შეცდა. ადებაიორი გაძევებას არ იმსახურებდა. მისი მცდარი გადაწყვეტილება ორ ქულად დაგვიჯდა. ბოლო 30 წუთი სრული შემადგენლობით რომ გვეთამაშა, გამარჯვების გოლს აუცილებლად გავიტანდით..."*

უების საჯარო კრიტიკისათვის ვენგერს შეიძლება ჯარიმა დააკისრონ. გულშემატკივარს კი აუცილებლად უნდა შევახსენოთ, რომ ეს არაა პირველი შემთხვევა, როდესაც „მეთოფეებს" და პირადად ადებაიორს ჰოვარდ უებთან პრობლემა ექმნებათ. 2007 წელს ლიგის თასის ფინალში „არსენალი" „ჩელსის" შეხვდა. იმ მატჩსაც მისტერ ჰოვარდი უძღვებოდა და ტოგოელი თავდამსხმელი მაშინაც გასახდელის გზას გაუყენა.

საკვირაო მატჩის შემდეგ ადებაიორი ირწმუნებოდა - გასაძევებელი მე კი არა, **ლუკას ლეივა** და **ჯეიმი კარაგერი** იყვნენ, ისინი დაუნდობლად მირტყამდნენო. ემანუელი შარშანდელ წითელ ბარათსაც უსამართლოდ მიიჩნევდა. ტოგოელი თავდამსხმელი ცამდე მართალი აღმოჩნდა: უებმა ის უეინ ბრიჯთან უხეშობისათვის გააძევა. ბრიჯმა კი ნამატჩევს აღიარა, მუშტი **ემანუელ ებუემ** მითავაზა და არა ადებაიორმა, მსაჯს ნამდვილად შეეშალაო.

„არსენალზე" საუბარს სატრანსფერო ამბით დავასრულებთ. „მეთოფეებმა" „ვულვერჰემპტონის" ახალგაზრდა მეკარეს, **უეინ ჰენესის** დაადგეს თვალი. გასულ უქმეებზე ჰენესიმ „დონკასტერთან" მატჩისას კარი მშრალად შეინახა. იმ შეხვედრას „არსენალის" ემისარი დაესწრო. ცნობილია, რომ 21 წლის უელსელს პრემიერლიგის კიდევ რამდენიმე კლუბი ადევნებს თვალს. „მგლები" მას 6 მილიონ გირვანქად აფასებენ. მისი დღევანდელი კონტრაქტი 4 წელიწადში იწურება. თუ „ვულვერჰემპტონი" პრემიერლიგაში ვერ გადავა, ჰენესის დაუყოვნებლივ გაყიდიან, მაგრამ თუ კლუბი ელიტურ დივიზიონში ალზევდება, ყველაფერს ილონებს, რათა უეინი შეინარჩუნოს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

# კრუიფის აზრი ნაკლებად მაინტერესებს

## კანავარომ კი თავის გუნდს მიხედოსო...

„ბარსელონამ" მიმდინარე ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი ფანტასტიკურად ჩაატარა. კატალონიურმა გრანდმა 16 შეხვედრიდან 13 მოიგო, 1 წააგო, 2 კი ფრედ დაასრულა. მიმომხილველები თამამად აცხადებენ, რომ „ბარსა" ევროპაში ყველაზე კარგ ფეხბურთს თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, დიდწილად ლეო მესის დამსახურებაა. ლეოს თამაში საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. ჟურნალისტებმა ეგრეთ წოდებული მესიზე დამოკიდებულების თემაც შექმნეს. კორესპონდენტები ამტკიცებენ, რომ არგენტინელი ვარსკვლავის გარეშე „ბარსელონა" სულ სხვა გუნდია. „ბარსასთვის" ეს ცუდი შეფასებაა, ფეხბურთელისთვის კი - ყველაზე დიდი ქება. მას შემდეგ, რაც მესიმ თამაში დაიწყო, მისი მისამართით მხოლოდ ქება-დიდება გაისმის, თუმცა რამდენიმე დღის წინ სამხრეთამერიკელს კრიტიკის მოსმენაც მოუხდა. თანაც ვისგან? იოჰან კრუიფისგან. ფრინავმა ჰოლანდიელმა მესის ბრალი დასდო, მეტოქეებს უხეშობისთვის იწვევსო. კრუიფმა ახალგაზრდა ვარსკვლავს ურჩია, ბურთი შორიდან ნუ მოგაქვს, საჯარიმოსთან დადექი და იქ გაამწვავე თამაშიო. ბატონი იოჰანის აზრით, საჯარიმო მოედნის მისადგომებთან წესების დარღვევას მოერიდებიან და ლეოს ფეხებში უმოწყალოდ არ ჩაარტყამენ. „დიარიო სპორტის" კორესპონდენტი მარტინ გონსალესი მესის შეხვდა და ინტერვიუც სწორედ ამ თემით დაიწყო.

**- იოჰან კლუფმა მის ტრადიციულ საგაზეთო სვეტში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაგატარათ. მან პირდაპირ განაცხადა, მესი მცველებს პროვოცირებას უწყობს და უხეშობის მსხვერპლი ამიტომ ხდებაო. ეთანხმებით კრუიფს?**

- სიმართლე გითხრათ, იოჰან კრუიფის აზრი ნაკლებად მაინტერესებს. მე ჩემი მწვრთნელის დავალებებს ვასრულებ. ყველაფერს ვაკეთებ, რომ გუნდს დავეხმარო. არ მესმის, კრუიფი ასე რატომ მსჯელობს. საჯარიმო მოედნის წინ პარაზიტივით ვერ დავდგები და გადმოგდებულ ბურთს ვერ დაველოდები. ფეხებში ჩარტყმის შიშით თამაშზე უარს არ ვიტყვი. მირჩევნია, ყოველდღე მირტყან, ვიდრე აბსურდული ფეხბურთი ვითამაშო.

**- თქვენმა თანაგუნდელებმა პრესკონფერენციებზე განაცხადეს, რომ მსაჯებმა მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინონ და ლია აგრესიისგან დაგიცვან.**

- ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ, მაგრამ მსაჯებისგან დაცვას ვერ მოვითხოვ. ისინი საკუთარ საქმეს აკეთებენ. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ესპანელი არბიტრი საქმეში მთელ სულსა და გულს აქსოვს. თანაც შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული.

**- როგორ გგონიათ, არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც მიზნობრივად გებრძვიან?**

- არა მგონია, პროფესიონალმა ფეხბურთელმა ეს იკადროს. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება არ მრჩება. თამაშისას აზარტი პიკს აღწევს. ორგანიზმი ჭარბი რაოდენობის ადრენალინს გამოყოფს და ხშირად, რეალობის შეგრძნებას კარგავ. ჩემდა სამარცხვინოდ, მოწინააღმდეგისთვის მეც ჩამირტყამს ფეხში, თანაც ძალიან მტკივნეულად, მაგრამ ეს მიზნობრივად არასოდეს გამიკეთებია. თუ მეტოქეს განზრახ ამტვრევ, ნაძირალა და ბინძური ადამიანი ხარ.

**- ფაბიო კანავარომ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, მესი თაღლითობს და სპექტაკლებს დგამსო.**

- წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა გიპასუხოთ. კანავაროს ვურჩევ, საკუთარ გუნდს მიხედოს.



ლეო მესი

მესმის, რომ ელ კლასიკოში დამარცხებამ გული ატკინა, მაგრამ ეს ხომ ფეხბურთია, ხან მოიგებ, ხან წააგებ. ამჯერად ჩვენ გაგვიმართლა. უზომოდ კმაყოფილი დავრჩი, რომ მადრიდელების წინააღმდეგობა გადავლახეთ და შეხვედრის მიწურულს ორი ბურთი გავიტანეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა გახლდათ. სიმულაციასა და სპექტაკლს რაც შეეხება, ეს სრული მონაჩმახია. მგონი, სატელევიზიო კადრებში მშვენივრად გამოჩნდა, როგორ მირტყამდნენ. ბოლოს, გავბრაზდი და პროტესტი გამოვხატე. ნუთუ ეს არის სპექტაკლი? აი, ახლა მე დიქტოფონი ზედიზედ 5-ჯერ ან 6-ჯერ რომ დაგაგდებინოთ ხელიდან, როგორი რეაქცია გექნებათ? როცა ფეხში გირტყამენ, ტკივილის გარდა კიდევ ერთი რაღაც გაწუხებს. გაუთავებელი უხეშობით ფეხბურთის თამაშის საშუალებას არ გაძლევენ.

**- ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შედეგს როგორ აფასებთ?**

- „ლიონი" ძალიან თავმოყვარე გუნდია. მას არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჰყავს. თუ არ ვცდები, ბოლო სამი შეხვედრა მოგებული გვაქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. დარწმუნებული იყავით, რომ ფრანგები უშეღავათო ბრძოლას გაგვიმართავენ, თუმცა თუ „ბარსელონა" საუკეთესო ფორმაში იქნება, მათ ჩვენი გაჩერება გაუჭირდებათ.

**- „რეალის" შემდეგ „ვილიარეალს" გასვლაზე მოუგეთ. „ბარსელონას" უკვდავი ურჩხული შეარქვეს. მოგწონთ ასეთი მეტაფორა?**

- რატომაც არა. მართლაც შთამბეჭდავად გამოვიყურებით. „ვილიარეალთან" გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება გახლდათ. საშობაო არდადეგების წინ 10-ქულიანი უპირატესობა მოვიპოვეთ. „სევილია" სწორედ 10 ქულით ჩამოგვრჩება. ახალ სეზონში ყველა კონკურენტს გავუსწორდით. ზოგს სახლში მოვუგეთ, ზოგს -გასვლაზე. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ „ბარსელონა" ფანტასტიკურ ფორმაშია და ყველა მეტოქეს პრაქტიკულად თანაბარი სიმარტივით უსწორდება. ახლა მთავარია, კარგად დავისვენოთ და 2009 წლიდან ისევ ასეთი შემართებით გავაგრძელოთ თამაში. იმედია, ფორმას არ დავკარგავთ. საამისოდ არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

**- გულწრფელად მითხარით, ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული განაღდებული გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, არა. წინ 22 ტურია. ამ 22 თამაშიდან 3 რომ წავაგოთ, რაც თავისუფლად შესაძლებელია, სიტუაცია უკიდურესად დაიძაბება. კონკურენტები მოგვიახლოვდებიან და თქვენ მიერ ნახსენები ეგრეთ წოდებული, წინასწარგანაღდებული ჩემპიონობა უკვალოდ გაქრება. დამეხმარებით, პროფესიონალებს წინასწარ ზეიმის მოწყობა არ ახასიათებთ. კონკურენტების დაუფასებლობა დაუშვებელია.

**- თქვენი აზრით, პეპ გვარდიოლა „ბარსელონაში" ხანგრძლივი დროით იმუშავებს?**

- წინასწარმეტყველი არ ვარ, რომ ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხი გაგცეთ, თუმცა იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ გვარდიოლა უდიდესი საფეხბურთო გურმანია. მას ლამაზი ფეხბურთი ხიბლავს და იტაცებს. ეს ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რადგან იმ სქემით ასპარეზი, რომლითაც პეპი გვათამაშებს, განუზომელ სიამოვნებას მანიჭებს.

**- როცა თამაში არ გსიამოვნებთ, საქმე კარგად არ გამოგდით?**

- არა, რა თქმა უნდა. ფეხბურთში წარმატებას რომ მიაღწიო, თამაშით უნდა ისიამოვნო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვარსკვლავი

# ინგლისელი პაციენტი

## ჯენტლმენი ფეხბურთიდან წავიდა



დარენ ანდერტონი

სულ ცოტა ხნის წინ ინგლისის ქვედა ლიგის „ბორნმუთისა“ და „ჩესტერის“ შეხვედრას ბრიტანეთის საფეხბურთო საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო. წმინდა სათამაშო თვალსაზრისით, განა ისეთი საინტერესო რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ ფეხბურთიდან ხომ დარენ ანდერტონი მიდიოდა, „ტოტენჰემის“ ლეგენდა, ერთ-ერთი უკანასკნელი ევრო 96-ის მონაწილე დიდი ინგლისური გუნდიდან. გლენ ჰოდლის ნაკრებიდან დღეს მოედანზე მხოლოდ ნიკ ბარმბი, სოლ კემპბელი, ფილ და გარი ნევილები, რობი ფაულერი და იან უოკერი დარჩნენ. დარენს ფეხბურთში ბრწყინვალე და ამასთან, ხანგრძლივი კარიერა ჰქონდა. როგორც ყველას, მასაც ჰქონდა ალმაფრენისა და დაღმასვლის პერიოდები, აწუხებდა უამრავი ტრავმა, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 36 წლამდე ითამაშა. მასში ხომ ბრძოლის სურვილი არასოდეს განელებულა.

როგორ წარმოგიდგენიათ ვეტერანი მოთამაშის ფეხბურთიდან წასვლის სცენა უსახელო ლიგის უსახელო გუნდში? ცოტა შესუქებული ფეხბურთელი, სახეზე შეცბუნებული ღიმილით, მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე შედის და სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები ნოსტალგიის გამო ტაშს უკრავენ. ბურთთან რამდენიმე სიმბოლური შეხება და ფანების შეძახილი: „ბის, ბის“, გამოსათხოვარი ოვაცია, დამწუხრებული სახეები, ცრემლები და ყვავილები გემოვნების მიხედვით, მთელი ყურადღება მატჩის მთავარ მოქმედ პირს, მინიმუმი თავად შეხვედრას... ალბათ, ასე, არა? არა, ანდერტონი შეცვლაზე შევიდა, მაგრამ მას არც ზედმეტი წონა აწუხებდა და არც მორიდებული სახე ჰქონდა, პირიქით, თამაშზე სრულად იყო კონცენტრირებული და 88-ე წუთზე საჯარიმოს გარედან ბრწყინვალე დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა. ამით ყველაფერი დამთავრდა... დარენი ყოველთვის ასეთი იყო, როგორც წესი, გამარჯვებული რჩებოდა, რადგან სარგებელი თავისი გუნდებისთვის ყოველთვის მოჰქონდა.

ანდერტონი 90-იანი წლების უნიჭიერესი ინგლისური თაობის გამორჩეულ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. ამ თაობაში შირერი, შერინგემი, გასკოინი, ადამსი, პლატი და სხვები შედიოდნენ. არავინ დავობს, რომ მათ ნიჭი უხვად ჰქონდათ, მაგრამ დიდი გუნდის სახელი მაინც ვერ მოიპოვეს, მაგალითად, ისეთი, როგორც ზიდანის, დეშამის, ლიზარაზუსა და ტურამის თაობის ფრანგებმა. ამას დამსახურება უნდა. შირერი და კომპანია კი სანაკრებო ტიტულის გარეშე წავიდა ასპარეზიდან. არადა, შეეძლოთ... საუთგეიტის დარტყმამ და კიოპკეს ნახტომმა ყველას ოფლი და მუშაობაში ჩაქცეული სისხლი წყალს გაატანა. საშინაო ევროპირველობის გარდა ორი წლის შემდეგ ბექჰემითა და ოუენით გაძლიერებულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაც შეეძლო, მაგრამ საუბედუროდ არგენტინასთან თამაში უმეცარმა კიმ მილტონ ნილსენმა იმსაჯა.

**დარენ ანდერტონი** დაიბადა 1972 წლის 3 მარტს, სამხრეთი ინგლისის ქალაქ საუთჰემპტონში. ოჯახი საშუალო შეძლებისა იყო. დარენი ბავშვობაში აქტიურად იყო დაკავებული სირბილით. ის მშობლიური ქალაქის კლუბში მოხვედრას ცდილობდა, მაგრამ „საუთჰემპტონის“ იუნიორთა გუნდს ვერ გასცდა. დარენი **ალან ბოლის** მიწვევით „პორტსმუთში“ გადავიდა. *„გასაგებია, რომ სამხრეთულ გუნდებში ერთმანეთის ქიშპი განსაკუთრებულად იგრძნობა, მაგრამ მაშინ ეს ნაკლებად მაწუხებდა. მინდოდა, პროფესიონალი ფეხბურთელი გავმხდარიყავი“*, - განუცხადა მოგვიანებით ფეხბურთელმა ჟორიკანა „სანს“. ფეხბურთელი „პორტსმუთს“ ადვილად მოერგო. პროფესიული დებიუტი 18 წლის ასაკში მშვენიერი მიღწევაა. 1991-92 წლების სეზონში მისი გუნდი „ლივერპულს“ თასის ნახევარფინალში შეხვდა. თამაშის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა. კლასმა თავისი გაიტანა და ფინალში მერსისაიდელები გავიდნენ. საბოლოოდ, ტიტულს სწორედ ისინი დაეუფლნენ.

მიუხედავად მარცხისა, სწრაფი, ტექნიკური ანდერტონის თამაში შეუმჩნეველი არავის დარჩენია. 1992 წლის გაზაფხულზე „ტოტენჰემმა“ „პორტსმუთს“ ფეხბურთელში 1.75 მილიონი გირვანქა გადაუხადა, რაც მაშინდელი საზომებით სერიოზული თანხა იყო. 20 წლის ბიჭი დედაქალაქის დასაპყრობად გაემგზავრა. ტრანსფერის ინიციატორი **ტერი ვენეიბლზი** გახლდათ, ვისთანაც დარენს ძალზე თბილი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. 1994 წლის აგვისტოში ამ უკანასკნელმა ნაკრები ჩაიბარა და ჩვენი გმირი პირველსავე შეხვედრაში გამოიძახა.

დარენ ანდერტონი „ტოტენჰემის“ სიმბოლოდ აღიქმება. ლონდონი მის ქალაქად იქცა, ხოლო „მამლები“ - მის კლუბად. ფეხბურთელმა ერთსაც და მეორესაც საკუთარი ცხოვრების 12 წელიწადი დაუთმო. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში სუპერვარსკვლავებიც თამაშობდნენ, მხოლოდ ანდერტონი და „ტოტენჰემი“ იქცა ერთიან ცნებად. **შერინგემი, კლინსმანი, ბარმბი, ჟინოლა**... დიახ, „მამლების“ ფანები მათ დღემდე აღმერთებენ, მაგრამ მაინც, ანდერტონი სულ სხვანაირად უყვართ. 1995 წლის ზაფხულზე „უაით ჰართ ლეინი“ ბარმბიმ, კლინსმანმა და **პოპესკუმ** დატოვეს. ამის გაკეთება დარენსაც შეეძლო, მაგრამ პრეზიდენტმა **ალან შუგარმა** შეძლო მისი დარწმუნება, კიდევ დიდი ხნით დარჩენილიყო გუნდში. *„ცხოვრებაში მიღებულ გადაწყვეტილებებს საერთოდ არ ვნანობ ხოლმე, მაგრამ... ალექს ფერგიუსონი „იუნაიტედში“ დაჟინებით მიხმობდა, ვერ ვიტყვი, რომ წლების შემდეგ ეს არ ვინანე. დიდი „მანიუს“ ისტორია სწორედ მაშინ იწყებოდა. „ეშმაკებში“ გადაბარგებაზე უარი ვთქვი, რამაც ძირითადში ადგილი დევიდ ბექჰემს გაუხსნა. „ტოტენჰემში“ დავრჩი და ტრავმების ისტორიაც დაიწყო“.*

**დევიდ ბექჰემის** ტალანტი „იუნაიტედში“ გასაქანს მაინც ნახავდა, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა, დაუწერელი ამბავია. შემდეგ ხუთ წელიწადში ფეხბურთელმა იმდენივე დრო გაატარა ბაზასა და საფეხბურთო მინდვრებზე, რამდენიც ლაზარეთში. მავანმა გულშემატკივარმა მორიგი ტრავმის ამბის შეტყობის შემდეგ ანდერტონს „სიქნოუთი“ (ავადმყოფობის ისტორია) უწოდა. ფეხბურთელი ამით აღტაცებული არ დარჩენილა. *„დღევანდელი გადასახედიდან მეტსახელი სასაცილოა, რადგან კარიერის განმავლობაში 600-მდე შეხვედრა ჩავატარე. ვერ გეტყვით, ვის მოუვიდა აზრად ჩემთვის ასეთი სახელი შეერქმია, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მეგობრები და თანაგუნდელები ამას არ გააკეთებდნენ. ტრავმას ყველა იღებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მე მუდამ ისეთ დროს ვშავდებოდი, როცა „ამისი დრო“ ყველაზე ნაკლებად იყო. მაგალითად ევრო 96-ის წინ. სამაგიეროდ, როცა ჯანზე ვიყავი, ყოველთვის ძირითადში ვიყავი და ბოლომდე ვიხარჯებოდი“*, - იხსენებს წარსულს ვარსკვლავი.

1996 წლის ჩემპიონატი მისი ტურნირი იყო. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ეფექტურად უძღვებოდა საკუთარ საქმეს, შესანიშნავი გადაცემებით ამარაგებდა თავდასხმას და დაუღალავად ეხმარებოდა დაცვას. გერმანიასთან ნახევარფინალურ დაპირისპირებაში დამატებით დროში მან ბურთი ძელს მოარტყა, ხოლო პენალტების სერიაში ტყუილად დაელოდა საკუთარ რიგს. შესავალშიც გითხარით - საუთგეიტის დარტყმამ ანდერტონი და მისი თაობა წელში გატეხა. დარენი 1998 წლის ჩემპიონატზეც გაემგზავრა და იქაც ძირითადში ითამაშა. მისმა და ბექჰემის დუეტმა კოლუმბიასთან მოგება და პლეი ოფის საგზური გამოჭედა, შემდეგ კი მერვედფინალი იყო ფეერიული თამაში არგენტინასთან. დამატებით დროში ჰოდლმა ის **დევიდ ბეტით** შეცვალა, ამ უკანასკნელმა კიდევ პენალტების სერიაში **კარლოს როა** ვერ დაჯაბნა. ინგლისი ისევ გემბანს მიღმა აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში ექვსი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ითამაშა: ვენეიბლზი, ჰოდლი, **უილკინსონი, კიგანი, პიტერ ტეილორი** და **ერიკსონი**. მისი იმედი ყველას ჰქონდა და ყველა ენდობოდა, მაგრამ ტრავმა და ტკივილი ყველა მათგანის სურვილზე მაღლა დადგა.

2004 წელს „მამლები“ ფრანგმა **ჟაკ სანტინიმ** ჩაიბარა. ანდერტონის კონტრაქტს ვადა გასდიოდა და მოლაპარაკება ახალ შეთანხმებაზე უკვე გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული. ფრანგი სპეციალისტის ინიციატივით სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** კლუბის შეთავაზება უკან გაიხმო და ამით ფეხბურთელს გული საშინლად ატკინა. ანდერტონი შეერთებულ შტატებში სამკურნალოდ იყო, როცა მას ფაქსით შეატყობინეს, რომ კლუბი ხელშეკრულებას აღარ სთავაზობდა. *„ალბათ 12 წლის ერთგული სამსახურის შემდეგ ცოტა მეტ პატივს ვიმსახურებდი, მაგრამ მათზე გაბრაზებული მაინც არ ვარ“*, - განაცხადა ფეხბურთელმა. რაც შეეხება სანტინის, 2004 წლის 13 ნოემბერს, შინ, „არსენალთან“ 4:5-ის წაგების შემდეგ გამოაცხადა, პირადი პრობლემების გამო გუნდს ვტოვებო. ადგა ქუდი დაიხურა და საფრანგეთში დაბრუნდა, თუმცა განცხადება რომ არ გაეკეთებინა, ამას კლუბის ხელმძღვანელები აიძულებდნენ. გუნდს ხომ გასავარდნი ზონიდან სულ რაღაც ოთხი ქულა აშორებდა.

„ტოტენჰემიდან“ გაძევების შემდეგ ვარსკვლავმა კიდევ ერთი წელიწადი გაატარა ელიტაში, კერძოდ „ბირმინგემში“. აი, მერე კი საზოგადოების თვალთახედვის არედან სულ გაქრა. ჯერ პრემიერშიპის „ვულვერჰემპტონს“ შეაფარა თავი, 2006 წლიდან კი მშობლიურ სამხრეთ ინგლისს დაუბრუნდა და მას მერე „ბორნმუთში“ თამაშობდა. ანდერტონის გუნდი ყველაზე დაბალი რანგის პროფესიულ ლიგაში დაქვეითდა, სადაც მას თამაშის მოტივაცია უკვე აღარ შერჩა.

*„ფეხბურთისთვის თავის დანებება სეზონის ბოლოს მინდოდა, მაგრამ 36 წლის ასაკში თამაში უკვე გაუსაძლისი გახდა. არ მინდოდა, ვარჯიში და ფეხბურთის თამაში მექანიკურ პროცესად მექცია, ყველაფერი თვითდინებისთვის მიმენდო. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი მალე მომბეზრდებოდა, მე კი ფეხბურთს მაშინ შევეშვი, როცა ის ჯერ კიდევ სიგიჟემდე მიყვარს. ბოლო თამაშში, როცა გოლი გავიტანე ბურთმა მითხრა, რომ ის შესანიშნავად დავიმორჩილე და კარგად დავარტყი. გავიფიქრე, „ღმერთო, რას ვაკეთებ, ნუთუ ფეხბურთიდან მართლა მივდივარ?“, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. მშვენიერია, როცა კარიერა მაჟორულ ნოტაზე მთავრდება*, - გამოტყდა ფეხბურთელი. - *სტადიონიდან არცთუ ისე შორს ვცხოვრობ. დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობრების თამაშის სანახავად კიდევ მოვალ. ისიც ვიცი, რომ ისინიც მოვლენ ჩემს სახლში ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, ისე, როგორც ყოველთვის. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მომბეზრდეს უსაქმურობა და ფეხბურთში დავბრუნდე. ცხოვრებაში არასოდეს მითქვამს არასოდეს და ამას არც ახლა ვიტყვი“.*

ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივარს ასეთი ვარსკვლავის საფეხბურთო ეპილოგის მოსმენის შემდეგ, რა თქმა უნდა, გული დასწყდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ: დაისვენე, დარენ, შენ ეს ნამდვილად დაიმსახურე.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## ბენიტესის ახალი კონტრაქტი

"ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ესპანელი დამრიგებელი „ენფილდ როუდზე" 2004 წლის ზაფხულიდან მოღვაწეობს. მისი ხელმძღვანელობით, ლივერპულელებმა ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს. ამას გარდა, კიდევ ერთხელ გააღწიეს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ხოლო ამ სეზონში ინგლისის ჩემპიონობისათვის იბრძვიან. ოთხწლინახევრის წინ გაფორმებული ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. ბენიტესმა თავად გამოთქვა ხელშეკრულების გაგრძელების სურვილი. ინგლისელი მიმომხილველების ვარაუდით, მწვრთნელს ხელფასს გაუზრდიან. სენიორ რაფა ამბობს, რომ მისთვის ფინანსური საკითხი მეორეხარისხოვანია (ის ისედაც ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი დამრიგებელია). მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მხარეებს იმედი აქვთ, რომ დეტალებს უმოკლეს დროში შეათანხმებენ.

## მალუდა: იტალია თუ გერმანია?

"ჩელსის" ნახევარმცველი **ფლორან მალუდა** ლონდონიდან აბარგებას აპირებს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ფრანგ ნახევარმცველს იტალიური და გერმანული გრანდები ეპატიჟებიან. მალუდამ "ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. ის დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. გასულ ზაფხულს ფეხბურთელს "რომაში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებდნენ. შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ბოლო წუთს ფლორანმა "ჩელსიში" დარჩენა გადაწყვიტა. „ლიონის" ყოფილ ვარსკვლავს ლონდონური კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულში უმთავრდება. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. მხარეებს შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარები არ გაუკეთებიათ.

## ელერდაისი: იანვარში არავის გავყიდით

„ბლექბერნის" მთავარმა მწვრთნელმა **სემ ელერდაისმა** განაცხადა, რომ ის არ აპირებს გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელის გაშვებას. პირიქით, ის მხოლოდ გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს. *„ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თითოეულმა ფეხბურთელმა იცოდეს, რომ ვინმეს გაყიდვას არ ვგეგმავთ. „ვარდებში" მოვედი იმიტომ, რომ ვიცი აქ შეკრებილი ფეხბურთელების ძლიერი და სუსტი მხარეები. რატომ უნდა გავყიდო რომელიმე მათგანი, როცა ყველას გამოყენება შემიძლია? სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე, მწვრთნელები მიდიან გუნდში და ისე ყიდიან ამა თუ იმ მოთამაშეს, რომ მის რეალურ შესაძლებლობებზე წარმოდგენა არ აქვთ. ერთიცაა, სასურველი მაღალი კლასის ფეხბურთელის პრემიერლიგის გუნდიდან გადმობირება იმდენად გაძნელდა, როგორც არასდროს"*, - გამოუტყდა „დიდი სემი" „სქაი სპორტსს".

## კაფუ მოყვარულთა ლიგაში ითამაშებს

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი, ლეგენდარული **მარკუშ კაფუ** მომავალი წლის აპრილში რამდენიმე თამაშს ჩაატარებს ინგლისური სამოყვარულო ლიგის „გარფორტ თაუნში". ეს კლუბი ამჟამად მერვე ლიგაში თამაშობს და უფრო მაღალ დონეზე ასპარეზობის პრეტენზია არც აქვს. შეგახსენებთ, რომ ამავე კლუბში უკვე უთამაშიათ მარკუშზე არანაკლები სახელის მქონე „ჯადოქრებს", ლაპარაკია **სოკრატესსა** და **კარეკაზე**, - გვამცნობს „როიტერი".

## პორტსმუთი დიარას შემცვლელს ეძებს

„პომპეებმა" „შალკედან" ჰოლანდიელი **ორლანდო ენგელაარის** გადაბირება მოინდომეს. ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელი გერმანიაში ახალი სეზონიდან თამაშობს, თუმცა ციდან ვარსკვლავებს ვერ წყვეტს. ლაპარაკია, რომ „ხუმარებიდან" დაითხოვენ მის მფარველ **ფრედ რუტენსაც**. შესაბამისად, მას ბუნდესლიგის დატოვება მოუხდება. ასეთ შემთხვევაში, მას „პორტსმუთი" შეიფარებს. **ტონი ადამსი** მას **ლასანა დიარას** რეალურ შემცვლელად განიხილავს. ენგელაარი 6 მილიონი ევრო ღირს. ფრანგის შემცვლელად განიხილება ასევე „ტოტენჰემის" შუახაზელი **დიდიე ზოკორაც**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. წილისყრის გამოხმაურება




რანიერი და ლემპარდი. ისინი ერთმანეთს კვლავ შეხვდებიან



ძველი მეტოქეები, ჟოზე მოურინიო და ალექს ფერგიუსონი



ლუჩანო სპალეტის ლივერპულური ტესტი ელოდება

# აპენინებზე რევანში სწყურიათ

**პარასკევს გამართული ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის წილისყრა ევროპული მედიის ყურადღების ქვეშ რჩება. განსაკუთრებით იტალიელებს ექავებათ ხელები. აპენინელებს ხომ რევანში სწყურიათ...**

ჩემპიონთა ლიგის 1/8 ფინალური ეტაპის შეხვედრებიდან, ყველაზე დიდ ინტერესს იტალიური და ინგლისური კლუბების დაპირისპირება იწვევს. აპენინურ პრესაში ამ თემაზე ბევრს წერენ და იმედოვნებენ, რომ გასული სეზონისგან განსხვავებით, წლეული სწორედ სერია A-ს ბინადრები იძალებენ. შეგახსენებთ, რომ ლიგის გასულ სეზონში აპენინელები სწორედ ინგლისელებმა გამოთიშეს გათამაშებიდან: „ინტერი“ „ლივერპულმა“ დაიფრინა, „რომა“ ორჯერ იქცა „მანჩესტერის“ მსხვერპლად, „მილანი“ კი „არსენალთან“ დამარცხდა. პარასკევს ჩატარებულმა კენჭისყრამ იტალიურ-ინგლისური გუნდები კვლავ შეჰყარა ერთმანეთს: „იუვენტუსი“ „ჩელსის“ დაუპირისპირდება, „რომა“ „არსენალს“, ხოლო „ინტერი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“.

ვფიქრობთ, თქვენთვისაც საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ აპენინური გუნდების წარმომადგენლები, ფეხბურთელები და მწვრთნელები დიდ სალიგო ბატალიებზე. თავდაპირველად, „რომას“ პრეზიდენტ **როზელა სენსის** მოვუსმინოთ, ვინც კენჭისყრის შემდეგ არცთუ კარგ ხასიათზე გახლდათ:

*„წინ ძალიან საინტერესო დუელი გველის, რომელსაც დიდი იმედით ვხვდებით. იტალიის ჩემპიონატში საქმეები არცთუ კარგად მიგვდის და უნდა ვაღიაროთ, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლას ჩამოშორებულნი ვართ. გამომდინარე აქედან, ჩემპიონთა ლიგას ჩვენთვის დღეს განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლიგიდან გამოვარდნა ფინანსურადაც დიდი დარტყმა იქნება, ამიტომ მაქსიმალური მობილიზაციაა საჭირო, რომ ასეთი ძლიერი მეტოქის ბარიერის გადალახვა შევძლოთ“.*

**ლუჩანო სპალეტიმ** საფეხბურთო ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება: *„ინგლისელებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, „არსენალი“ სწრაფ და თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. მთავარია ტემპს ავყვეთ და ბრიტანელებს ფიზიკურ მომზადებაში არ ჩამოვრჩეთ. ლონდონელები აქცენტს ფლანგებზე აკეთებენ, ასე რომ, განაპირა უკანახაზელებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ. ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ, იტალიის ჩემპიონატში წარუმატებელი თამაშის ფონზე, ამას ჩვენთვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედია, სალიგო ბატალიებისთვის ფეხბურთელები ჯანმრთელნი იქნებიან, თითოეული მათგანი გუნდისთვის ძალიან საჭიროა“.*

საკუთარი აზრი გამოთქვა გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა **კრისტიან პანუჩიმ**. აი, რა განაცხადა ბომბარდირული თვისებებით დაჯილდოებულმა უკანახაზელმა:

*„ინგლისელებთან პაექრობა ყოველთვის ჭირს, რადგან მათ თამაშის თავისებური, განსაკუთრებული მანერა აქვთ. ბევრს დარბიან, ფლანგებს ტვირთავენ და მუდმივ დაძაბულობაში გამყოფებენ. მართალია, „არსენალი“ წმინდა ბრიტანულ სტილში არ თამაშობს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. არსენ ვენგერს დიდებული გუნდი ჰყავს, რომელიც ძალიან დიდ სისწრაფეზე თამაშობს. მცველებს ჯაფა დაგვადგება, თუმცა ჩვენ ამისთვის მზად ვართ. მთავარია, ჩვენი თამაში ვითამაშოთ, მეტოქე შევბოჭოთ და საგოლე მომენტები გამოვიყენოთ“.*

იტალიურ პრესაში „რომაზე“ იმედებს ამყარებენ, გუნდი ლიგაზე განსაკუთრებული კონცენტრაციით ითამაშებს და ეს „არსენალის“ ბარიერის დაძლევაში შესაძლოა გადამწყვეტი ფაქტორიც გამოდგეს. ნაკლებ ინტერესს იწვევს „იუვენტუსისა“ და „ჩელსის“ დაპირისპირებაც. ასეთ ჯახებს დამატებითი ინტრიგა ნამდვილად სჭირდებათ, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ **კლაუდიო რანიერი** თავის ყოფილ გუნდს დაუპირისპირდება. თავდაპირველად სწორედ რანიერის კომენტარს მოვუსმინოთ:

*„ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, თქვენ ზედმიწევნით კარგად იცნობთ „ჩელსის“ და ეს ალბათ საქმეს გაგიადვილებთო. რა თქმა უნდა, ეს სულელური კითხვა იყო, რადგან ჩემს ფორმაციას და თანამედროვე „ჩელსის“ საერთო არაფერი აქვთ, ვგულისხმობ შემადგენლობას, ტაქტიკა-სტრატეგიას და თამაშის სტილს. სკოლარის „ჩელსი“ ძალიან ძლიერია, თანაბრად დაკომპლექტებულია ყველა რგოლში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტაბილური. დარწმუნებული ვარ, სალიგო ბატალიებს არისტოკრატები სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან და თუ გვსურს, რომ შემდეგ ეტაპზე გავიდეთ, ანალოგიურად მობილიზებულნი უნდა ვიყოთ ჩვენც. რა არის „ჩელსის“ მინუსი? - ხარვეზები ამ გუნდსაც აქვს და ვეცდებით ეს მინუსები კარგად გამოვიყენოთ. დროგბასა და ანელკას თამაში არცთუ შთამბეჭდავია, ისინი ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს, რაც ამ გუნდის შეტევით პოტენციალს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამ ეტაპისთვის ყველაზე მეტად ტრავმირებულთა მდგომარეობა მაღელვებს, იმედია, ზამთრის შესვენებისას ლაზარეთი დაცარიელდება“.*

მომავალ პაექრობაზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა კლუბის მმართველმა დირექტორმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ**:

*„ვერ ვიტყვით, რომ წილისყრით ძალიან კმაყოფილები ვართ, მაგრამ არც უკმაყოფილების საბაბი გვაქვს. ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში სუსტ გუნდს ნამდვილად ვერ გადაეყრები და ყველა შემთხვევაში დიდი ბრძოლის გადატანა მოგიწევს. ლიგაში თამაში სწორედ იმიტომ არის კარგი, რომ იქ ევროპული ფეხბურთის გრანდებს ეპაექრები და საკუთარ შესაძლებლობებს მათთან ჭიდილში აფასებ. „ჩელსი“ ძალიან ძლიერია, ვფიქრობ, რომ სკოლარიმ ეს გუნდი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. არისტოკრატები კიდევ უფრო ცივსისხლიან ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე უწინ და შედეგიც შესაბამისი აქვთ. ჩემი აზრით, დღეს „ჩელსი“ პრემიერლიგის საუკეთესო კლუბია. რაც შეეხება „იუვეს“, გუნდის თამაშით ყველანი კმაყოფილები ვართ და ვცდილობთ მწვრთნელს სამუშაოდ ყველანაირი პირობა შევუქმნათ. ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ნამდვილად არ ვაპირებთ, ჩვენი მთავარი საზრუნავი ტრავმირებულ ფეხბურთელთა მკურნალობაა. „ჩელსისთან“ დაპირისპირებაში გრძელი სათადარიგო სკამი აუცილებელია“.*

„იუვენტუსის“ ლაზარეთი მართლაც სავსეა, გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, მათ შორის, ძირითადი კიპერი **ჯანლუიჯი ბუფონი**, ნახევარდაცვის ბურჯი **მაურო კამორანეზი** და ფორვარდი **დავიდ ტრეზეგე**. ტრავმირებული „ინტერსაც“ ბევრი ჰყავს და დროა სიტყვა „ნერაძურის“ კაპიტანს, **ხავიერ ძანეტის** დავუთმოთ:

*„ჩემპიონთა ლიგის მოგება ჩემი ოცნებაა და იმედია, სანადელს ამ სეზონში მაინც მივაღწევთ. ამ ტურნირში გამარჯვება ძალიან რთულია, რადგან პლეი ოფებიდან ევროპული ფეხბურთის გრანდებთან გიწევს გაჯიბრება. „მანჩესტერი“ ლიგის მოქმედი გამარჯვებული და მე თუ მკითხავთ, კონტინენტის საუკეთესო გუნდია. ვეცდებით, მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს და ბურთზე კონტროლი დავაწესოთ, სხვაგვარად ინგლისელებთან ვერაფერს მიაღწევ. ფავორიტი? - ფავორიტზე საუბარი არამართებული მგონია, შანსები 50/50-ზეა“.*

ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს **ჟოზე მოურინიო** და მისი კომენტარი იწვევს, პორტუგალიელი ხომ ძველ მეტოქეს, სერ **ალექს ფერგიუსონს** დაუპირისპირდება. მოვუსმინოთ განსაკუთრებულ კაცს:

*„კენჭისყრამდე განვაცხადე, რომ მსურდა ინგლისურ გუნდს დავპირისპირებოდი, „მანჩესტერი“ კი ნამდვილად მისწრებაა. ამ გუნდთან თამაში ყოველთვის რთულია, მაგრამ მე ვიცი, როგორ უნდა გამოვაგდოთ „წითელი ეშმაკები“ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირიდან. ის, რომ „იუნაიტედს“ საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. არ უარვყოფ, ფერგიუსონი დამატებით მოტივაციას მძენს და ვეცდები ძველი მეტოქე კიდევ ერთხელ დავამარცხო. რაც შეეხება ტრავმირებულ ფეხბურთელებს, ამაში საგანგაშო არაფერია. ფეხბურთში ტრავმა ჩვეულებრივი ამბავია და ამას ვერ გაექცევი. ინგლისელთა დასამარცხებლად საკმარისი რესურსი ნამდვილად გვექნება, მთავარია კონცენტრაცია და მონდომება“.*

ისე როგორ იქნებოდა, რომ იტალიელ ჟურნალისტებს აზრი **ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის** არ ეკითხათ. შვედი საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ:

*„ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ეს იქნება ჩემი და კრისტიანო რონალდოს დაპირისპირება. ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგან ორივე გუნდში არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია. მე ჩემი როლი მაკისრია იმ დიდ მექანიზმში, რასაც „ინტერი“ ჰქვია და ვცდილობ, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე წარმოვაჩინო. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, „ინტერს“ არ გაუმართლა, რადგან მეტოქედ ყველაზე ძლიერი გუნდი ხვდა წილადო. ჩემი აზრით, „მანჩესტერი“ მართლაც უძლიერესი გუნდია ევროპაში, მაგრამ ეს არ გვაშინებს და ვეცდებით ტიფოზებს დიდი სიხარული მივანიჭოთ“.*

სულ ბოლოს კი **მარჩელო ლიპის** მოვუსმინოთ. იტალიის ნაკრების მწვრთნელი მომავალს ოპტიმიზმით უყურებს: *„ჩემპიონთა ლიგის გასულ სეზონში ინგლისელებმა აშკარად გვაჯობეს და დროა რევანში ავიღოთ. იტალიურ გუნდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი მატჩებისთვის სათანადოდ განწყობა და სასურველი შედეგის მიღწევა. იმედია, ამჯერადაც ასე იქნება და ჩვენები მომდევნო ეტაპზე გავლენ. ინგლისელებს ძალიან ძლიერი გუნდები ჰყავთ, მათი პრემიერლიგა წლიდან წლამდე პროგრესირებს, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. „ინტერი“, „იუვენტუსი“ და „რომა“ თავის სიტყვას“ აუცილებლად იტყვიან. ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა იტალიელ ფეხბურთელებს ასეთ დონეზე უხდებათ ასპარეზობა. მართალია, „ნერაძურიზე“ ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ „იუვეს“ ამ მხრივ განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის. გვარებს არ დავასახელებ, უბრალოდ აღვნიშნავ, რომ ტურინელები იტალიურ ფეხბურთს არაერთ დიდ ფეხბურთელს უზრდიან“.*

**ლაშა წიკლაური**



ექსპერტის მოსაზრება

# ჩემპიონთა ლიგაში ჩვენს სიტყვას ვიტყვით!

## ბრაიტნერი ბაიერნის მომავალს ლამაზ ფერებში ხედავს

**„ბაიერნისა" და ზოგადად გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა პაულ ბრაიტნერი დღეს მიუნხენური გრანდის შეფ-სკაუტია. გაზეთ „ველტის" ჟურნალისტთან საუბრისას მან რეკორდმაისტერის აქტუალური მდგომარეობა შეაფასა და სამომავლო გეგმები გაამხილა. ბრაიტნერი საუბრობს იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეცვალა იურგენ კლინსმანმა „ბაიერნში". საით მიდის გერმანული ფეხბურთის უპირველესი გრანდის გზა? მოდით, პაულს მოვუსმინოთ...**

„როდესაც იურგენ კლინსმანი „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, განაცხადა, რომ მისი მიზანი თითოეული ფეხბურთელის ყოველდღიური პროგრესი იქნებოდა. ფაქტია, რომ ბევრმა ამ განცხადებას ისე შეხედა, როგორც პოპულისტურ ნათქვამს, ანაც სარეკლამო, ასე ვთქვათ, საპლაკატო ფრაზას. ფაქტია ისიც, რომ მას მერე ექსპერტები და კრიტიკოსები კლინსის ამ სიტყვებს ძალიან ხშირად იხსენებენ.

პრაქტიკაში იურგენის ამ განცხადების შინაარსი და ახსნა ასეთია: თითოეულმა ფეხბურთელმა ნაბიჯ-ნაბიჯ, ნიუანსიდან ნიუანსამდე პროგრესი უნდა განიცადოს. თუკი კლინსმანის მოსვლის დღიდან დღემდე არც ერთი მოთამაშე არ გამხდარა ექსტრაკლასის ფეხბურთელი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პროგრესს არ განიცდიან. არსებობს უამრავი კომპონენტი, რაც „ბაიერნის" ფეხბურთელებმა აშკარად გააუმჯობესეს, მაგრამ ამ კომპონენტების დანახვა ყველას როდი შეუძლია. ამას მხოლოდ ექსპერტები ხედავენ. სამაგიეროდ, თითოეული მათგანი თვალსაჩინო მაშინ ხდება, როდესაც ესა თუ ის ფეხბურთელი 92-ე წუთზე გადამწყვეტ გოლს გაიტანს. თუმცა, კრიტიკოსები ასეთ დროს იღბალზე ლაპარაკობენ ხოლმე, არადა, ისევე, როგორც ზოგადად ცხოვრებაში, შემთხვევით ფეხბურთშიც არაფერი ხდება. რეალურად, ასეთი რამ შრომის, მაღალი კონდიციისა და კონცენტრაციის შედეგია. შემთხვევითობა სულაც არ არის, რომ ფეხბურთელი საჭირო დროს საჭირო ადგილზე ჩნდება და გააქვს გოლი, რომელიც მის გუნდს იმ მომენტში ძალიან სჭირდებოდა.



ბაიერნის შეფ-სკაუტი პაულ ბრაიტნერი

იურგენ კლინსმანის მთავარი დამსახურება ისაა, რომ „ბაიერნის" მწვრთნელი პასუხისმგებლობას თითოეულ ფეხბურთელზე თანაბრად ანაწილებს. ჩვენ, გერმანელები, დიდხანს ვერ ვაცნობიერებდით იმას, რომ ფეხბურთელმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლისგან. გაიხსენეთ, ეს მიდგომა პირველად სწორედ კლინსმანმა დაამკვიდრა გერმანიის ნაკრებში და მას ამის გამო თავიდან ძალიან აკრიტიკებდნენ. მისგან არც სპორტული მედიცინის ამერიკული წესების გაგონება სურდათ და არც იმის, რომ საფეხბურთო გუნდს შესაძლოა, ფსიქოლოგები ძალიან ესაჭიროებოდეს. კლინსის დიდი სამწვრთნელო შტაბის გამოც აკრიტიკებდნენ. არადა, გამოჩნდა, რომ გუნდს ეს ყველაფერი სჭირდება და მერე როგორ! თავად განსაჯეთ: როცა მე 1974 წელს მადრიდის „რეალში" გადავედი, იმხანად სამეფო გუნდს 6 მწვრთნელი ჰყავდა. ერთი თავდამსხმელებს ავარჯიშებდა, მეორე ნახევარმცველებს, მესამე მცველებს, მეოთხე მეკარეებს, ერთი მთავარი მწვრთნელი იყო, მეექვსე კი ფიზმომზადების სპეციალისტი...

დღეს „ბაიერნს" ჰყავს მწვრთნელი, რომელიც ამ ყველაფერს ითხოვს და ეს ძალიან კარგია. ფაქტია, რომ ფეხბურთელებს კლინსის ხელი დაეტყოთ. თანაც, იურგენს სხვადასხვა მოთამაშეისთვის სხვადასხვა პროგრამა აქვს მომზადებული. მაგალითად, 1.6 მეტრი სიმაღლის ფეხბურთელს სხვა სტილით ვარჯიში ესაჭიროება, 1.9 მეტრი სიმაღლის მქონეს კი - სხვა. მცველი სულ სხვა კომპონენტებში უნდა ავარჯიშო, თავდამსხმელი კი სხვა და ა.შ. ზოგადად, ეს ყველაფერი ახალი არ არის, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ბევრისთვის მართლაც სიახლე ყოფილა. ზოგიერთისთვის კი სულაც გაუგებარი.

თავიდან, კლინსის სამწვრთნელო შტაბის ქმედებები ბევრისთვის შოკი იყო. დღეს კი ყველა აღფრთოვანებულია იმით, რომ გუნდი 90-95 წუთის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძვის. თუკი საუკეთესო სპორტულ ფორმაში არ ხარ, 92-ე წუთზე კონცენტრირებული ვერ იქნები. ზოგადად, გუნდის შეცვლას და შენს გემოზე მოწყობას ძალიან დიდი დრო სჭირდება. იურგენმა რეკორდმაისტერში ბევრი რამ სცადა, რაღაც-რაღაცები არ გამოუვიდა, ბევრი რამ კი გამოუვიდა და ბოლოს და ბოლოს, თითქოს მიაგნო იდეალურ სქემასა და სისტემას. ცხადია, ჩვენ, ყველანი, ვისურვებდით. რომ შედეგები თავიდანვე იდეალური ყოფილიყო, მაგრამ ასე არ ხდება ხოლმე. მთავარია, რომ მას ფეხბურთელები აჰყვნენ. თუმცა 29-30 წლის მოთამაშეს ორ კვირაში ვერ შეცვლი. სამაგიეროდ, მას მერე, რაც წარმატებების სერია დაიწყო, გუნდი უფრო და უფრო თავდაჯერებული ხდება.

ვფიქრობ, ამავე სეზონში შევძლებთ იმას, რომ ჩემპიონთა ლიგაში წონადი სიტყვა ვთქვათ. ჩვენ არ გვინდა, რომ „ბაიერნმა" რომელიმე გუნდის მსგავსი ფეხბურთი ითამაშოს და ჩვენ არავის ვედრებით. რეკორდმაისტერის მიზანი მაქსიმალურად სწრაფი ფეხბურთის თამაშია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს თავზე ხელაღებული ფეხბურთი. შეუძლებელია, რომ გუნდმა ყოველი კომბინაცია ერთი შეხებით ააწყოს..."

გოტფრიდ ლენცი




ინტერვიუ

ხავიერ ძანეტი



# ჯერ კიდევ მაქვს დრო საიმისოდ, რომ რაღაც შევცვალო

**„ინტერის" არგენტინელმა კაპიტანმა 35 წლის ხავიერ ძანეტიმ წლეულს „ნერაძურის" რიგებში 617-ე მატჩი ჩაატარა, კონკრეტულად სერია A-ში კი 445 შეხვედრა გამოუვიდა. 1995 წლის 27 აგვისტოს, „ვიჩენცასთან" სადებიუტო მატჩიდან (1:0 „ინტერის" სასარგებლოდ) მოყოლებული, არგენტინელი დღემდე „ინტერის" ერთგული რჩება. გუნდში მისი პოზიცია არც ერთ მწვრთნელს არ დაუყენებია ეჭვქვეშ. მილანში გატარებული 13 სეზონის განმავლობაში მასზე საუბრობენ საუბრობდნენ, როგორც ნიჭიერ დებიუტანტზე, დღეს კი ის უკვე „ინტერის" სიმბოლოა. მისი მიღწევების კოლექციაც მდიდარია და მოიცავს სამ სკუდეტოს, იტალიის ორ თასს და სამ სუპერთასს, ასევე უეფას თასს. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს იმას, რომ თავის დროზე „ნერაძურის" ხელმძღვანელობამ ძანეტისთან დაკავშირებით სწორი არჩევანი გააკეთა და ეს მოხდა იმ დროს, როცა ხავიერს მხოლოდ 3 სეზონი ჰქონდა ჩატარებული არგენტინაში - ჯერ „ტალიერესის", შემდეგ კი „ბანფილდის" შემადგენლობაში...**

**ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი არგენტინელ ვეტერანს „ინტერის" საწვრთნელ კომპლექს „აპიანო ჯენტილეში" ესაუბრა...**

**- ხავიერ, „ინტერთან" ერთად 600-ზე მეტი მატჩი ითამაშეთ. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

- ძალიან ბევრს. ეს ხომ „ინტერია", რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდად მიიჩნევა. მეამაყება, რომ ამ გუნდთან მრავალი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. ჩემს გულში განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ტიტულებს, რომელიც „ინტერთან" ერთად მოვიპოვე.

**- ალბათ, გამორჩეულად დაგამახსოვრდათ უეფას თასის 1998 წლის ფინალი, როცა „ლაციოს" 3:0 მოუგეთ?**

- რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს, რადგან ეს იყო პირველი ჯილდო, რომელიც „ინტერთან" ერთად მოვიგე. მატჩში გოლის გატანა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც ევროპული ტურნირის ფინალი და მისი დავიწყება შეუძლებელია.

**- და რისი გახსენება არ გსიამოვნებთ?**

- ეჭვგარეშეა, იმ თამაშის, რომელიც „ოლიმპიკოზე" იმავე „ლაციოსთან" 4:2 წავაგეთ და თითქმის განაღდებული სკუდეტო ხელიდან გავუშვით. 2002 წლის 5 მაისი „ინტერთან" დაკავშირებული ყველა ადამიანისთვის უსიამოვნო დღე იყო.

**- როცა გუნდში მოხვდით, „ინტერი" წარმატებული წარსულით ცხოვრობდა, მაგრამ ახლა კლუბი ჯილდოების შეგროვებას განაგრძობს. რით ახსნით ამ ტრანსფორმაციას?**

- წარსულს თავისი ადგილი აქვს, აწმყოს - თავისი. რაც კი გუნდში პრობლემები იყო, ყველაფრის გადაჭრა მოვახერხეთ. ახლა საკუთარი თავი ვიპოვეთ, რამაც ჩვენი კონკურენტუნარიანობის გაზრდას შეუწყო ხელი და რისი წყალობითაც ვიგებთ ჩემპიონატებსა და თასებს.

**- სხვაგან თამაში არასდროს გიცდიათ?**

- შემეძლო ინგლისში ან ესპანეთში წავსულიყავი, მაგრამ თავს მხოლოდ „ინტერთან" ვაიგივებ და ამიტომაც გადავწყვიტე დარჩენა.

**- თქვენ უდიდესი ფეხბურთელების გვერდით გითამაშიათ. რას იტყოდით რონალდოზე?**

- ის დიდი და ჭეშმარიტი ჩემპიონია. მქონდა უდიდესი ბედნიერება, მისი თანაგუნდელი ვყოფილიყავი. ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელები იშვიათად გვხვდება. საუკეთესო წლებში რონალდო უბრალოდ შეუდარებელი იყო.

**- როგორ ახსნით იმას, რომ ზოგიერთმა მოთამაშემ, მაგალითად - ანდრეა პირლომ და კლარენს ზეედორფმა, „ინტერში" ვერ გაიბრწყინეს, სამაგიეროდ, გამწევ ძალად იქცნენ „მილანში"?**

- ეს თითოეული მოთამაშის ინდივიდუალური ევოლუციის შედეგია. ეტყობა, იმ პერიოდში მათ ცხოვრებისეული სიძნელეების გადალახვა მოუხდათ და ამიტომაც ვერ ითამაშეს მაღალ დონეზე. არადა, ჩვენ ახლა ვსაუბრობთ თანამედროვეობის ორ დიდ ფეხბურთელზე. ორივემ საუცხოო კარიერა შეიქმნა და მრავალი ტიტულიც მოიპოვა.

**- კრისტიანო რონალდოსა და ლიონელ მესის დარად, ბევრი ფეხბურთელი ბურთთან კონტაქტის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ ბევრიც, ისევე, როგორც თქვენ, ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. ამ ორი კრიტერიუმიდან რომელი უფრო ფასობს?**

- ორივე! არ აქვს მნიშვნელობა, რა უფრო მეტად ახასიათებს ამა თუ იმ ფეხბურთელს, მთავარია, ის სრულად იხარჯებოდეს და ხელს უწყობდეს გუნდის წინსვლას.

**- არ ნანობთ, რომ არასდროს მოგიგიათ ჩემპიონთა ლიგა და მუნდიალი?**

- ჯერ კიდევ მაქვს დრო საიმისოდ, რომ რაღაც შევცვალო და იმედია, ამასაც მივაღწევ.

**- რას ფიქრობთ არგენტინელ ფეხბურთელთა იმ თაობაზე, რომელმაც 2008 წელს პეკინის ოლიმპიადა მოიგო?**

- ყველა მათგანი შესანიშნავი ფეხბურთელია. ისინი დიდ კლუბებში ქმნიან თავიანთ კარიერას და ამით ეროვნული გუნდიც სარგებლობს. ახალი თაობის მოთამაშეები განსხვავდებიან გაბრიელ ბატისტუტასა და დიეგო სიმეონეს დროინდელი ფეხბურთელებისგან, რომლებიც უფრო ბრძოლისუნარიანები იყვნენ. ახალი თაობა უფრო ტექნიკურია და ზოგიერთს შეუძლია, მატჩის ბედი ერთპიროვნულადაც კი გადაწყვიტოს. იმედი ვიქონიოთ, რომ პეკინის ტრიუმფი არგენტინული ფეხბურთის დიდი წარმატების საწინდარი იქნება, რადგან ის გამარჯვებას იმსახურებს!

**- რას იტყვით 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირზე? როგორ მიდის „ალბისელესტეს" საქმეები?**

- რვა მატჩია დარჩენილი და ჩვენ არცთუ ურიგო პოზიცია გვაქვს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სამხრეთ აფრიკის საგზური რაც შეიძლება ადრე მოვიპოვოთ. ამის შემდეგ უფრო მშვიდად მოვემზადებით მსოფლიო თასის ფინალური ტურნირისთვის.

**- როგორ შეიცვალა ფეხბურთი მას მერე, რაც თამაში დაიწყეთ?**

- ძალიან შეიცვალა, თუ ვიგულისხმებთ კარგ და ცუდ მხარეებს. შეუძლებელია, ახლა ყველაფერზე ვისაუბრო, ამისთვის დიდი დრო დამჭირდება... საერთოდ, ვფიქრობ, რომ სპორტისთვის ცვლილებები აუცილებელია.

**- „ანორთოსისისა" და „კლუჟის" წლევანდელი საჩემპიონთალიგო კამპანიის მაგალითზე შეგვიძლია იმის თქმა, რომ შემცირდა სხვაობა ევროპის ძლიერ და სუსტ გუნდებს შორის?**

- ზუსტად იგივე აზრი დამებადა იმ დღეს, როცა „ინტერი" „ანორთოსისს" ეთამაშებოდა. დღევანდელი ფეხბურთი უფრო დაბალანსებულია, იოლი თამაშები, წარსულს ჩაბარდა. ერთმა პატარა შეცდომამაც კი, შეიძლება, მატჩის შედეგზე იმოქმედოს.

**- 2010 წლის მუნდიალი თქვენთვის ბოლო დიდი ტურნირი იქნება?**

- შესაძლოა... თუმცა ჯერ უნდა მოვხვდეთ სამხრეთ აფრიკაში... ხოლო რაც შეეხება 2014 წლის მსოფლიო თასს, ვფიქრობ, იქაც ვიქნები, ოღონდ, არგენტინის ნაკრების გულშემატკივრის რანგში...

დავით ჩუბინიძე

ბიბლიოთეკა

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ — სამხრეთამერიკული ფეხბურთი

# იქ, დასავლეთ ნახევარსფეროში...

# მშიერი ვარსკვლავი

## ბოკა ხუნიორსს ღარიბი, მაგრამ თვითნაბადი მარგალიტი ჰყავს, მას გაფრთხილება და გაზრდა სჭირდება




ბოკა ხუნიორსის ულარიბესი ფეხბურთელი კრისტიან ჩავესი

ფეხბურთი საოცარი თამაშია. ის არა მარტო ლამაზი შეტევებითა და დრიბლინგებით, არამედ დაუჯერებელი ისტორიებით გვაოცებს. ეს არის დემოკრატიული სპორტი, სადაც ღარიბსაც და მდიდარსაც თანაბრად კარგად შეუძლია თამაში. ერთი არგენტინელი ბიჭის ისტორია ნაწილობრივ დაამსხვრევს იმ სტერეოტიპს, რომელიც პროფესიონალი ფეხბურთელების მყისიერ გამდიდრებას უკავშირდება. სიმდიდრემდე და შესაბამისად, პოპულარობამდე ძალიან დიდი გზა არის გასავლელი. ბოკახუნიორსელი **კრისტიან ჩავესი** ჯერ მხოლოდ ამ გზის დასაწყისშია. ის ყოველ დილით ბუენოს აირესის ყველაზე ღარიბული უბნის ერთ-ერთი ყველაზე მილეხილი სახლიდან სავარჯიშოდ „ბოკას" ბაზაზე მიდის ხოლმე. როგორც წესი, სახლიდან გასვლის წინ დედას, **სენიორა როსას** სადილს უკვეთს, თუმცა დედას შვილის თხოვნის შესრულების შესაძლებლობა ყოველთვის არა აქვს. მათი მენიუ ძირითადად ბრინჯს შეიცავს. სადღესასწაულო და გამონაკლის ბედნიერ დღეებში ბრინჯს ქათმისა და საქონლის ხორციც ემატება. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ კრისტიან ჩავესს ძალიან უჭირს. არადა, ის სპეციალისტების მიერ არგენტინული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად არის შერაცხული. ჩავესს „ბოკა ხუნიორსთან" პროფესიული კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ არგენტინა არც ინგლისია და არც ესპანეთი. ამ ულამაზეს ქვეყანას სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს. შესაბამისად, ფეხბურთელებს, თუ, რა თქმა უნდა, **რიკელმესა** და **პალერმოს** დონის ვარსკვლავებზე არ ვსაუბრობთ, არცთუ სახარბიელო ხელფასები აქვთ. თუ ახალგაზრდა ხარ და ჯერ ყველაფერი დასამტკიცებელი გაქვს, არგენტინაში კარგ გასამრჯელოს მითუმეტეს ვერ გადაგიხდიან. არადა, კრისტიან ჩავესი მართლაც უნიჭიერესია. ეს მან რამდენიმე დღის წინ „სან ლორენსოსთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაამტკიცა. მოგეხსენებათ, „ბოკა ხუნიორსი", „ტიგრე" და „სან ლორენსო" საჩემპიონო სამთა ტურნირს მართავენ. „ბოკამ" ხვალინდელ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თამაშის უფლება სწორედ „სან ლორენსოს" დამარცხების წყალობით მოიპოვა. იმ შეხვედრის ბოლო წუთზე ჩავესმა საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა. მან ეს „ბოკას" მაისურით მოახერხა, გუნდისა, რომელიც ნებისმიერ ევროპულ გრანდს შეეჭიდება და არაფერს დაუთმობს. მიუხედავად ყველაფრისა, კრისტიანო ისევ სიღარიბეში ცხოვრობს.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ ეს ბიჭი საყმაწვილო გუნდში თამაშობდა და ოჯახის გაჭირვებით გულდათუთქული თავისუფალ დროს ბოთლებს აგროვებდა. ჩასაბარებელ პუნქტში მილებული გროშებით კი პურსა და პირველადი მოხმარების საგნებს ყიდულობდა. რუტინული ერთფეროვნება ჩავესს ფეხბურთის სიყვარულს არ უნელებდა. რაოდენ დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, საფეხბურთო სკოლაში მაინც მიდიოდა და გულმოდგინედ ვარჯიშობდა. ჩავესზე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მას მართლაც ძალიან დიდი მომავალი ელის. რამდენიმე წლის შემდეგ კრისტიანოს ევროპულ გრანდში ვიხილავთ. შესაძლოა, ეს „ბარსელონა" იყოს ან მადრიდის „რეალი". კრისტიანოს საფეხბურთო თავგადასავალი ისევე დაიწყო, როგორც თითქმის ყოველი არგენტინელი ბიჭუნას საფეხბურთო ცხოვრება იწყება ხოლმე. 6 წლის ასაკში მამამ „ბოკა ხუნიორსის" სკოლაში მიიყვანა. 12 წლამდე მას სერიოზულად არავინ აღიქვამდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველამ დაინახა, რომ პატარა კრისტიანო უნიჭიერესი ბავშვი იყო. მან ერთ-ერთ ტურნირზე ფურორი მოახდინა. სხვათაშორის, თავად ჩავესიც მიხვდა, რომ ფეხბურთი კარგად გამოსდიოდა და მხოლოდ ბოთლების იმედად რომ არ ყოფილიყო, ქუჩაში ფულზე თამაში დაიწყო. აი, როგორ იხსენებს იმ დროს „ბოკას" ამომავალი ვარსკვლავი: *„სკოლისთვის ვერ ვიცლიდი ხოლმე. თითქოს ეს ღარიბი ბავშვების ბედისწერაა. ჩემი მშობლები მუშაობით წელში წყდებოდნენ, მაგრამ ფული არასოდეს გვყოფნიდა. თვეში ერთი კვირა მშივრები ვიყავით. დანარჩენი სამი კვირა კი ერთფეროვანი, უგემური საკვებით ვიკვებებოდით. ამით შეწუხებულმა სახიფათო თამაში წამოვიწყე. ჩემს მეგობრებთან ერთად ბუენოს აირესის სხვადასხვა ქუჩაში დავდიოდი და ფულზე ვთამაშობდი. უფრო ხშირად ვიგებდი, მაგრამ მოგებულ თანხას ძალიან იშვიათად გვაძლევდნენ. რა უნდა გვექნა, პატარები ვიყავით და ხმას ვერ ვიღებდით. ახლაც საკმაოდ გვიჭირს, თუმცა იმ დროსთან შედარებით, მილიონერები ვართ."*

მოგვიანებით ჩავესი რეგიონალლიგის გუნდ „ატლასში" მოხვდა. ერთ მშვენიერ დღეს მისი კლუბი „ველეს სარსფილდს" შეხვდა. კრისტიანომ ორი გოლი გაიტანა. ჟურნალისტები ამ ყმაწვილზე უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ, მაგრამ მისთვის თავზე ხელი არავის გადაუსვამს. ცხოვრება ისევ რთული კალაპოტით გაგრძელდა. 15 წლის ასაკში ჩავესი „ატლასთან" ერთად მეოთხე დივიზიონში გადავიდა და სეზონის სადებიუტო შეხვედრაში დაუჯერებლად ლამაზი თავური გოლი გაიტანა. სამოყვარულო კამერით გადაღებულ იმ კადრს უკლებლივ ყველა არგენტინული არხი თითქმის ორი თვის განმავლობაში ატრიალებდა. ჩავესი ამ წარმატებებით არ კმაყოფილდებოდა და კიდევ უფრო დიდი შემართებით ვარჯიშობდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ ნიჭიერი ყმაწვილი იმ გუნდმა დაიბრუნა, რომელმაც პირველი საფეხბურთო გაკვეთილები ჩაუტარა. „ბოკა ხუნიორსი" ახლა მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებს. კრისტიანოზე **კარლოს ბილარდოსაც** ძალიან კარგი წარმოდგენა აქვს. აი, როგორ ახასიათებს ლეგენდარული არგენტინელი სპეციალისტი თინეიჯერ ფეხბურთელს: *„ჩავესი საოცარი მოვლენაა. ახლა მთავარია, მას კარგად გავუფრთხილდეთ და მის ნიჭს სწორი მიმართულება მივცეთ. კრისტიანოს მეკარის გარდა, ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ოდნავადაც არ ვაჭარბებ. კარგი მწვრთნელი მისგან არაჩვეულებრივ მცველს, თავდამსხმელს ან ნახევარმცველს დააყენებდა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩავესი კიდევ უფრო განვითარდება და არგენტინის ეროვნულ გუნდშიც მოიკიდებს ფეხს. „ბოკა ხუნიორს" დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რამეთუ მის შემადგენლობაში ჩვენი ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ამომავალი ვარსკვლავი ირიცხება."*

სიღარიბეში გაზრდილ ყმაწვილს კარლოს ბილარდოს საქებარი სიტყვები ძალიან ახარებს, თუმცა რთულმა ცხოვრებამ იმდენად ადრეულ ასაკში დააბრძენა, რომ საფრთხესაც ხედავს. მას ეშინია, ქება თავში არ აუვარდეს და მუშაობას არ უკლოს, თუმცა ამისგან დაცვის საუკეთესო საშუალება თვითკრიტიკა და მამამისის მკაცრი ხასიათია. ჩავესს მამამისი სისტემატურად აკონტროლებს და ჭკუას არიგებს. კრისტიანომ მშვენივრად იცის, რომ დიდ ალმართს მხოლოდ ახლა შეუდგა და წინ ჯოჯოხეთურად რთული გზა ელის, თუმცა მას საოცნებო მიზანი უკვე დასახული აქვს: *„დღეს ყველაზე მეტად არგენტინის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მსურს. ამ მიზანთან ერთი ნაბიჯი გვაშორებს. დარწმუნებული ვარ, „ტიგრეს" დავამარცხებთ და ყველა გავიხარებთ. მომავალს რაც შეეხება, შესაძლოა, ვინმეს თავხედურად მოეჩვენოს, მაგრამ დაახლოებით ისეთივე ოცნებები მაქვს, როგორიც მარადონას ჰქონდა. დიეგოს თავს არ ვადარებ, ღმერთმა დამიფაროს, უბრალოდ, ფეხბურთი ისე მიყვარს, მინდა, ყველაზე პრესტიჟულ ტიტულებს დავეუფლო. არგენტინის ნაკრებში მოხვედრა და მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვება ყველაზე დიადი მონაპოვარი იქნება. იმისათვის, რომ ეს მხოლოდ ლამაზ სიტყვებად არ დარჩეს, თავდაუზოგავი შრომა, ტკივილის ატანა და ტანჯვასთან შეგუებაა საჭირო. მე ყველაფრისთვის მზად ვარ. მწვრთნელები მეუბნებიან, რომ ღმერთმა ნიჭი მიბოძა, დანარჩენი კი ჩემი გასაკეთებელია."*

„სან ლორენსოს" კარში გატანილმა გოლმა თვით **დიეგო მარადონაც** აღაფრთოვანა. „ალბისელესტეს" მწვრთნელი „ბოკას" ცნობილი ინჩასია. ამიტომ ჩავესის წარმატებამ ის ორმაგად გაახარა. მარადონა მზად არის, კრისტიანოს შეხვდეს და მისი გამოცდილება გაუზიაროს. არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ამის შესახებ ერთ-ერთი სატელევიზიო არხის ეთერით განაცხადა. „ბოკა ხუნიორსის" ახალგაზრდა ფეხბურთელი მარადონას სიტყვებით გაოგნებული დარჩა. ის ასეთ დაფასებას არ ელოდა, მაგრამ გააცნობიერა, რომ დიეგოს განცხადება არ დასიზმრებია და მის ზარს მოუთმენლად ელის. მარადონამ გამთენიის 4 საათზეც რომ დარეკოს, საწოლიდან წამოფრინდება და იქ წავა, სადაც ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა დაიბარებს.

სატრანსფერო ოროვტრიალი

# სტრაჩანი ბორუცს ვერ შეელევა

## ბეენჰაკერი პოლონეთის ნაკრებს დატოვებს?

„სელტიკის" კარის დარაჯი, პოლონელი **არტურ ბორუცი** შოტლანდიას დატოვებს და სათამაშოდ სხვა ქვეყანას მიაშურებსო, სულ უფრო ხშირად იწერება ბრიტანულ პრესაში. ხსენებული პერსპექტივა სულაც არ ხიბლავს „კელტების" თავკაც **გორდონ სტრაჩანს**. გლაზგოური „სანდი ჰერალდის" კორესპონდენტთან საუბრისას მან ასეთი გარიგების პერსპექტივა კატეგორიულად გამორიცხა. *„არც ერთი კონკრეტული წინადადება არ მიგვიღია და რომც იყოს, თუკი სოლიდურ გუნდობაზე პრეტენზია გვაქვს, წამყვანი მოთამაშეები არ უნდა გავასხვისოთ"*, - აღნიშნა შოტლანდიელმა სპეციალისტმა. გერმანული პრესა წერდა, რომ „ბაიერნი" მზად იყო, პოლონელ კარის დარაჯში 10 მილიონი ევრო გადაეხადა.

ლისაბონის „ბენფიკის" ესპანელი თავკაცი **კიკე სანჩეს ფლორესი** მზადაა, დონეცკის „შახტარს" ბრაზილიელ **ფერნანდინიოში** 8 მილიონი ევრო შეაძლიოს. ის გასულ წელს უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, თუმცა წელს ბევრად უფრო სუსტად გამოიყურება, რაც მის საბაზრო ფასზე ჯერ არ ასახულა. იქამდე, ვიდრე მისი ღირებულება მართლა დაეცემა, შესაძლოა, უკრაინელებმა მისი გასხვისება მართლა გადაწყვიტონ. ბრაზილიელის ხელშეკრულებას დონეცკელებთან ვადა 2010 წლის ივნისში გასდის.

„ფულჰემის" თავკაცმა **როი ჰოჯსონმა** განაცხადა, რომ არ არის დარწმუნებული, რომ მისი გუნდისა და ინგლისის ნაკრების კანდიდატი **ჯიმი ბულარდი** კლუბში კიდევ დიდი ხნით დარჩება. მისით დაინტერესებულია რამდენიმე პრემიერლიგური კლუბი. *„ჩვენი სიტუაცია რაღაცით ჰგავს ოუენის მდგომარეობას. სხვები სარგებლობენ იმით, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელს ახალ ხელშეკრულებას არ სთავაზობს და ჯიმის ათასგვარი დაპირებებით თავბრუს ახვევენ. სხვაობა ის არის, რომ მას ჩვენთან კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევრით აკავშირებს. ბულარდი ჩვენი გუნდისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ ყველაფერს - არა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის დარჩეს, მაგრამ პირობას ვერ მოგცემთ, რომ ეს აუცილებლად მოხდება"*, - განუცხადა „სქაი სპორტსს" გამოცდილმა სპეციალისტმა.

„მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო კარის დარაჯ **ბენ ფოსტერს** კარიერის სხვა კლუბში გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი აქვსო, - წერს „ნიუს ოფ ზე ვორლდი". მოგეხსენებათ, **ედვინ ვან დერ სარმა** „ეშმაკებთან" კონტრაქტს ხელი მოაწერა და „ოლდ ტრეფორდზე" კიდევ ერთი წლით დარჩება. შესაბამისად, ბენი კიდევ წელიწადნახევარი უნდა ელოდოს თავის შანსს. არადა, შესაძლოა, რეგულარული სათამაშო პრაქტიკის შემთხვევაში ის **ფაბიო კაპელომ** ნაკრებშიც კი მიიწვიოს. ბენის გადაბირება „ასტონ ვილას", „ტოტენჰემსა" და „მიდლსბროს" უნდათ.

პოლონური სპორტული საიტების ცნობით, **ლეო ბეენჰაკერმა** შეიძლება პოლონეთის ნაკრების თავკაცის პოსტი დატოვოს და რომელიმე ადგილობრივი კლუბი ჩაიბაროს. ამაში ის თავად გამოუტყდა პოლონურ რადიოს. მისი განცხადებით, ის სიამოვნებით იმუშავებდა რომელიმე ამბიციურ კლუბში და გაიყვანდა მას ჩემპიონთა ლიგაში.ბეენჰაკერის სამსახურით დაინტერესებულია „სანდერლენდიც", რომელსაც ამჟამად დროებითი დამრიგებელი ჰყავს.

შალვა ბიბილაშვილი

ამბები

# სითი: 25 მილიონი დიეგო ლოპესში?

იანვრის ტრანსფერებისას „მანჩესტერ სიტი" სოლიდური თანხის დახარჯვას აპირებს. „დეილი მეილის" ცნობით, კვალიფიციური მეკარის შესაძენად 25 მილიონი გირვანქაა გამოყოფილი. **მარკ ჰიუზი** და კლუბის არაბი ინვესტორები **ჯანლუიჯი ბუფონისა** და **იკერ კასილიასის** გადაბირებას აპირებდნენ. სახელგანთქმულ ვარსკვლავებს კვირაში 250 ათას გირვანქასაც კი სთავაზობდნენ (არაოფიციალური ინფორმაციით), მაგრამ ტრანსფერები ჩაიშალა. „სიტიმ" მზერა „ვილიარეალის" კარის დარაჯ **დიეგო ლოპესს** მიაპყრო. ეს უკანასკნელი 27 წლისაა და ესპანეთის ნაკრების კანდიდატად მოიაზრება. გასულ უქმეებზე „ვილიარეალმა" „ბარსელონას" უმასპინძლა და 1:2 დამარცხდა. შეხვედრას მანჩესტერელი ემისრები დაესწრნენ. მათ ლოპესის ნახვა სურდათ. ცნობილია, რომ დიეგოს დღევანდელი კონტრაქტი 2014 წელს ეწურება. შეთანხმების თანახმად, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებენ, თუ სანაცვლოდ დიდძალ ფულს გადაიხდიან. 25 მილიონი გირვანქა კონტრაქტის ამ პუნქტს ნამდვილად აკმაყოფილებს. ცნობისათვის, დიეგო ლოპესს პრიმერაში მხოლოდ 38 მატჩი აქვს ჩატარებული.

# ბელამის ბირმინგემიდან დაურეკეს

"ასტონ ვილამ" "ვესტ ჰემის" თავდამსხმელის, **კრეიგ ბელამის** შეძენა გადაწყვიტა. ბირმინგემელთა თავკაცი მზადაა, 29 წლის ფეხბურთელში 7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. "დეილი მეილი" იუწყება, რომ თანხის გარდა, ლონდონურ კლუბს მის ყოფილ თავდამსხმელს, **მარლონ ჰერვუდსაც** მიუბრუნებენ. ონილის კიდევ ერთი სამიზნეა გიგანელი **ემილ ჰესკი**. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ეს თავდამსხმელი 5-6 მილიონი გირვანქა ღირს. ჰესკის კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ბელამიმ კი განაცხადა, რომ "ვესტ ჰემში" თავს ბედნიერად გრძნობს და ტრანსფერზე დაყენება არ მოუთხოვია. გასულ ზაფხულს უელსელ ვარსკვლავს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა "მანჩესტერ სიტიმ", მაგრამ კრეიგმა წინადადება თავაზიანად უარყო.

შალვა ბიბილაშვილი

წყალბურთი. ნიჭი და არჩევანი

ინტერვიუ ვლადიმერ ისელიძესთან

# 07 ბოლომდე იშიფრება

**უსამართლოდ მრავალგზის დასჯილი, ანუ იმის შესახებ, რაც ადრე არ ითქმოდა ოსტატობა და გამოცდილება ქართული წყალბურთის სამსახურში ოლიმპიადაზე ორიენტირით მალე ნორმალური ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების შესაძლებლობა მოგვეცემა.**

ორმოცდახუთი წლის წინათ, გაზეთ „ლელოში“ 15 წლის **ვლადიმერ ისელიძის** სურათი დაიბეჭდა - პერსპექტიული ათლეტია, როგორც წყალბურთში, ისე ცურვაშიო, იტყობინებოდა ქართული სპორტის მამატიანე გაზეთი. მაშინ ისელიძე მოსწავლეთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საქართველოს რეკორდსმენი იყო.

გაზეთი არ შემცდარა - ვლადიმერ ისელიძე ქართული წყალბურთის ლეგენდა გახდა, იმის მიუხედავად, რომ ოლიმპიურ თამაშებში, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოქროს მედლები არ მოუპოვებია. ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო, მასზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, არა იმიტომ, რომ ძალა და ოსტატობა აკლდა. პირიქით, ესენი მოჭარბებულადაც ჰქონდა, უბრალოდ, იღბალს მრავალჯერ შეუქცევია მისთვის ზურგი, თანაც, ყველაზე საჭირო მომენტში.

მედლები და ტიტულები არასდროს ჰკლებია. 15 წლის განმავლობაში, რაც „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა, თბილისელთა 7 ნომერს მრავალი ჯილდო აქვს მოპოვებული. 1966 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე „ბრინჯაო“ დაისაკუთრა, ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე იმავე სინჯის მედალი მოიპოვა. 1968 წელს კუბაში საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში „ოლიმპიური იმედის“ ჩემპიონი გახდა. ამას მოჰყვა მსოფლიო უნივერსიადების ოქროს მედლები 1970 და 1973 წლებში, 1975 წელს - ახალზელანდიური თამაშების ჩემპიონობა, VII საკავშირო სპარტაკიადის „ვერცხლი“. ათი წელიწადი საბჭოთა კავშირის მთავარი ნაკრების წევრიც იყო, მაგრამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე ერთხელაც არ უასპარეზია. ჟურნალისტებს უკვირდათ, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და ბომბარდირი, საკავშირო ჩემპიონატების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი საჭირო მომენტში რატომ ვერ ხვდებოდა უპირველესი გუნდის ძირითად შემადგენლობაში. თავმდაბალი და მოკრძალებული ვლადიმერ ისელიძე მიზეზად ყოველთვის საკუთარ ხარვეზებს ასახელებდა, სინამდვილე კი გაუგებარი რჩებოდა.

ამას წინათ, ვლადიმერ ისელიძე საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა დნეპროძერჟინსკში ხუთი მატჩი გამართა. სანამ უკრაინულ ბატალიებს შევეხებოდით, ვეტერან წყალბურთელს სპორტული კარიერის ეპიზოდების გახსენება ვთხოვე. რასაც მაშინ პრესაში წერდით, ყველაფერი მართალია-მეთქი, ვკითხე.

- საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელებს ისედაც ყელში ვყავდი გაჩხერილი და გაზეთებში სიმართლე რომ დამეწერა, უწინდელი ვითარება ხომ იცით, ნაკრებს საერთოდ არ გამაკარებდნენ. კი, ყოველთვის მქონდა თავის იმედი და რატომღაც უკეთესობის მჯეროდა. - მითხრა გულდაწყვეტით. - ჩემი სიჭაბუკის საუკეთესო წლები ხომ წყალბურთს შევწირე.

... არადა, თავიდან სპორტის ამ სახეობაზე არც უფიქრია. როგორც ყველა ყმაწვილი, ისიც ფეხბურთელობაზე ოცნებობდა. ერთ მშვენიერ დღეს ვაკეში „ლოკომოტივის“ სტადიონზე **მიხეილ ბერძენიშვილს** მიაკითხა მეზობელ ბიჭებთან ერთად. ეს ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა - დიდუბეში ცხოვრობდა და გაუჭირდა ამხელა გზაზე სიარული. მაშინ ტრანსპორტი საკმაოდ იშვიათი იყო და ზოგჯერ ვარჯიშის შემდეგ სახლამდე ფეხით უვლია.

- მშობლებმა ახალი ბინა საბურთალოზე მიიღეს და იქ გადავედით საცხოვრებლად. - იხსენებს ბატონი ვლადიმერი. - მე-60 სკოლის ერთ კლასში ვსწავლობდით ლევან ჩხიკვაძე, ვაჟა ჭკუასელი და მე. ჩვენზე უმცროსი იყო თამაზ ჩიხლაძე. ამ აწოწილი ბიჭებისგან (მეშვიდე-მერვე კლასში უკვე 185 სანტიმეტრი სიმაღლისა ვიყავი), სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა კალათბურთელთა გუნდი ჩამოაყალიბა. 1961 წელს თბილისის ჩემპიონები გავხდით. ძია მიშას (მიხეილ კეკელიძეს) ძალიან მოვეწონეთ და თავის გუნდში ჩაგვრიცხა...

ჯერ კიდევ დიდუბეში ცხოვრებისას, არაერთხელ შეშურებია თანატოლებისა, რომლებიც ლაღად დასრიალებდნენ მტკვარში. თავად ვერ ბედავდა მდინარეში შესვლას. გადაწყვიტა, ცურვა ესწავლა. ერთ დღეს ღია საცურაო აუზში შეიპარა, მაგრამ შეამჩნიეს და გამოაძევეს. თვალცრემლიანს შესასვლელთან ვიღაც კაცი შეეჩხა ყმაწვილთან ერთად.

- რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? - ჰკითხა უცნობმა.

- ცურვის სწავლა მინდა და აუზში არ მიშვებენ.

- აბა, ჩვენთან წამოდი. - უთხრა მან და ბიჭებს გაუძღვა.

ის ახოვანი კაცი **ვლადიმერ ბარნაბიშვილი** აღმოჩნდა, შესანიშნავი მწვრთნელი და პედაგოგი.

- ძალიან მომთხოვნი იყო, ბევრს გვავარჯიშებდა. იმ ჩემი პირველი ნაცნობებიდან (დაახლოებით 20 ბიჭი მაინც ვიყავით) დიდ წყალბურთს მხოლოდ მე და თემურ უშანგიშვილი შემოვრჩით...

ვლადიმერ ისელიძემ აქაც იყოჩაღა - იოლად დაეუფლა ცურვას და მალე საქართველოს მოსწავლეთა პირველობებში იასპარეზა. ბარნაბიშვილს სურდა, ისელიძე 1500 მეტრზე ცურვაში დაოსტატებულიყო, მაგრამ ჭაბუკს გულმა წყალბურთისკენ გაუწია.

- 1965 წელს თბილისის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ გვახარიამ გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში ჩამრიცხა. ძირითადში ჩემი დებიუტი ვოლგოგრადში შედგა. მწვრთნელმა ლენინგრადის „ბალტიკის“ წინააღმდეგ მათამაშა. 16 წლის ვიყავი. ერთ-ერთი შეტევისას საკავშირო ნაკრების წევრმა კარსანოვმა მაჯობა და ბურთიც გაგვიტანა. სამაგიეროდ, თავი გამოვიჩინე ლვოვის ტურში. პირველი გოლის გემო ხარკოვის „მეტალისტთან“ პაექრობისას ვიგემე. მაშინ თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდნენ ლერი გოგოლაძე, ბორის მეგედი, ირაკლი ჩხიკვაძე, ჯუმბერ ნიკლაური, ოთარ მიმინოშვილი, ვასილ სანაძე, რეზო ოჩიგავა, ვიქტორ რომანოვი, მურთაზ გულედანი, სოსო ნიჟარაძე.

იმავე წელს ერევანში ახალგაზრდების საკავშირო ტურნირზე ვიასპარეზე და ბომბარდირი გავხდი. საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბლუმენტალმა საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვია და... წლების განმავლობაში სისხლიც გამიშრო.

**- ეგ როგორ?**

- 1966 წლიდან „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში გამოვდიოდი. საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობაც არ იყო ჩემ მიმართ გულგრილი. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადის წინ ნაკრებში მიმიწვიეს. მოლდავეთში გვქონდა საწვრთნელი შეკრება. ერთ დღეს კიშინიოვის ცენტრალურ სტადიონზე წავედით ფეხბურთის მატჩის საყურებლად. ძალიან ცხელოდა და გაზეთის ქუდი მეხურა. ჩემ უკან საკავშირო ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს“ წამყვანი წყალბურთელი ვიაჩესლავ სკოკი იჯდა. თურმე, ჩემი ქუდი ხელს უშლიდა და უხეშად მითხრა, მოიხადეო. მეც გავგულისდი და უარი ვტკიცე. შემაგინა. მატჩის შემდეგ მოფარებულში გავიხმე და, იმის მიუხედავად, რომ ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო, გემოზე ვუცემე. ინციდენტი გახმაურდა. სკოკი ბლუმენტალის საყვარელი მოთამაშე გახლდათ. მაშინვე კრება მოიწვია და მე დამადანაშაულა, გუნდიდან დამითხოვა და ორი წელი არ მივუწვევივარ.

**- ხომ ხედავდა, რომ თქვენ იმ წლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყავით?**

- ამან აიძულა, ისევ გამოვეძახე ნაკრებში, მაგრამ უფრო ხშირად სათადარიგოთა სკამზე მსვამდა. 1974 წელს ვენაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ამ შეჯიბრებისთვის ბალტიისპირეთში ვემზადებოდით. ნაკრები ორ ნაწილად გაყო. მე მეორე ჯგუფს კაპიტნადაც ამირჩია (პირველისა ბარკალოვი იყო). ძირითადებს ყველა სპარინგმატჩი მოვუგეთ. ბოლოს, ჩემპიონატზე წამსვლელთა გვარები რომ გამოაცხადა, მე არ დავუსახელებივარ. ხმა არ გამიღია, შევბრუნდი ჩემს ოთახში და ბარგის ჩალაგება დავიწყე. ცოტა ხანში ბლუმენტალმა შემოაღო კარი, მომიბოდიშა და დელეგაციის ხელმძღვანელობა დამაკისრა.

**- კი მაგრამ, მაშინ მაინც რას გერჩოდა?**

- ძველი ბოღმა ჰქონდა: მიუნხენის ოლიმპიადის წინ 1972 წელს სოხუმში ვიყავით საკავშირო შეკრებაზე. ოლიმპიურ ნაკრებს სტუდენტებმა ფრედ - 2:2 დავუმთავრეთ შეხვედრა. ცოტა ხნის შემდეგ კი მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიურმა ნაკრებმა რუმინელებთან წააგო, ჩვენმა „დინამომ“ კი კარპატელებს დიდი ანგარიშით მოუგო. როსტომ ჩაჩავამ საკავშირო სპორტკომიტეტის სხდომაზე დააყენა საკითხი ბლუმენტალის გადაყენების შესახებ. ბატონ როსტომს ბევრმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობა იმ კრიტიკულ მომენტში ვერავინ იკისრა. მთავარ მწვრთნელად ბლუმენტალი დატოვეს. ჩაჩავაზე გაბრაზებულმა აღარ მიმიწვია ნაკრებში, რომელიც ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.



№ 7 ვლადიმერ ისელიძე

ფოტო ლელოს არქივიდან

მომდევნო წლებშიც არ მაძლევდა გასაქანს. გულზე სკდებოდა, ბომბარდირი რომ ვხდებოდი. მსაჯებს სპეციალურად აძლევდა დავალებას, რომ „ჩავეძირე“. სამი ჯარიმის შემდეგ თამაშს ვერ გავაგრძელებდი. განსაკუთრებით მოსკოველი არბიტრი ბელოვი ჰყავდა დაბეჩავებული. ალმა-ათის ტურნირისას მან მომიბოდიშა კიდეც, მაგრამ მოსკოვშიც რომ მომინდომა დაჩაგვრა, ველარ მოვითმინე, აუზიდან ამოვხტი და გამოვეკიდე. იგი გასახდელისკენ გაიქცა და დამემალა. უკან მობრუნებულს საკავშირო ნაკრების მთავარი მწვრთნელი შემეჩხა. ვიცოდი, რომ ყველაფერი მისგან მოდიოდა და საკმაოდ უხეშად შეველაპარაკე. ამ ინციდენტის გამო საერთაშორისო ოსტატის წოდებაც კი მომიხსნეს. 1973 წელს მოსკოვში მსოფლიო უნივერსიადა მოვიგეთ, ყველაზე მეტი ბურთი მე გავიტანე და, იძულებული გახდნენ, წოდება დაებრუნებინათ. ამის მიუხედავად, 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არ წამიყვანეს. უფრო მოსკოვის დინამოელ საშა როდიონოვს ენდნენ, არადა, იმ პირველობის შემდეგ კიევში საკავშირო დინამიადაზე როდიონოვს ხელი არ გავატოკებინე, მის გუნდს კი 5 გოლი გავუტანე.

**- ამდენი წვალების შემდეგ ოლიმპიადაზე ხომ მაინც მოხვდით?..**

- ეს იყო 1976 წელს, მონრეალში, მაგრამ რად გინდა, უხეიროდ გამოვედით. ნაკრების მწვრთნელებმა შეჯიბრებისთვის, მართალია, გამოცდილი, მაგრამ სპორტისთვის უკვე მობერებული წყალბურთელები მიიწვიეს, თანაც ოტავაში ოლიმპიადამდე 10 დღით ადრე ჩაგვიყვანეს და 25-მეტრიან აუზში ვარჯიშით სიქა გაგვაცალეს, ამიტომაც იყო, რუმინელებთან ძლივს მივაღწიეთ ფრეს - 2:2, ხოლო ჰოლანდიელებთან დავმარცხდით - 2:3, არადა, ამ გუნდს ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა 8:4 მოუგო და აქედან 4 ბურთი მე გავიტანე.

**- თქვენ მოსკოვის ოლიმპიადაზეც უნდა გეასპარეზათ, რადგან იმ წლებში ჩინებულ ფორმაში იყავით. ამის დასტურად 1979 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაც გამოდგება...**

- მაშინ შესანიშნავი გუნდი გვყავდა. წინასაოლიმპიადო წელი იყო და საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ სპარტაკიადაზე უცხოელებიც მოიწვია. ქვეჯგუფში რუსეთის ნაკრებთან ფრე ვითამაშეთ, უკრაინას და ესპანეთს მოვუგეთ, ნახევარფინალში რუმინელები დავამარცხეთ და ფინალში მოსკოვის ნაკრებს შევხვდით. ოთხივე ტაიმი უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ვერაფრით გაგვეგო, ამერიკელი და ესპანელი მსაჯები რატომ არ გვაძლევდნენ გასაქანს, რატომ ცდილობდნენ ასე დაჟინებით ჩვენს წაგებას. ბოლოსბოლო, დავმარცხდით 5:6 და ვერცხლის მედლები გვაკმარეს. სხვათა შორის, იმ ტურნირზე 13-13 ბურთით ბომბარდირობა მე და მოსკოველმა გიორგი მშვენიერაძემ გავიყავით. წაგების მიზეზი, თურმე, აი, რა ყოფილა: თამაშის შემდეგ სამხაპეში შემოვიდა მოსკოვში მცხოვრები გიორგი სულაკაძე, რომლის ვაჟიშვილიც ჩემპიონი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა.

„რა განერვიულებს, - დაიწყო თავისი მონოლოგი მოულოდნელმა „სტუმარმა“. - მოსკოვის ნაკრებს აუცილებლად უნდა მოეგო, რადგან გაისად საბჭოეთის დედაქალაქში ოლიმპიადაა და საქართველოს ნაკრებთან დამარცხებულ გუნდს ოლიმპიურ თამაშებში ვინ გაამარჯვებინებს - საბჭოთა ნაკრებისთვის იმიჯის შექმნა იყო საჭირო. დღევანდელი მსაჯები წუხელ ოჯახში მყავდა, კარგადაც გავუმასპინძლდი და უხვადაც დავასაჩუქრე...“

სიტყვა არ დავამთავრებინე, მისი ბედი, რომ სამხაპეში დედიშობილა ვიდექი. ალბათ, იმედოვნებდა ამგვარი სამსახურისთვის რუსები მის შვილს ოლიმპიურ ნაკრებში ჩარიცხავდნენ, მაგრამ ვერ მიართვეს. ოლიმპიურ გუნდში, სამწუხაროდ, ვერც მე მოვხვდი, რადგან მაშინდელი ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა სკოკმა კიშინიოვის ბოღმა ვერ მოინელა, თუმცა, მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ (საბჭოთა წყალბურთელები ჩემპიონები გახდნენ) ალექსანდრ კაბანოვს საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებისთვის უთქვამს, ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი ვლადიმერ ისელიძესაც მიუძღვის და ნუ დავივიწყებთო. მათაც აიღეს და სპორტის დამსახურებული ოსტატობა მომანიჭეს.

**- ბატონო ვლადიმერ, თქვენ წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავეთ და წყალბურთს მოწყვეტილი იყავით. „ჭაბუკობის ხანაში“ დაბრუნება რამ გადაგაწყვეტინათ?**

- საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციას, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენს ქვეყანაში წყალბურთის აღორძინება. შესაძლებლობის შემთხვევაში - ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება. ამ თვალსაზრისით, სერიოზული ძვრები მოხდა. მეგობრებმა, ვეტერანმა წყალბურთელებმა მთხოვეს ეროვნულ ნაკრებს ჩავდგომოდი სათავეში. მართალია, ოფიციალურად აუზს კარგა ხნის მოშორებული ვიყავი, მაგრამ ბავშვობის გატაცებისთვის ზურგი არასდროს შემიქცევია.

მამულიშვილური საქმე გააკეთა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ - საქართველოში მოთამაშე ყველა პერსპექტიული წყალბურთელი სასწავლებლის სპორტულ კლუბში გააერთიანა. ყოველდღიურად ორ-ორ საათს „ქარიშხალას“ საცურაო აუზში ვვარჯიშობთ. მართალია, აქ სტანდარტული ზომები არ გვყოფნის, მაგრამ მაინც ვახერხებთ ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. დილაობით კვირაში სამჯერ ვაკის დახურულ აუზში ვმეცადინეობთ: თითო საათს ტრენაჟორებზე ვვარჯიშობთ, თითო საათს კი ცურვას ვუთმობთ. სამშაბათობით და ხუთშაბათობით ფიზიკური წვრთნისთვის კუს ტბაზე ავდივართ. დიდი ხანი არ არის, რაც ასე მომზადება დავიწყეთ. პირველი გამოცდა უკრაინის ღია ჩემპიონატზე ჩავაბარეთ. იქ გამართულმა ხუთმა ორთაბრძოლამ თვალნათლად დაგვანახვა, დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, თუნდაც საშუალო ევროპულ დონეს რომ მივაღწიოთ. 3-4 ისეთი სპორტსმენი გვყავს, რომლის გარშემოც კარგი კოლექტივის ჩამოყალიბება შეიძლება. დნეპროძერჟინსკში უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა, ვიზებთან დაკავშირებული პრობლემები რომ არა და საასპარეზოდ რუსეთიდან ბალათურია და ირლანდიიდან მანძულაშვილიც რომ ჩამოსულიყვნენ. არადა, სამი შეხვედრა მხოლოდ დაძაბულ პაექრობაში დავთმეთ.

**- მარტო წვრთნით, ალბათ, შორს ვერ წავალთ...**

- გეთანხმებით, ამ ეტაპზე, სულ მცირე, თანაბარი ძალის ორი გუნდი მაინც უნდა გვყავდეს, რომ ერთმანეთს სპარინგ-პარტნიორობა გაუწიონ. ჩვენ კი ერთ შემადგენლობას ძლივს ვუყრით თავს. ტალანტები არ გვაკლია. უბრალოდ, სამუშაო პირობები არ არის - ბაზების უქონლობის გამო ნიჭიერი სპორტსმენები გვიან გამოდიან ასპარეზზე, ნელა იმაღლებენ ოსტატობას. უმეტესობამ კარგი ცურვა და ფეხით მუშაობა არ იცის. მწვრთნელებმაც რა ქნან, როცა სააბონემენტო ჯგუფებში 30 მოზარდის სამეცადინოდ ერთი საათი აქვთ გამოყოფილი.

უპირველესი, რასაც უნდა მივაღწიოთ, არის კლუბების შექმნა. „ლაგუნა ვერეზე“ ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ერთი კლუბი უკვე ჩამოყალიბდა. მეგედი, ქოიავა და კინწურაშვილი 20-მდე მოზარდს ავარჯიშებენ. დარწმუნებული ვარ, მალე ამ ჯგუფიდან ღირსეულ ცვლას მივიღებთ. კლუბების ჩამოსაყალიბებლად კარგი შესაძლებლობები აქვთ რუსთავს, თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებს. სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში მწვრთნელებსაც მოვძებნით და ერთ წელიწადში ნორმალური ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებაც შეგვეძლება.

წყალბურთის ასაღორძინებლად ჩვენი ფედერაციისა და სეოკ-ის ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი ქალაქის მერიამ. ორთაჭალაში გარემონტდება საცურაო კომპლექსი, რომელსაც საჭყუმპალაო, 25 და 50-მეტრიანი აუზები აქვს. მისი მწყობრში ჩაყენების შემდეგ წყალბურთელები ნამდვილად ამოვისუნთქავთ. მსუბუქი კონსტრუქციებით საცურაო აუზების მშენებლობაც მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოში და ჩვენთან მისი დანერგვაც დიდად დაგვეხმარება.

**- სამომავლოდ რას აპირებთ?**

- უკვე გითხარით, რომ თითქმის ყოველდღიურად ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. გაისიდან თებერვალ-მარტში უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე და მესამე ტურებში ვიასპარეზებთ, აპრილში კი ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის შესარჩევ ტურნირში ჩავებმებით. მიზანმიმართულად თუ ვიმუშავებთ, ჩვენს ხელთ არსებული რესურსითაც შეიძლება წარმატების მიღწევა. საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ...

გვჯერა, რომ ასეც იქნება, რადგან ვლადიმერ ისელიძემ ყველგან ყველაფერს, სადაც კი უმუშავია, თავისი ხელი დაატყო. ორი ქალიშვილის მამა და ექვსი შვილიშვილის ბაბუა დროს არ ცნობს, ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, მით უმეტეს ახლა, როცა კვლავ იმ სამყაროს დაუბრუნდა, სადაც „ფეხი აიდგა“. ცისფერი ბილიკები მისი სტიქიაა და შეუძლებელია, აქაც არ დაამჩნიოს თავისი კვალი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ენერჯი-სასოფლო 93:59

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი

# ფინალში რუსთავი და ნტდ-თბილისი ითამაშებენ

**მეორე დღე. 22 დეკემბერი, რუსთავი**

| დინამო-მაკაბი | 94:73 |
|---|---|

20:21, 16:15, 37:17, 23:20

დინამო: ბაქრაძე (10ქ), სიგუა (11ქ), ლაფანაშვილი (20ქ), ქადარია (23ქ), ხანიაშვილი (4ქ); ნანიტაშვილი (9ქ), ხიზანიშვილი (8ქ), დოლიძე (4ქ), გემაზაშვილი (3ქ), კობიძე (2ქ)

მაკაბი: სუდაძე (2ქ), ანთაძე (18ქ), ჯანგველაძე (11ქ), იოსელიანი (15ქ), ბიბილური (10ქ); კილაძე (4ქ), არონია (3ქ), თევზაძე (3ქ), რევაზიშვილი (3ქ), მეზვრიშვილი (2ქ), ჯავახიშვილი (2ქ), კოპალიანი

| ენერჯი-სასოფლო | 93:59 |
|---|---|

27:11, 22:15, 24:19, 20:14

ენერჯი: გამყრელიძე (6ქ), ლეჟავა (7ქ), ტულუში (17ქ), ბაბიაშვილი (10ქ), უგრეხელიძე (8ქ); აბაიშვილი, დიდია (2ქ), ცეკვავა (11ქ), არწივიძე (2ქ), ხმელიძე (5ქ), ტუჯანი (16ქ), ჭოჭუა (9ქ)

სასოფლო: მარხვაშვილი (22ქ), ნივნივაძე (11ქ), გულისაბედაშვილი (4ქ), ტყეშელაშვილი (8ქ), ათანელიშვილი (7ქ); ბოქოლიშვილი, გ. ბარბაქაძე (3ქ), გასიტაშვილი, ცერცვაძე, ყველაშვილი (4ქ)

გუშინ, რუსთავის "ქიმიკოსთა" დარბაზში ქორქია-საკანდელიძის მემორიალის მორიგი მატჩები გაიმართა. მართალია, დღეს ჯგუფებში ბოლო ტურის შეხვედრები უნდა ჩატარდეს, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება ითქვას – 24 დეკემბერს ფინალში ერთმანეთის წინაამდეგ წარდგებიან "ენერჯი" და "ნტდ\თბილისი".

გუშინ რუსთაველებმა "სასოფლოს" აჯობეს – 93:59. ხოლო, ტურნირის პირველ დღეს "ნტდ\თბილისმა" "დინამო" დაამარცხა და დღეს "მაკბის" ძლევას შეეცდება. სწორედ ამ შემთხვევაში მოიპოვებს **ნუგზარ კანდელაკის** გუნდი ფინალის საგზურს, რაშიც ეჭვის შეტანა ისევე არ შეიძლება, როგორც იმაში, რომ ახლა საკალათბურთო სტატიას კითხულობთ.

საწყისი ორი დღის ყველაზე საინტერესო მატჩი გუშინ გაიმართა – "ენერჯი" "სასოფლოს" შეეჭიდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა გუნდი ორი კალათბურთელით გაძლიერდა (**გიგი ბარბაქაძე** და **გიორგი ყველაშვილი**, რომლებმაც უფულოდ დარჩენილი თსუ დატოვეს), რუსთაველებმა პირველივე პერიოდში სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს - 27:11.

საბოლოოდ რუსთაველებმა 34 ქულის სხვაობით მოიგეს და ფინალის წინ ენერგიის აღდგენასაც მოასწრებენ — ხვალ "ენერჯი" ისვენებს, ხოლო "სასოფლო" და შსს სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

"დინამო"-"მაკაბის" შეხვედრა მხოლოდ პირველ ტაიმში იყო დაძაბული, სანამ **ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდი წინააღმდეგობის გაწევას ახერხებდა და მეორე მეოთხედში 8-9 ქულითაც ლიდერობდა. პირველი ტაიმი 36:36 დასრულდა, ხოლო დიდი შესვენების შემდეგ სულ სხვა "დინამო" ვიხილეთ. **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა მესამე ათწუთეული 20 ქულით მოიგეს და საბოლოოდ გამარჯვებამდე მისვლაც აღარ გასჭირვებიათ.




ქართველი NBA-ში

# ატლანტის მეჩვიდმეტე

"ატლანტა ჰოქსის" შეჩერებას ველარავინ ახერხებს. საშინაო კედლებში მოასპარეზე ჯორჯიელებმა NBA-ს ჩემპიონობის მაძიებელი "დეტროიტ პისტონსი" დაამარცხეს – 85:78. მატჩი თავიდანვე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა ატლანტელებმა მეორე პერიოდში მოპოვებული მცირე უპირატესობის შენარჩუნება (30:16) ბოლომდე მოახერხეს და სეზონში მე-17 გამარჯვებას მიაღწიეს.

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრების ცენტრმა, **ზაზა ფაჩულიამ** მხოლოდ მეორე მეოთხედში ითამაშა და მცირე სპურტში ოთხქულიანი წვლილიც შეიტანა. ექვს წუთში ზაზას 6 ქულის მოგროვებაც შეეძლო, მაგრამ 4-დან მხოლოდ 2 საჯარიმო გამოიყენა. სამაგიეროდ, ერთი ორქულიანი ისროლა ასპროცენტიანი სიზუსტით.

როგორც უკვე გითხარით, "დეტროიტის" ძლევა "ატლანტას" მე-17 გამარჯვება იყო. მას 10 წაგება აქვს და სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონში მე-2 ადგილზეა. პირველია "ორლანდო მეჯიქი".

"ჰოქსი" მორიგ მატჩს ხვალ, "ოკლაჰომასთან" გამართავს. შეხვედრა ატლანტას "პეპსი არენაზე" გაიმართება.

**ფაჩულიას მონაცემი**

6 წუთი: 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 ფოლი

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:07 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 08:38 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 08:12 | ფოლი: 1 |
| 07:51 | ორქულიანი: 2ქ (37:29) |
| 07:19 | საჯარიმოები: 2\1 (3ქ, 38:29) |
| 04:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 04:01 | საჯარიმოები: 2\1 (4ქ, 46:35) |
| 03:22 | ზაზა პორფორდმა შეცვალა |

ქართველები ესპანეთში

# ქართული დერბი მადრიდში: ცქიტიშვილი vs ელისი

იყო დრო, როცა ამერიკაში **ზაზა ფაჩულიას** გუნდი **ნიკა ცქიტიშვილისას** ხვდებოდა, ნიკასი – **ვოვა სტეფანიას** კლუბს. მსგავსი ქართული დაპირისპირება ევროპაში გაცილებით ხშირია, მაგრამ აქამდე ვერც ერთმა ფოტოგრაფმა ვერ დააფიქსირა ქართული დუელის ამსახველი ფოტო. განვლილი უქმეები ამ მხრივ გამონაკლისი იყო – ერთმანეთის წინაალმდეგ წარდგნენ ნიკა ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა" და **ტაირონ ელისის** "კახასოლი". ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე www.acb.com ნიკასა და ელისის ბრძოლის ამსახველი ორი სურათი გამოქვეყნდა. ფოტოზე ელისის შეტევაა გამოსახული, თუმცა საბოლოოდ, გამარჯვება ნიკას "ფუენლაბრადას" დარჩა – 84:79.

განვლილი ტური წარმატებული გამოდგა **ვლადიმერ ბოისას** "მენორკასთვის", რომელმაც 78:74 დაამარცხა "გრანადა".

| ფუენლაბრადა-კახასოლი | 84:79 |
|---|---|

ნიკა ცქიტიშვილი (ფუენლაბრადა): **26 წუთი, 12 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი**

ტაირონ ელისი (კახასოლი): **27 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი**

ნიკასა და ელისის გუნდების დაპირისპირება "ფუენლაბრადას" მოედანზე, მადრიდში გაიმართა. შეხვედრის პირველი მეოთხედი "კახასოლმა" მოიგო - 23:17, თუმცა მეორე ტაიმში უპირატესობა ხელთ მასპინძლებმა იგდეს და მეორე 20 წუთი 48:35 მოიგეს. გადამწყვეტ ეპიზოდში **ვალტერსთან** ერთად ზუსტი ორქულიანით გამოირჩა ნიკა ცქიტიშვილი. ხოლო "კახასოლს" მატჩის ბოლოს ვერ დაეხმარა ტაირონ ელისი, რომელმაც 37-ე წუთზე მეხუთე შენიშვნა მიიღო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ტაირონ ელისი სხვა მატჩებში სროლის სიზუსტით გამოირჩეოდა, მადრიდში მას სნაიპერობა ნიკა ცქიტიშვილმა ჩამოართვა, 3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 12 ქულა 7 მოხსნითა და 2 პასით გაალამაზა.

ბოლოს გაგახსენებთ, რომ ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ ნიკა სწორედ "კახასოლში" ჩაირიცხა, თუმცა სევილიურ კლუბში მხოლოდ ნახევარი სეზონი გაატარა და 2007-08 წლების სეზონის წინ იტალიურ "ტერამოში" გადავიდა.

| მენორკა-გრანადა | 78:74 |
|---|---|

ვლადიმერ ბოისა: **20 წუთი, 5 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი**

სატურნირო ცხრილის ფსკერიდან ზემოთ მიიწევს ვლადიმერ ბოისას "მენორკა". ბალეარის კუნძულელებმა მორიგი საშინაო მატჩი მოიგეს - "გრანადა" 78:74 დაამარცხეს.

შეხვედრის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა. 30-ე წუთისთვის გრანადელები 54:50-ს იგებდნენ, თუმცა ბოლო ათწუთეულში უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და გამარჯვება "მენორკას" დარჩა.

ბოისა თანაგუნდელებს 5 ქულითა და თითო პასი-მოხსნით შეეწია, თუმცა შედარებით აკურატულად რომ ესროლა, 10-ქულიან ზღვარს აუცილებლად ასცდებოდა – 7-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 1 სამქულიანი მიზანს ააცილა. მატჩის სნაიპერი "მენორკას" გამთამაშებელი **პუხ ჯეტერი** გახდა, რომელმაც 29 ქულა ჩააგდო.

ახლა, სატურნირო ცხრილს ქვემოდან შევუყვეთ. უკანასკნელ, მეჩვიდმეტე ადგილზე ფესვები მყარად აქვს გადგმული "კახასოლს" – 1 მოგება, 12 წაგება. 5 მოგებითა და 8 მარცხით მეთორმეტეა "მენორკა". მას ერთი მოგებითა და 2 საფეხურით უსწრებს "ფუენლაბრადა", რომელიც პლეი ოფის ზონაში მყოფ მერვეადგილოსანს ერთი მოგებით ჩამორჩება.

ბალტიის ლიგა

# ცინცაძესა და სანიკიძეს მწვრთნელი მოუხსნეს

| ნევეჟისი-როკი | 78:86 |
|---|---|

გიორგი ცინცაძე: **37 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 8 პასი, 1 ჩაჭრა**

ვიქტორ სანიკიძე: არ უთამაშია

გასულ კვირას ევროჩელენჯზე "სამარასთან" საშინაო წაგების შემდეგ (58:80) თანამდებობიდან გადადგა "ტარტუ როკის" თავკაცი **ულარ კერდე**. "ტარტუს" ხელმძღვანელის **რიჰო ილაკის** თქმით, კერდე დიდი ხნით არ დაუთხოვიათ, მწვრთნელს ერთთვიანი დასვენება მიეცა. *"ერთი თვის შემდეგ ულარ კერდეს ახალ ხელშეკრულებას შევთავაზებთ"*, - განაცხადა ილაკმა. სიტუაცია მეტად უცნაურია, თუმცა ზოგიერთი ესტონური გაზეთის მტკიცებით, ულარ კერდეს გადაყენების მიზეზი გუნდში დისციპლინის არასასურველი მდგომარეობა იყო – "ტარტუს" ლიდერებს სათანადოდ ვერ იმორჩილებდაო...

ასეა თუ ისე, ბატონი ულარის გადაყენება **გიორგი ცინცაძისთვის** სასიამოვნო ამბავი ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან ბუ სწორედ ულარ კერდეს ხელში იქცა "როკის" წამყვან კალათბურთელად. ხოლო **ვიქტორ სანიკიძე** "ტარტუში" სწორედ ამ მწვრთნელის ინიციატივით გადავიდა.

მთავარი მწვრთნელის პოსტი კერდეს ასისტენტმა **ინდრეკ ვისნაპუუმ** ჩაიბარა. "ნევეჟისთან" მატჩი კერდესთვის ბოლო აღმოჩნდა.

ლიტვაში გამართული დაპირისპირება თავიდანვე სტუმართა უპირატესობით დაიწყო და მეორე პერიოდის 24:11-ის მოგების შემდეგ ცინცაძის თანაგუნდელებმა გამარჯვებულის ბედი ნაადრევად გაარკვიეს. საბოლოოდ 86:78 "ტარტუს" სასარგებლოდ.



გიორგი ცინცაძე

გიორგი ცინცაძემ 9 ორქულიანი და 5 საჯარიმო ისროლა, რომელთაგან მიზანში 4-4 მოარტყა და 12 ქულას მოუყარა თავი. გარდა ამისა, ბუს ანგარიშზე 8 შედეგიანი გადაცემა, 5 მოხსნა და 1 ჩაჭრაა.

ვიქტორ სანიკიძეს არ უთამაშია. "როკერთა" ბომბარდირობა **ტანოკა ბერდმა** იკისრა – 25 ქულა ჩააგდო.

11 ტურის შემდეგ "ტარტუს" 5 მოგების წილ 6 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა. იგი მეორეადგილოსან "ჟალგირისს" ერთი მოგებით ჩამორჩება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა — სიტყვა საქმიანი

# ორი ტურნირი ჩვენგან...

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ საარჩევნო კამპანიის დღეებში აცხადებდა, რომ ამ ორგანიზაციის სათავეში მოსვლის შემთხვევაში, მათთვის პრიორიტეტული მხოლოდ სპორტის ოლიმპიური სახეობები არ იქნებოდა და უყურადღებოდ არაოლიმპიური სპორტის სახეობებიც არ დარჩებოდნენ. არჩევნებში გამარჯვებულები, სეოკ-ის პრეზიდენტის **გია ნაცვლიშვილის** ხელმძღვანელობით, დაპირების ერთგულები დარჩნენ. სიტყვა საქმიანი გამოდგა, რისი ნაყოფიც უკვე არაერთმა ფედერაციამ იგემა. და აი, ახალი ნაბიჯი - გია ნაცვლიშვილი, რომელმაც ჩინებულად იცის ქართული ჭიდაობის მადლი, ზოგადად ფალავანთა დაოსტატებაში, სპორტის ამ ეროვნული სახეობის მესვეურებს დაჰპირდა, რომ 2009 წელს ორ მნიშვნელოვან ტურნირს დააფინანსებს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული საუნჯის შემდგომ პოპულარობას საერთაშორისო დონეზეც კი.

სამთო-თხილამურები

# სამი ქართველი ათეულში

სამთო-სათხილამურო სეზონი გრძელდება, ჩვენი საუკეთესო სპორტსმენი, 20 წლის **იასონ აბრამაშვილი** განაგრძობს ევროპის ტრასებზე სრიალს. ახლახან მოგითხრეთ, რომ 9-11 დეკემბერს იტალიურ ბორმიოში ჩვენებურმა წარმატებით იასპარეზა „სითიზენის“ კატეგორიის შეჯიბრებაში, სადაც გიგანტურ სლალომში მე-2 ადგილი, ხოლო სლალომში მე-6 ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ იასონმა შვეიცარიულ დავოსში გადაინაცვლა, სადაც უფრო მაღალი დონის FIS-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში ჩაერთო. სლალომში აბრამაშვილი მე-15 ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ კლიმატური სირთულეების გამო სლალომის ორივე ცდა მხოლოდ 30-მა მოთხილამურემ გაიარა წარმატებით, უფრო მეტი კი, მათ შორის **ჯაბა გელაშვილი** და **ვახტანგ თედიაშვილი**, ფინიშამდე ვერ მივიდა. 18-19 დეკემბერს იასონმა FIS-ის ეგიდით იტალიაში კლაუსბერგში (თუმცა ტურნირის ორგანიზატორი ისრაელის თხილამურობის ფედერაცია იყო) იასპარეზა. მან გიგანტურ სლალომში მე-4 ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, აქვე **კოტე ვახტანგაშვილმა** მე-16 ადგილი დაიკავა, **ალექსი ბენიანიძემ** – 22-ე. მეორე დღის სლალომი ჯერჯერობით ქართველთათვის ყველაზე წარმატებული შეჯიბრება გამოდგა სეზონში – იასონ აბრამაშვილმა ორ ჩამოსრიალებას ჯამში 2:05.37 დრო მოანდომა, რაც გაცილებით სჯობს სხვების შედეგს, გარდა ერთისა, სლოვენიელმა **კლემენ კოსიმ** დაახლოებით ნახევარი წამით აჯობა ჩვენებურს და გაიმარჯვა. ათეულში კი ერთბაშად სამი ქართველი მოხვდა! კოტე ვახტანგაშვილი მეოთხე ადგილზე გავიდა, ხოლო ვახტანგ თედიაშვილი – მეშვიდეზე. აბრამაშვილი კი სეზონში მეორედ მოხვდა პოდიუმზე. იმავე დღეს ქალთა სლალომში 15 წლის **ნინო ნიკლაურმა** მე-6 ადგილი დაიკავა.

ამის შემდეგ სექსტენში (იტალია) ახალგაზრდულ ტურნირში 17 წლის ბენიანიძემ სლალომში 30-ე პოზიცია დაიკავა, ხოლო თედიაშვილი და ვახტანგიშვილი ფინიშამდე ვერ მივიდნენ. სეზონის ტურნირებში ახლახან დაიწყო ასპარეზობა 15 წლის **დიმიტრი გედევანიშვილმა**, რომელიც ცნობილი სპორტსმენის, **ელენე გედევანიშვილის** უმცროსი ძმაა. დიმიტრი ამერიკაში ატიტაში სლალომსა (ორჯერ) და გიგანტურ სლალომში გამოვიდა. ტრასა მან სამივე შეჯიბრებაში ჩაამთავრა და შესაბამისად 61-ე, 55-ე და 54-ე ადგილები დაიკავა. FIS-ის ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში ასეთი დებიუტი 15 წლის მოზარდისათვის ურიგო არ არის, მით უფრო, რომ ატიტაში ასამდე მონაწილე იყო.

15 წლის სამთო-მოთხილამურე ჯაბა გელაშვილი ახალი სეზონის დებიუტანტია. იგი წლეულს პირველად ჩაერთო დიდების შეჯიბრებებში, თუმცა წარუმატებლად – ჯაბამ ვერ შეძლო სლალომის ვერც ერთი ტრასის ჩამთავრება, ვერც ჩეხურ სპინდლერუვ მლინში და ვერც შვეიცარიულ დავოსში. ჯაბამ ავსტრიაში, არლბერგში გადაინაცვლა, სადაც ბედი გიგანტურ სლალომში სცადა. სამწუხაროდ, კვლავ უშედეგოდ. ჯაბა იქვე ავსტრიაში ჰოხფიხტში ახალგაზრდულ შეჯიბრებაში ჩაება, სადაც სლალომში წარმატებით ჩაამთავრა ტრასა ორივე ცდაზე და პირველად მივიდა ფინიშთან. ჯერჯერობით ესეც მიღწევაა, ჯაბა გელაშვილი 61 მონაწილეს შორის 42-ე ადგილზე გავიდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

# ასაკობრივი ნაკრებები მზადებას იწყებენ



მომავალი წლის სეზონში საქართველოს რაგბის კავშირი ოთხი ასაკობრივი ნაკრების ჩამოყალიბებას აპირებს. უკვე არსებულ 17, 18 და 19-წლამდელთა გუნდებს საქართველოს 21-წლამდელთა, ანუ ახალგაზრდული ნაკრები დაემატება.

რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით, 17-წლამდელთა ნაკრებს ისევ **ბადრი ბოხუა** და **სპირიდონ ლიპარტელიანი** უხელმძღვანელებენ. ნორჩ ბორჯღალოსნები მომავალი წლის ზაფხულში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების თასის გათამაშებაში იასპარეზებენ. ტურნირს, სავარაუდოდ, უკრაინა უმასპინძლებს.

18-წლამდელთა ნაკრებში საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელები **პაატა ნარიმანაშვილი** და **დავით ჩავლეიშვილი** იმუშავებენ. გუნდის მენეჯერი, ვეტერანი ბორჯღალოსანი **დიმა ობოლაძე** იქნება. ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის ელიტარულ A ჯგუფში მოუწევს ასპარეზობა. შეჯიბრება 4-12 აპრილს საფრანგეთის ქალაქ ტულონში გაიმართება. 18-წლამდელთა ნაკრებმა ტურნირისთვის მზადება უკვე დაიწყო და ამჟამად ბაკურიანშია საწვრთნელ შეკრებაზე.

ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, ვინ გაწვრთნის 19, 20 და 21-წლამდელთა ნაკრებებს. 19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე ოქტომბრის ბოლოს, ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ითამაშებენ. 21-წლამდელები კი, ასევე, ევროპის საუკეთესოს ტიტულისთვის ბუქარესტში იბრძოლებენ.

რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა ამ გუნდების დამრიგებელთა ვინაობას წლის ბოლომდე დაასახელებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფრენბურთი — ინტერვიუ ნინო მლებრიშვილთან



# გამოცდილება და ახალგაზრდობა ოპტიმალური სინთეზია

**9-11 იანვარს ტალინში, „კალევის“ სპორტის სასახლეში, საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაერთვება. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ფრენბურთელების მეტოქეები ესტონეთის, დანიისა და მოლდოვას ეროვნული გუნდები იქნებიან. შემდეგ ეტაპზე მხოლოდ პირველადგილოსანი გადის. საქართველოს ნაკრები უკვე ორი კვირაა მთავარი მწვრთნელის, ნინო მლებრიშვილის ხელმძღვანელობით ემზადება.**

- ვარჯიში გუნდმა ლეგიონერების გარეშე დაიწყო - გვიამბობს ნინო მლებრიშვილი - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ დარბაზში მხოლოდ საქართველოში მოასპარეზე ფრენბურთელები ემზადებიან. ხვალიდან ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან. რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილი, მთლიანი პროგრამით გავაგრძელოთ მზადება.

**- ქართულ ფრენბურთს ლეგიონერები მოუმრავლდა. გვითხარით, ვინ არიან ისინი და რა დონეზე თამაშობენ?**

- თურქეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე „ბურსაში“ ორი ფრენბურთელი გვყავს - დალი ალიბეგაშვილი და თინათინ ჭაუჭიძე. აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ქალაქ განჯის გუნდში ასპარეზობენ მაია გუშარაშვილი, თეა მძელური, ირინა შენგელია, ნელი დათუკაშვილი და მარიამ ყიფშიძე.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ტალინში საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრებს ჩვენი პლაჟბურთელებიც დაეხმარებიან.**

- დიახ, კრისტინა სანტანა და ანდრეზა ჩაგასი ესტონეთში 4 იანვარს შეუერთდებიან გუნდს. ძალიან კარგია, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ნება დაგვრთო, ორი ნატურალიზებული ფრენბურთელი მოედანზე ერთდროულად გვეთამაშებინა. აქამდე ეს აკრძალული იყო. ჩვენი პლაჟბურთელები, ვფიქრობ, გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებენ. მათი დიდი იმედი გვაქვს.

**- კრისტინას და ანდრეზას ჩვენი გუნდის მოთამაშეებთან ერთად არასდროს უასპარეზიათ. შეთამაშების პრობლემა ხომ არ იჩენს თავს?**

- ტალინში საკმაოდ ადრე, 4 იანვარს ჩავდივართ. ამავე საღამოს პირველი ვარჯიშია დანიშნული. პირველ შეხვედრას კი 9 იანვარს გავმართავთ მასპინძელთა გუნდთან. ვეცდებით ეს 4-5 დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ჩვენს ბრაზილიელებს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ და, ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფრენბურთელების თამაშს ალღოს მალე აუღებენ. გამოცდილებამ და ახალგაზრდულმა შემართებამ, შესაძლოა ძალიან კარგი შედეგი მოგვცეს.

**- რაიმე საწვრთნელი შეხვედრის გამართვას ხომ არ გეგმავთ?**

- გვქონდა ამის მცდელობა, მაგრამ არ გამოგვივიდა. რამდენიმე ქვეყანას მივმართეთ წინადადებით, ყველამ უარი გვითხრა. მიზეზად საშობაო არდადეგები მოიტანეს. ტალინში ვინმესთან თამაში კი, არ მგონია, შესაძლებელი იყოს.

**- პირველ შეხვედრას მასპინძლებთან ემართავთ. კარგია ეს თუ ცუდი?**

- რადგან მასპინძლები არიან, ცხადია, ესტონეთთან პირველი თამაშის გამართვა ცუდია. ისე კი, ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს. გარკვეული ინფორმაცია მათზე და მოლდოვას ნაკრებზე გვაქვს. დანიაზე კი, მხოლოდ ის ვიცით, რომ ყველა დანარჩენზე უფრო გამოცდილი გუნდია და შესაბამისად, ალბათ, ყველაზე ძლიერიც ის იქნება.

**- ცნობილია თუ არა გუნდის ის შემადგენლობა, რომელიც ტალინში გაემგზავრება?**

- ჩვენს განკარგულებაში დღესდღეობით 14 ფრენბურთელია. აქედან ესტონეთში 12 გაემგზავრება. ვიზები ყველაზე გვაქვს აღებული და ამდენად, ვფიქრობ, პრობლემები არ გვექნება. ვეცდებით ესტონეთში საუკეთესო შედეგი ვაჩვენოთ.

საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები: დალი ალიბეგაშვილი, თინათინ ჭაუჭიძე (ორივე ბურსა), მაია გუშარაშვილი, თეა მძელური, ირინა შენგელია, ნელი დათუკაშვილი, მარიამ ყიფშიძე (ყველა განჯა), ნინო მუყასაშვილი, ნათია ბანძელაძე (ორივე ბათუმი), ელა კაზარიანი, იანა ზოდიმეჩენკო (ორივე რუსთავი), ირინა კახაძე (ჯიკო), კრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგასი.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

**9 იანვარი**
საქართველო-ესტონეთი
დანია-მოლდოვა

**10 იანვარი**
საქართველო-დანია
ესტონეთი-მოლდოვა

**11 იანვარი**
საქართველო-მოლდოვა
ესტონეთი-დანია

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია დაწინაურდა

მსოფლიოს საჩოგბურთო რეიტინგებში მინიმალური ცვლილებები შევიდა. გაგაცნობთ ქართველ ჩოგბურთელთა დღევანდელ მდგომარეობას, ქალები: 160 (-) **ანა ტატიშვილი** – 199 ქულა; 220 (-2) **მაკა ჩახნაშვილი** – 134; 247 (-2) **სოფიო შაფათავა** – 111; 395 (-3) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 56; 652 (+3) **ეკა გორგოძე** – 20; 675 (+36) **სოფიო ქვაცაბაია** – 19; 704 (-1) **მანანა შაფაქიძე** – 17; 751 (+3) **სალომე დევიძე** – 14; 920 (+1) **სოფიო მელიქიშვილი** – 8. როგორც ხედავთ, ცვლილება მნიშვნელოვნად მხოლოდ 20 წლის ქვაცაბაიას შეეხო, რომელმაც ერთ კვირაში თითქმის 40 საფეხურით წაიწია წინ. წყვილთა თანრიგში ამ კვირამდე 6 ქართველი იყო, ახლა 17 წლის **ანა ჯიქია** დაემატა. წყვილებში უკეთ საქმე მაკა ჩახნაშვილს აქვს, რომელიც 211 ქულით 177-ე ადგილზეა. ვაჟები: 531 (-) **ირაკლი ლაბაძე** – 48 ქულა; 922 (+1) **ლაზარე კუხალაშვილი** – 12; 1157 (+2) **ლადო ჩიხლაძე** – 5; 1219 (+1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 4; 1329 (-) **ნოდარ ითონიშვილი** – 3; 1570 (-1) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1665 (-2) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# წლის შემაჯამებელი კვირა

დამდეგ ახალ წელს მხოლოდ ერთი კვირა გვაშორებს. დროის ამ მოკლე პერიოდში ოლიმპიურ თამაშებსა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგები ჯამდება. გუშინ კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში უკვე ხელთ ჰქონდათ 2009 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელიც წლევანდელთან შედარებით, გაცილებით სქელტანიანია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად უფრო გააქტიურდება სპორტული ცხოვრება, ჩვენი ათლეტები შინ თუ გარეთ მეტ სპორტულ შეჯიბრებაში იასპარეზებენ.

წლის ამ ბოლო კვირაში მონაპოვარს შეაჯამებს რამდენიმე სპორტული ფედერაცია, ზოგიერთი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის ჩატარებას გეგმავს. სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ გუშინ დაიწყო ჟურნალისტთა ტრადიციული გამოკითხვის ანკეტების შეგროვება - გამოვლინდება 2009 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი და გუნდი; თავის რჩეულებს დაასახელებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. ოთხ ნომინაციაში ღირსეულთა გამოვლენა გადაწყვიტა სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ. საუკეთესოთა დასახელებას ტრადიციულად საზეიმო ვითარებაში აპირებს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. სხვათა შორის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტთან ერთად რუსთაველის სახელობის თეატრში გეგმავს წლის შედეგების შეჯამებას და რჩეულთა საზეიმოდ დაჯილდოებას.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ ყოველწლიური ჟურნალი „სპორტი და ახალგაზრდობა“, რომელიც ტრადიციულად თავს უყრის წლის მონაგარს, უკვე სტამბაშია და, როგორც გვითხრეს, ამ კვირაშივე უნდა მოესწროს.

გუშინ დილით ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოშიც“ შევიარეთ. ვერ გეტყვით, რომ საზეიმო განწყობა დაგვხვდა. კლუბმა არ უნდა უღალატოს აღებულ კურსს. განსაკუთრებით ვეტერანებზე ზრუნვაში, არადა, პრობლემები თავზე საყრელი გასჩენიათ. კლუბის ხელმძღვანელთა გეგმებსა და საწუხარზე ახლო მომავალში „ლელო“ ვრცლად მოგითხრობთ.

სპორტის აკადემიასთან ისე ვერ ჩაივლი, ვინმე იქაური რომ არ შეგხვდეს. ასე იყო გუშინაც. პირველი შემხვედრისგანვე შევიტყვეთ, რომ სასამართლო პროცესი, რომელსაც აკადემიის გაუქმების კანონიერებაზე სარჩელი უნდა განეხილა, მოსამართლის შეცვლის საბაბით, ერთი თვით გადადებულა.

და კიდევ, გუშინ სპორტის დეპარტამენტში ფედერაციების წარმომადგენლები ერთსა და იმავე შეკითხვას იძლეოდნენ: სად და როგორ შეიძლება „ლელოზე“ ხელმოწერის გაფორმება 2009 წლისთვის? გადავწყვიტეთ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში სპეციალური საცნობარო ინფორმაცია გამოვაქვეყნოთ...

თენგიზ თომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონის ზედიზედ 18



მორიგმა გამარჯვებამ „ბოსტონ სელტიქსს" ბოლო 40 წლის განმავლობაში, ლიგის ისტორიაში საუკეთესო სტარტი გაამეორებინა. სიმბოლურია, რომ „ნიუ იორკ ნიქსის" უპრობლემოდ დამარცხებით, მოქმედმა ჩემპიონმა სწორედ ნიუიორკელთა რეკორდი გაიმეორა, რომელიც 1969-70 წლების სეზონით თარიღდება. „ბოსტონს" 28 მატჩში 26 მოგება აქვს. გარდა ამისა, **დოკ რივერსის** ბიჭებმა ზედიზედ 18 მოგებით საკლუბო რეკორდი გაიმეორეს. „სელტიქსის" შეჩერებას შობის ღამეს **კობი ბრაიანტი** და მისი „ლეიკერსი" შეეცდებიან.

ბოსტონელებმა ამ სეზონის მსვლელობისას არა ერთხელ დაამტკიცეს, რომ დაცვა მათი ერთადერთი კოზირი არ არის. ამჯერად, „კელტები" შეტევაშიც შეუდარებლები იყვნენ, ხოლო **რაჯონ რონდომ**, რომელიც აქამდე ბევრ „შავ" სამუშაოს ასრულებდა, კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - მან 26 ქულა დააგროვა და ამას 5 შედეგიანი პასი დაუმატა.

**მაიკ დ'ენტონის** „ნიუ იორკმა" კი გუშინ ისე ითამაშა, რომ კიდევ ერთხელ დავინახეთ - „ნიქსის" მთავარ მწვრთნელს ჯერაც ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი თავისი გუნდის კლასის ასამაღლებლად. სტუმართა სნაიპერებმა ბევრი „ფუჭი გასროლა" განახორციელეს, „ბოსტონმა" კი პირველივე წუთებიდან დაიწყო მეტოქის რბევა და ქვა ქვაზე არ დატოვა დ'ენტონის გუნდისგან.

### ტურის გმირი: ჯეისონ ტერი

„დალასის" მცველმა ამჯერადაც სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო შეხვედრა და ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა „ვაშინგტონ უიზარდსთან" გასვლაზე გამარჯვებაში. ტერის 25 ქულის დიდი ნაწილი მეორე ტაიმზე მოდის და სწორედ ამ აქტიურობამ მისცა ტეხასელებს შეხვედრის ბედის თავის სასარგებლოდ შემოტრიალების საშუალება. უნდა აღინიშნოს **ჯეისონ კიდის** თამაში, რომელიც შედეგიანობით გამორჩეული არ ყოფილა, მაგრამ ზუსტი პასები ბლომად ჩამოარიგა.

„უიზარდსმა" სეზონის სტარტზე 25 მატჩიდან 21 წააგო, რითაც თავისი 42 წლის წინანდელი ანტირეკორდი გაიმეორა. მაშინ ეს გუნდი ქალაქ ბალტიმორში იყო დაბანაკებული.

### ტურის ანტიგმირი: მაიკლ კარი

„დეტროიტ პისტონზის" მწვრთნელი არჩეულ კურსს არ უხვევს და ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში სასტარტოში „მსუბუქ" ხუთეულს ათამაშებს - სამი მცველი და ორი ფორვარდი. ჯერჯერობით კარის ექსპერიმენტი არ ამართლებს - გუნდმა სამი მატჩი წააგო, ხოლო სამი ულიმღამო მოგება ლიგის აუტსაიდერებთან მოიპოვა.

კარი ვერაფერს უპირისპირებს მეტოქეთა პოზიციურ შეტევას. ეს „ატლანტასთან" გუშინდელმა წაგებამაც დაამტკიცა. „ჰოქსმა" თავიდანვე შეძლო თამაშის ტემპის დაგდება და დაცვასა და შეტევაში დაბალანსებული თამაშით მიაღწია წარმატებას. მაიკლ კარიმ ამ ყველაფრის წინააღმდეგ წონადი არგუმენტები ვერ მონახა და საფინალო სირენამდე სტარტზე არჩეული ტაქტიკის ერთგული დარჩა.

### ტურის რიცხვი: 6

აქაც „დეტროიტ პისტონზის" შესახებ გვიწევს საუბარი. ამ გუნდს კვირას გამართულ შეხვედრებში კვლავინდებურად არ უმართლებს. „პისტონზმა" წელს მეექვსედ ითამაშა კვირის ბოლო დღეს და მეექვსე მარცხი განიცადა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ატლანტა" ყოველთვის სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა „დეტროიტთან" საშინაო მატჩებში: ამ ტურამდე გამართულ 16 მატჩში, „დეტროიტმა" „ჰოქსის" მოედანზე 12 შეხვედრის მოგება შეძლო.

მაიკლ კარის შეგირდები 4 იანვარს, ისევ კვირა დღეს, ლოს ანჯელესში შეეცდება ამ უცნაური და უსიამოვნო ტრადიციის შეწყვეტას. იმ ტურში „პისტონზის" მეტოქე „კლიპერსი" იქნება.

### ტურის ფრაზა

*„რა თქმა უნდა, აღმოსავლეთი დასავლეთზე ძლიერია, არადა, ბევრი სპეციალისტი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მე ეს მაშინაც ვიცოდი, როცა „დენვერში" ვთამაშობდი, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. „ჰოქსი" მაღალი დონის კალათბურთელებით დაკომპლექტებული შესანიშნავი გუნდია"*, - ასეთი ახსნა მოუძებნა თავისი გუნდის წაგებას „დეტროიტის" გამთამაშებელმა **ალენ აივერსონმა.**

**ოქლაჰომა-კლივლენდი 91:102**

25:27, 22:26, 25:29, 19:20

ო: დურანტი (26), უესტბრუკი (24+11 პასი), დ. გრინი (16+10 მოხსნა), კოლისონი (10).

კ: ლ. ჯეიმსი (31+7 პასი+3 ჩაჭრა), მ. უილიამსი (20+3 ჩაჭრა), დ. უესტი (18).

**ატლანტა-დეტროიტი 85:78**

22:25, 30:16, 17:22, 16:15

ა: ბიბი (27+3 ჩაჭრა), ჯონსონი (19+7 პასი), ჰორფორდი (11+11 მოხსნა), სმიტი (11+8 მოხსნა), მ. უილიამსი (9+10 მოხსნა).

დ: სტაკი (20+9 მოხსნა), რ. უოლასი (20), ჰემილტონი (16), აივერსონი (10+6 პასი).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 124:105**

40:21, 26:37, 32:29, 26:18

ბ: რონდო (26), რ. ალენი (18+3 ჩაჭრა), პირსი (17), პერკინსი (12+12 მოხსნა+4 დაფარება), გარნეტი (12+8 პასი), ტ. ალენი (11), პოუ (10).

ნ-ი: რიჩარდსონი (29), რობინსონი (23), დუჰონი (20+10 პასი), დ. ლი (17+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰარინგტონი (10).

**ვაშინგტონი-დალასი 86:97**

21:22, 23:20, 24:28, 18:27

ვ: ჯეიმისონი (22+8 მოხსნა), კ. ბატლერი (18), მ. ჯეიმსი (17+8 მოხსნა), სონგაილა (10).

დ: ტერი (25), ნოვიცკი (23+9 მოხსნა), ჰოვარდი (17), ჯორჯი (10), სინგლტონი (8+13 მოხსნა+3 დაფარება), დემპიე (6+12 მოხსნა), კიდი (1+11 პასი+3 ჩაჭრა).

კრივი

# მეივეზერს დაბრუნება მოუნდა

ხუთ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ფლოიდ მეივეზერმა**, რომელმაც ამა წლის ივნისში დაასრულა პროფესიული კარიერა, თავის აგენტ **ლეონარდ ელერბეს** რინგზე დაბრუნების ვარიანტების მოძებნა დაავალა, - ამის შესახებ ESPN.com იუწყება

მეივეზერი კარიერის განახლებაზე **ოსკარ დე ლა ჰოიასა** და **მენი პაკიაოს** ბრძოლის შემდეგ დაფიქრდა. ამერიკელი რინგზე იმ შემთხვევაში გავა, თუ მას სერიოზულ მეტოქესთან მოუწევს ბრძოლა. სავარაუდოდ, ეს ბრიტანელი **რიკი ჰატონი** ან ფილიპინელი მენი პაკიაო იქნება.

*„ფლოიდი, შესაძლოა, რიკი ჰატონსა და მენი პაკიაოს შორის გამარჯვებულს შეხვდეს. მეივეზერმა ორივე მოკრივის ბრძოლა იხილა და ჰატონის მოქმედებით ძალიან მოიხიბლა. ჩემი კლიენტი მიიჩნევს, რომ მამამისის, მეივეზერ-უფროსის ხელმძღვანელობით რიკიმ შესამჩნევად აიმაღლა კლასი. ფლოიდი პაკიაოსაც კარგ მოკრივედ მიიჩნევს, მაგრამ ერთხელ მითხრა, რომ მენის იოლად გაუსწორდება რინგზე"*, - განაცხადა ლეონარდ ელერბემ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



სხვადასხვა

ჰოკეი

## ტეემუ თვენახევარს გამოტოვებს

რეგულარული ჩემპიონატის ეკვატორზე „ანაჰაიმ დაქსმა" სერიოზული დანაკლისი განიცადა. „ედმონტონ ოილერზთან" მატჩში ტრავმა მიიღო კლუბის წამყვანმა ფორვარდმა **ტეემუ სელიანემ**. როგორც გაირკვა, ფინელი ვეტერანი ოთხიდან ექვს კვირამდე ვერ შეძლებს თამაშს.

სელიანემ გუშინ, ლოს ანჯელესში გაიარა სამედიცინო შემოწმება და ექიმებმა მარცხენა ბარძაყის სერიოზული დაზიანება დააფიქსირეს.

შეგახსენებთ, რომ „ოილერზთან" მატჩის პირველ პერიოდში, ტეემუ სელიანე მეტოქე მცველ **დენის გრებეშკოვს** შეეჯახა. ფინელმა მხოლოდ პარტნიორების დახმარებით შეძლო მოედნის დატოვება და თამაში აღარ გაუგრძელებია.

ამ სეზონში სელიანემ 33 მატჩში მოასწრო მონაწილეობის მიღება. ფინელის ანგარიშზე 14 გოლი და 13 შედეგიანი პასი მოდის.

ფორმულა 1

## ტრული ტოიოტას დატოვებს?

იაპონური პრესა „ტოიოტას" შემადგენლობაში მოსალოდნელი ცვლილების შესახებ იუწყება. ჭორების თანახმად, კომპანია ახალგაზრდა პილოტების მხარდაჭერის ფინანსური პროგრამის სერიოზულად შემცირებას აპირებს. გარდა ამისა, იაპონურ საჯინიბოს იტალიელი პილოტის **იარნო ტრულის** გაშვება აქვს განზრახული.

ტრულის მომდევნო სეზონისთვის აქვს გაფორმებული კონტრაქტი, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებები, შესაძლოა, საკონტრაქტო ვალდებულებებზე უფრო მაღლა დადგეს.

ჟურნალისტების ვარაუდით, „ტოიოტა" ტრულის ნაცვლად GP2-ის პილოტ **კამუი კობაიასის** მიიწვევს. გუნდს იაპონელ პილოტთან კონტრაქტი უფრო იაფი დაუჯდება.

## ბრიატორე კენიელ ფეხბურთელებს ეხმარება

„რენოს" შეფი **ფლავიო ბრიატორე** სა[illegible]ბაო არდადეგებს კენიაში, კუთვნილ კურორტზე ატარებს. იტალიელმა სპეციალისტმა ერთ-ერთ ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს ეკიპირებით გაუწია დახმარება.

*„დავინახე, რომ მათ ბუცებიც კი არ ჰქონდათ და დახმარებას დავპირდი. უფრო მეტიც, უკვე გზაშია დიდი კონტეინერი, რომელიც სკოლებისთვის და ინსტიტუტებისთვის განკუთვნილი სპორტული ამუნიციით არის დატვირთული"*, - ამბობს ბრიატორე.

ცნობილია, რომ იტალიელი ინგლისური კლუბის „ქუინზ პარკ რეინჯერსის" თანამფლობელია და ის აპირებს პარტნიორული თანამშრომლობა დაამყაროს ერთ-ერთი კენიურ კლუბთან.

კალათბურთი

## გუდენი 10 დღით დაისვენებს

„ჩიკაგო ბულზის" ფორვარდი **დრიუ გუდენი** ფეხის კუნთის დაჭიმვის გამო 7-10 დღეს გამოტოვებს. კალათბურთელმა ტრავმა შაბათს, „ბოსტონთან" მატჩში მიიღო.

სხვათა შორის, გუდენს ანალოგიური ტრავმა სეზონის დასაწყისშიც ჰქონდა და ამის გამო ორი მატჩი გამოტოვა. მიმდინარე სეზონში თავდამსხმელმა 24 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 12.7 ქულა და 8.8 მოხსნა დააგროვა.

## დევისი ავარიაში მოჰყვა

„ნიუ იორკ ნიქსთან" მატჩის წინ, საავტომობილო ავარიაში ტრავმა მიიღო „ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდმა **გლენ დევისმა**. კალათბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მასაჩუსეტსის შტატში რამდენიმე დღეა გადაუღებლივ თოვს და ავარიაც ამით არის გამოწვეული.

დევისი კლინიკაში „ბოსტონის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტმა **დენი ეინჯმა** მოინახულა, რომელმაც განაცხადა, რომ დევისის მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ ის უახლოეს პერიოდში ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. უფრო მეტიც, ეინჯმა ისიც გამოაცხადა, რომ ფორვარდი, შესაძლოა, გუნდიდან დაითხოვონ.

ამ სეზონში დევისმა 27 მატჩში მიიღო მონაწილეობა და მისი სტატისტიკური მონაგარი 3.6 ქულასა და 3.0 მოხსნას შეადგენს.

## ელიაჰუ დეკემბრის რჩეულია

ევროლიგის ხელმძღვანელობამ დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ თელ-ავივის „მაკაბის" ფორვარდი **ლიორ ელიაჰუ** დაასახელა. ისრაელის ჩემპიონმა დეკემბერში ხორვატიის „ციბონას", იტალიის „აველინოსა" და საფრანგეთის „ლე მანს" მოუგო და ელიაჰუმ სამივე შეხვედრაში ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო.

თვის საუკეთესო მოთამაშის გამოვლენისას, ითვალისწინებენ არამარტო კალათბურთელის ინდივიდუალურ სტატისტიკას, არამედ მის წვლილს გუნდის წარმატებაში. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღეს ის ფაქტი, რომ რთულ სატურნირო სიტუაციაში მყოფი „მაკაბი", ამ სამი მოგებით მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ჰოკეი

## კროსბიმ იაგრს გაუსწრო

„პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** ლეგენდარული ჩეხის **იარომირ იაგრის** რეკორდი დაამხო.

„ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო შემადგენლობების გამოსავლენად ხმის მიცემის პროცედურის დამთავრებამდე 13 დღეა დარჩენილი, სიდნი კროსბიმ კი უკვე მიიღო 1 020 736 ხმა, რითაც იაგრის მიერ 2000 წელს დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა.

ჩოგბურთი

## როდრიგესმა ახალი შეგირდი აიყვანა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** მწვრთნელი **კარლოს როდრიგესი** სხვა ბელგიელ ჩოგბურთელთან აპირებს თანამშრომლობას.

მომავალი სეზონიდან ცნობილი სპეციალისტი 19 წლის **იანინა ვიკმაიერს** გაწვრთნის. ამ მომენტისთვის ახალგაზრდა ჩოგბურთელი ქვეყნის პირველი ნომერია და ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში 73-ე ადგილს იკავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1 — ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან



# რენო მხოლოდ ჩემპიონობაზე ფიქრობს

„რენოს" პილოტმა ფერნანდო ალონსომ ესპანურ გაზეთ AS-ს ინტერვიუ მისცა, სადაც ახალი სეზონისთვის მზადებაზე ისაუბრა. გასული სეზონის ბოლოს მოგებული ორი ეტაპის შემდეგ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისა და მისი გუნდის ფავორიტობის საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში. აშკარაა, რომ ფრანგული გუნდი პროგრესის გზას ადგას და ის მომავალ სეზონში სერიოზულ კონკურენციას გაუწევს „ფერარისა" და „მაკლარენს". მით უმეტეს, რომ ახალი წესების თანახმად, ბოლიდების სიმძლავრეებსა და აეროდინამიკურ მახასიათებლებს შორის სხვაობა მინიმუმამდე დავიდა.

ამ ყველაფრის შესახებ საინტერესოა ესპანელი პილოტის აზრი.

**- რა მიზანს ისახავს მომავალ სეზონში ფლავიო ბრიატორეს გუნდი? როგორი იქნება ახალი ბოლიდის - R29-ის შესაძლებლობები?**

- ახალი სეზონის დაწყებასა და ახალ ბოლიდს მოუთმენლად ველით. ფლავიო მომავალ წელს მხოლოდ პირველ ადგილზე ფიქრობს. თუმცა ის ორი წლის წინაც ფიქრობდა ჩემპიონობაზე, მაგრამ მანქანა არ ვარგოდა. ვერც 2008 წელს შევძელით ტიტულისთვის ბრძოლა. ასე რომ, არ ვიცი, კარგი ნიშანია თუ არა ის, რომ ბრიატორეს ისევ სურს პირველი ადგილის დაკავება (იცინის). მაგრამ ფლავიო უნიკალური ადამიანია. მას შეუძლია მხარში ამოდგომა, გამხნევება. თუმცა ხანდახან, მისი გეგმები რეალობასთან თანხვედრაში ვერ მოდის.

**- 2008 წლის სეზონის დასაწყისში „რენოს" ბოლიდი სარეისო ავტობუსის სიჩქარით დადიოდა, მაგრამ სეზონი სულ სხვა ტემპში დაასრულა. რატომ არიან დარწმუნებულნი „რენოში", რომ 2009 წლის დასაწყისში მანქანა თავიდანვე სწრაფი იქნება?**

- ამის თქმის საშუალებას ახალი წესები გვაძლევს. ყველა გუნდი ფაქტობრივად ნულიდან იწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას. ყველას პირველად ექნება საქმე ასეთ აეროდინამიკასთან და ბევრ რამეში ბოლიდები ძალიან დაემგვანებიან ერთმანეთს. KERS-ის სისტემა სერიოზულად არ იმოქმედებს ძალთა თანაფარდობაზე, რადგან რამდენიმე გუნდი, მათ შორის ჩვენც, ერთი მწარმოებლის სისტემას მიიღებს. რაც შეეხება ძრავას, აქაც მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში ვიქნებით. მოკლედ, „ფერარი" და „მაკლარენი" ველარ გამოიყენებენ იმ უპირატესობას, რომელიც გასულ სეზონებში დაგროვდა. ეს ჩვენ მეტ დამაჯერებლობას გვმატებს. რა თქმა უნდა, წინასწარ ყველაფერს ვერ განვსაზღვრავთ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ტიტულისთვის ბრძოლა შეგვეძლება.

**- ე. ი. თქვენს გუნდში მშვიდად უყურებენ KERS-ის გამოჩენას?**

- გავიმეორებ, რომ ეს არც ისე მნიშვნელოვანი ფაქტორია. „ტოიოტა" საერთოდ ამ სისტემის გარეშე აპირებს ფონს გასვლას. ასე რომ, ამ მხრივ განსაკუთრებით არ ვნეირვიულობ, ჩვენს ინჟინრებში დარწმუნებული ვარ: მათ თავიანთი საქმე კარგად იციან. KERS-ის სისტემა კარგად მოერგო R29-ის კონცეფციას და მისი გამოცდისას არანაირი პრობლემა არ შექმნილა. KERS-ის ასეთივე ვერსია აქვს კიდევ ოთხ გუნდს. ზოგიერთი საჯინიბო ამ სისტემას ძველ ბოლიდებზე ცდიდა და ამას სიჩქარე განსაკუთრებით არ აუმაღლებია.

**- მომავალ სეზონში რა მიზნებს ისახავთ?**

- უფრო ძლიერები უნდა ვიყოთ, რათა არ განმეორდეს 2008 წლის სეზონის პირველი ნახევრის შედეგები. გასაგებია, რომ ორი საჩემპიონო ტიტულისა და წლევანდელი სეზონის წარმატებული მეორე ნახევრის შემდეგ, უბრალოდ უფლება არ გვაქვს ჩემპიონობაზე არ განვაცხადოთ პრეტენზია. გუნდთან ერთად გამარჯვებას ვაპირებ - „რენოს" სხვა მიზანი არც შეიძლება ჰქონდეს. მოკლედ, ჩვენს გუნდს გეგმები ჩამოყალიბებული აქვს.

**- ფლავიო ბრიატორემ განაცხადა, რომ „რენოში" დარჩებით იმის მიუხედავად, თუ რა შედეგებს აჩვენებთ 2009 წლის სეზონში. ეს სიმართლეა?**

- არა. ახალ სეზონს ისე ვიწყებ, რომ არ ვფიქრობ 2010 წელზე. შევეცდები, გაისად მსოფლიოს ჩემპიონობა მოვიპოვო. გასულ წელს, საქმეები არც ისე კარგად მიდიოდა, მაგრამ „რენოდან" წასვლის სურვილი და მიზეზი არ მქონია. გუნდი ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო. „რენოში" თავს კომფორტულად ვგრძნობ. მომწონს აქაურ ინჟინრებთან მუშაობა.

**- რას ფიქრობთ მედლების სისტემის შესახებ, რომელსაც ბერნი ექლსტოუნი გვთავაზობს? ის ტრასაზე გასწრებათა რაოდენობის გაზრდას შეუწყობს ხელს?**

- არ ვეთანხმები, მაგრამ ეს სისტემა ხომ ყველა გუნდისთვის ერთი იქნება - ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემპიონი მაინც უნდა გამოვლინდეს. სხვა საქმეა, რომ ასეთი სისტემა ბოლომდე სამართლიანი არ არის, რადგან ის ფაქტობრივად შანსს არ უტოვებს სტაბილურ პილოტებს. ჩემპიონი ხდები იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე მეტ ოქროს მედალს მიიღებ. თუ ეს სისტემა მაინც მიიღეს, ისღა დაგვრჩენია ყველა რბოლაში მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქროთ. შესაძლოა, გასწრებების რიცხვმაც მოიმატოს, მაგრამ ფორმულა 1-ში გასწრება არც ისე იოლია: აქ უდიდესი კონკურენციაა და თუ წინ მიმავალი კონკურენტი შეცდომას არ დაუშვებს, მისი გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

**- ალბათ, მოუთმენლად ელით ახალი ბოლიდის საჭესთან დაჯდომას?**

- არა, მშვიდად ვარ. ვიცი, რომ ახალი სეზონი საკმაოდ გვიან, მარტის ბოლოს იწყება. ახალ მანქანას 20 იანვარს წარმოვადგენთ და მას არაფერი ექნება საერთო ბოლიდის ავსტრალიურ ვარიანტთან.

**- რამდენად ეთანხმებით ფორმულა 1-ის რეგლამენტში შეტანილ ცვლილებებს?**

- ბოლომდე არ მესმის ამ ცვლილებების არსი. ძრავების სიმძლავრის შემცირება, აეროდინამიკურ სფეროში მუშაობის შეზღუდვა და სხვა ბარიერები ფორმულა 1-ს რამდენიმე წლით უკან დახევს. არადა, მიმაჩნია, რომ ფორმულა 1 - ავტოსპორტის მწვერვალი უნდა იყოს.

**- ალბათ, არც სტანდარტული ძრავების შემოღების იდეა გხიბლავთ?**

- ეს იქნება ბოლო წვეთი, რომელიც ჩემი მოთმინების ფიალას აავსებს.

**- შეიძლება ფორმულა 1-ის დატოვების გადაწყვეტილებაც მიიღოთ?**

- ყოველ შემთხვევაში, დავფიქრდები ამაზე. მაგრამ ამჯერად ამ გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეს. სტანდარტული ძრავები მხოლოდ იმ გუნდებს ექნებათ, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი ძრავების შექმნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ევერტონი-ჩელსი | 0:0 |

**იტალია**

**სერია C1/A**

| | |
|---|---|
| ნოვარა-კრემონეზე | 1:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სტრასბური-ბულონი | 1:0 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-ნასიონალი | 0:0 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კასტორია-დიაგორასი | 1:5 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მანიშა-ორდუ | 3:1 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ომონია-ენოსისი | 7:1 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (ჰ)-ბეითარი | 0:0 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ალბა-ტიუბინგენი | 84:67 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ბარისი | 2:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ფრედერიქსჰავნი | 6:0 |
| ოდენსე-ესბერგი | 4:2 |
| სენდერიისკი-ნორდსილანდი | 5:0 |
| ტოტემპო-ოლბორგი | 3:1 |
| ჰერლევი-ჰერნინგი | 2:5 |

## TV სპორტი

**23 დეკემბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. გრენობლი-ლე მანი.
**09:05** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:05** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:10** არგენტინის ჩემპიონატი. პლეიოფი. სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
**15:10** მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. მე-3 ადგილისთვის. პაჩუკა (მექსიკა)-გამბა ოსაკა (იაპონია). ტოკიო. იაპონია.
**17:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:20** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:20** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**20:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:15** მსოფლიოს ჩემპიონატის კლუბებს შორის. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)-ლიგა დე კიტო (ეკვადორი). ტოკიო. იაპონია.
**00:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
**01:15** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**02:15** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:15** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:55** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.
**11:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
**14:20** სინქრონული ცურვა. მსოფლიოს ტროფი. II დღე. მადრიდი. ესპანეთი (LIVE).
**15:30** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ბრატისლავა. სლოვაკეთი.
**17:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**17:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ატლეტიკო.
**19:10** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**19:40** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**20:05** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
**21:50** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**22:00** წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:25** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:20** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ტორონტო.
**01:10** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**01:45** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**01:50** ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ტურნირი. ჰოლანდია-იტალია.
**03:35** სპორტის სამყარო.
**04:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ვაშინგტონი (LIVE).
**06:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
**07:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

**11:30** ექსტრემალური სპორტი.
**12:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**12:30** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**14:00** ფეხბურთი. მილანი. იტალია.
**15:00** პეკინი 2008. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია.
**16:00** ოლიმპიური დღიური. ტელეჟურნალი.
**16:30** მულტისპორტი.
**17:00** პეკინი 2008. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დახურვის ცერემონია.
**17:30** პეკინი 2008. სპორტული ტანვარჯიში. საჩვენებელი გამოსვლები.
**18:30** სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. ფინალი. მადრიდი. ესპანეთი.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. რაული.
**21:00** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
**22:00** მულტისპორტი.
**00:00** პროფესიული კრივი.
**02:00** პოკერი. ვენა. ავსტრია.
**03:00** რალი. IRC-ის სერია. სეზონის მიმოხილვა.
**03:30** ფორმულა 1. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** ექსტრემალური სპორტი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:15** უნივერსიადა 2008. ტელეჟურნალი.
**14:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ტურნირი. ავსტრია.
**15:30** ახალი ამბები.
**17:00** სერფინგი. პორტუგალია.
**18:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი სუპერმოტოს კლასში. სეზონის მიმოხილვა.
**19:00** უნივერსიადა 2008. ტელეჟურნალი.
**19:15** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** მულტისპორტი.
**20:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა. საუკეთესო მომენტები.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ტურნირი. ავსტრია.
**22:30** მულტისპორტი.
**23:00** ახალი ამბები.
**23:30** არმრესტლინგი.
**00:00** გოლფი. ევროპის ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი.
**00:30** პეინტბოლი.
**01:00** ფეხბურთი. მილანი. იტალია.
**02:30** მულტისპორტი.
**03:00** ახალი ამბები.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 3:2 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ელიაში-16 (პარიზე-22, ზაიაცი-14), 2:0 როლსტონი-3 (კლარკსონი-6, ჰოლიკი-2), 2:1 ჯ. კარტერი-25 (ლუპული-11, ტიმონენი-20), 2:2 ლუპული-12 (ჯ. კარტერი-14, ჰარტნელი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. რიჩარდსი (ფილადელფია), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი), ზაიაცი (ნიუ ჯერსი).

**ფლორიდა-კოლორადო 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 მაკლინი-1 (ტარნავსკი-2, კრეპსი-6), 2:0 ზედნიკი-4 (სკრასტინსი-5, გ. კემპბელი-8), 3:0 მაკეიბი-5 (ჰორტონი-8, უეისი-12).

**სენტ ლუისი-ბოსტონი 3:6**

2:3, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 უელერი-10 (კრეისი-22, რაიდერი-12), 0:2 უელერი-11 (კრეისი-23, ხარა-12), 1:2 ვინჩესტერი-4 (ვოივიტკა-6, პოლაკი-6), 2:2 მაკლემანი-3 (ვივერი-2), 2:3 ჰნიდი-2 (კრეისი-24, კესელი-15), 3:3 ი. შჩასტნი-2 (ტკაჩუკი-12, სტრაჩანი-1), 3:4 რაიდერი-12 (აქსელსონი-11, ხარა-13), 3:5 სავარი-11 (კესელი-16, ლუჩიჩი-14), 3:6 სობოტკა-1 (სენტ პიერი-1).

**მონრეალი-კაროლინა 2:3 (ო)**

0:1, 1:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სამსონოვი-5 (ე. სტაალი-10, ტ. რუუტუ-10), 1:1 დ'აგოსტინი-6 (ტანგეი-15, ჰამრლიკი8), 1:2 ე. სტაალი-14 (სამსონოვი-11, რეი უიტნი-16), 2:2 ლანგი-11 (ბრისბუა-4, ტანგეი-16), 2:3 ტ. რუუტუ-11 (ე. სტაალი-11, კორვო-10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# კონკია ოსიეკიდან




დოსიე

## ელენა დოკიჩი

დაიბადა 1983 წლის 12 აპრილს ოსიეკში (იუგოსლავია)
ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე - 175 სმ, წონა - 60 კგ.
1998 წლიდან პროფესიულ ტურშია
საუკეთესო პოზიცია რეიტინგში - 4 (19 აგვისტო, 2002)
ტიტულების რაოდენობა - 5
მოგება/წაგება - 271/166
ჰონორარები კარიერაში - $3 790 434

ყოველ წელს, ავსტრალიის ღია პირველობის წინ, **ელენა დოკიჩი** ყველა იმ ჟურნალისტს ახსენდება, ვინც სეზონის პირველი „დიდი სლემის" ტურნირის გაშუქებაზე მუშაობს. შემდეგ რა ხდება? განსაკუთრებული არაფერი. ჩოგბურთელი ან საერთოდ ვერ ხვდება ავსტრალიის ღიაზე, ან პირველივე რაუნდში აგებს და სამარცხვინოდ ასრულებს საშინაო გასტროლებს.

სერბული წარმოშობის ავსტრალიელი არა მარტო კორტზე თავისი გმირობებით, არამედ ათასგვარი სკანდალით არის ცნობილი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასმედიის ყურადღებას იპყრობდა.

ხორვატულ ქალაქ ოსიეკში დაბადებული ელენა **დამირა** და **ლილიან დოკიჩების** ოჯახის უფროსი შვილი იყო. 1991 წელს ხორვატიაში დაწყებული ომის გამო, დოკიჩების ოჯახი იძულებული გახდა სერბეთის ქალაქ სომბორში გადაბარგებულიყო, სამი წლის შემდეგ კი საერთოდ ავსტრალიაში გადავიდა და სიდნეის გარეუბან ფერფილდში დაფუძნდა.

15 წლის ასაკში გაავსტრალიელებულმა დოკიჩმა იუნიორთა შორის ამერიკის ღია პირველობა მოიგო, თანაც არა მარტო ერთეულებში, არამედ წყვილებში ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან** ერთად. გასაკვირი არ არის, რომ 1998 წლის შედეგების მიხედვით, ელენა დოკიჩი ITF-ის რეიტინგის მიხედვით იუნიორთა შორის პირველი ნომერი გახდა.

ნიჭიერი გოგონა მაშინვე შეამჩნიეს და მომავალი წლის დასაწყისში, **მარკ ფილიპუსისთან** ერთად ჰოფმანის თასზე (შერეულ წყვილებში მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი) სათამაშოდ გაუშვეს. ელენამ ოთხიდან სამი ერთეულთა შეხვედრა მოიგო და უდიდესი წვლილი შეიტანა ავსტრალიის ნაკრების გაჩემპიონებაში. მადლობის ნიშნად, ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა დოკიჩს უაილდქარდი მისცეს და ქალთა ტურნირის ძირითად ბადეში ჩასვეს. ელენა ღირსეულად გამოვიდა: ორი მატჩი მოიგო, მესამეში კი მსოფლიოს პირველ ჩოგან **მარტინა ჰინგისთან** დამარცხდა.

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ წელიწად ნახევრის შემდეგ, დოკიჩი ამ წაგებისთვის სასტიკად იძიებდა შურს. უიმბლდონის პირველ წრეში ძალისმიერი და შემტევი ჩოგბურთით, ავსტრალიელმა კორტზე წალეკა ჰინგისი და მას მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი გეიმის ალების საშუალება მისცა. ეს იყო ქალთა რეიტინგის ლიდერის ერთ-ერთი ყველაზე დამამცირებელი მარცხი ჩოგბურთის ისტორიაში. კლასიფიკაციის 129-ე ნომერს უკვე ამ მოგებით შეეძლო შესრულებულად ჩაეთვალა თავისი მისია, მაგრამ თავად დოკიჩი ასე არ ფიქრობდა და სატურნირო ბადეში წინ მიიწევდა. როცა ნახევარფინალამდე ერთი ნაბიჯილა რჩებოდა, მან მოულოდნელად კვალიფიკაციიდან გასულ კიდევ ერთ ჩოგბურთელთან, ამერიკელ **ალექსანდრა სტივენსონთან** წააგო. მაგრამ მთავარი საქმე გაკეთებული იყო: ავსტრალიელი საჩოგბურთო ელიტის წევრი გახდა და როგორც ჩანს, იქ დიდხანს დარჩენას აპირებდა.

მომდევნო ორმა წელმა ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა. თუმცა 2000 წელი ავსტრალიის ღია პირველობაზე მოულოდნელი მარცხით დაიწყო: ელენამ პირველივე წრეში ყველასთვის უცნობ უნგრელ **რიტა კუტი-კიშთან** წააგო. მაყურებელს ეს შეხვედრა მალე დაავიწყდებოდა, რომ არა ერთი ფაქტი: მატჩის შემდეგ დოკიჩმა განაცხადა, რომ წააგო მეტოქესთან, რომელიც სერიოზული მოთამაშე არასოდეს ყოფილა და ვერც ვერასოდეს გახდებოდა ასეთი. პრესას ახალგაზრდა ჩოგბურთელის ასეთი თავხედობა უყურადღებოდ არ დარჩენია და ჟურნალისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს დოკიჩი.

მაგრამ ეს პატარა სკანდალი მალე ყველამ დაივიწყა. ავსტრალიელმა უიმბლდონზე ისევ გაიბრწყინა და ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც მისი ტრიუმფალური სვლა ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** შეაჩერა. რაც შეეხება ამერიკის ღია პირველობას, აქ ელენამ უფრო ადრე შეწყვიტა ბრძოლა: დოკიჩს მესამე წრეში ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** გადაუღობა გზა. შემდეგ იყო სიდნეის ოლიმპიური თამაშები, სადაც ელენამ ყველა ღონე იხმარა პოდიუმზე ასასვლელად. მეოთხედფინალში **ამანდა კიოტცერის** დამარცხების შემდეგ ყველას ეგონა, რომ ელენა ამ ოცნებას აისრულებდა, მაგრამ **ელენა დემენტიევამ** (ნახევარფინალში) და **მონიკა სელეშმა** (მესამე ადგილისთვის მატჩში) ავსტრალიელი მედლის გარეშე დატოვეს.

2001 წლის დასაწყისში ქვეყნის ნომერ პირველი ჩოგბურთელი მორიგ სკანდალში გაეხვია და ეს კვლავ ავსტრალიის ღიაზე მოხდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მოულოდნელად ელენამ უარი თქვა ავსტრალიის მოქალაქეობაზე და იუგოსლავიის დროშის ქვეშ გამოსვლა გადაწყვიტა. მაგრამ მელბურნში მას დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია: მაყურებლების შეძახილებით გამხნევებულმა დავენპორტმა პირველ წრეში დაამარცხა დოკიჩი. ამის შემდეგ, ჩოგბურთელის მამამ განაცხადა: *„ასეთი წილისყრის შემდეგ აქ არაფერი გვესაქმება. მომავალ კვირას ფლორიდაში მივემგზავრებით. ყველაფერს გავყიდი და ამ ქვეყნიდან წავალთ. უსიამოვნოა აქ დარჩენა"*. თუმცა იმ დროისთვის დოკიჩისა და მისი ოჯახის წევრების მსგავსი გამოხდომები ნორმად იყო ქცეული. ერთი წლით ადრე, ამერიკის ღია პირველობაზე ჩოგბურთელმა რომელიღაც კერძის ღირებულების გამო ატეხა სკანდალი. მანამდე ის ჟურნალისტთან ჩხუბისთვის უიმბლდონიდან გააგდეს. გასაკვირი არ არის, რომ ამის შემდეგ, მას მატჩების დროს ტრიბუნებზე გამოჩენა აუკრძალეს.

ასეთი სკანდალების მიუხედავად, დოკიჩი საჩოგბურთო მწვერვალისკენ სვლას აგრძელებდა. მან ზედიზედ სამი სეზონი WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში დაასრულა და გამოაცხადა, რომ ახლა მისი მიზანი რეიტინგის სამეულში შესვლა და „დიდი სლემის" ერთ-ერთი ტურნირის მოგება იყო.

დოკიჩის ბრწყინვალე კარიერა ერთი ხელის მოსმით 2003 წელს დაიმსხვრა. ჩოგბურთელმა საკუთარ მამასთან და მწვრთნელთან ურთიერთობა გაწყვიტა და ამისთვის მილიონი დოლარიც კი გადაიხადა. ელენას თამაში თანდათანობით გაუარესდა - „დიდი სლემის" ტურნირებზე ის მესამე წრეს ვერ გასცდა, სეზონი კი უარყოფითი ბალანსით (29 მოგება/30 წაგება) დაასრულა.

მომდევნო ორი წელი საერთოდ ამოვარდა ჩოგბურთელის ცხოვრებიდან. 2004 წლის შუაში ის თავის მწვრთნელ **ბორნა ბიკიჩს** დაშორდა და ოჯახს დაუბრუნდა. მაგრამ მალევე მიატოვა ნათესავები, ავსტრალიაში დაბრუნდა და ისევ მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა. ელენამ გამოაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, როცა რამდენიმე წლის წინ მამას დაუჯერა.

ჩოგბურთში მეორედ დაბრუნების მცდელობა 2006 წლის ავსტრალიის ღიაზე ჰქონდა. ელენამ ორგანიზატორებისგან უაილქარდი მიიღო, მაგრამ პირველივე წრეში წააგო **ვირჯინ რაზანოსთან**. მატჩის სტატისტიკის მიხედვით, ელენამ იმ მატჩში 70 (!!!) უნებლიე შეცდომა დაუშვა. წლის ბოლოს, დოკიჩი რეიტინგში 80-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფმა ავსტრალიელმა კიდევ ერთხელ მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. ნოემბრის ბოლოს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაგრებში მყოფი დოკიჩი მოიტაცეს. დამირ დოკიჩმა ქალიშვილის გატაცებაში ძმები ბიკიჩები დაადანაშაულა, რომელთაგან ერთ-ერთი ელენას ყოფილი მწვრთნელი იყო, მეორე - ბოიფრენდი. მაგრამ რამდენიმე დღეში „მოტაცებულმა" დიდი ინტერვიუ მისცა ბელგრადის გაზეთ Sportski Zurnal-ს, სადაც გამოაცხადა, რომ ცნობა მისი მოტაცების შესახებ მამამისის გამოგონილი იყო. გარდა ამისა, ავსტრალიელმა განაცხადა, რომ მიუნხენში ცხოვრობს, ნიკი პილიჩის აკადემიაში ვარჯიშობს და დიდ ჩოგბურთში დასაბრუნებლად ემზადება.

მაგრამ დაბრუნებამდე საქმე არ მისულა. 2007 წლის დასაწყისში დოკიჩმა რამდენიმე ტურნირიდან გამოიტანა განაცხადი, შემდეგ მაჯის ტრავმა მიიღო და სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვა. წლის ბოლოს, ავსტრალიაში დაბრუნებულმა დოკიჩმა გულშემატკივრებს განუცხადა, რომ გააცნობიერა თავისი შეცდომები და შეეცდება მომავალ წელს გამოასწოროს მდგომარეობა. თუმცა ამ დაპირების ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა.

წელს, დოკიჩმა კიდევ ერთხელ სცადა დიდ ჩოგბურთში დაბრუნება. მართალია ავსტრალიის ღია პირველობის კვალიფიკაცია ვერ გაიარა, მაგრამ წარმატებით დაიწყო ITF-ის ტურნირებში თამაში. მაისის დასაწყისში, დოკიჩმა იტალიაში გამართულ დაბალბიუჯეტიან ტურნირებზე ზედიზედ 12 მატჩი მოიგო.

შემდეგ იყო სტრასბურგში, WTA-ის ტურნირის პირველ წრეში რუმინელ **ტიმეა ბაშჩინსკისთან** წაგება, თუმცა ავსტრალიელმა ვარჯიში გააგრძელა და ITF-ის კიდევ ერთი ტიტული მიითვალა. ოქტომბრის შუაში ელენამ ლინცის ტურნირის უაილდქარდი მიიღო, პირველ წრეში დაამარცხა **პეტრა მარტიჩი**, მაგრამ მეორეში ამერიკელ **ჯილ კრეიბასთან** დამარცხდა.

2009 წლის სეზონში გამოჩნდება, რამდენად ნაყოფიერი იყო დოკიჩის წლევანდელი მონდომება. 25 წლის ჩოგბურთელმა უკვე მოიპოვა ავსტრალიის ღია პირველობის უაილდქარდი. ამისთვის მას ავსტრალიაში გამართული მინი-ტურნირის მოგება დასჭირდა. ფინალში დოკიჩმა 16 წლის იუნიორი **მონიკა ვაინერტი** დაამარცხა - 6:7 (3), 7:5, 6:3. ეს ურთულესი მატჩი 2 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა. დოკიჩმა პირველ სეტში ზედიზედ სამი გეიმი წააგო, მაგრამ შემდეგ ნერვებს გაუმკლავდა და თამაშის დალაგებაც მოახერხა.

ავსტრალიის ღია პირველობამდე დოკიჩი ბრისბენისა და ჰობარტის საკვალიფიკაციო ტურნირებში მოსინჯავს ძალებს. დღეისთვის ავსტრალიელი კლასიფიკაციაში 178-ე ადგილს იკავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



გამოვიდა დეკემბრის ნომერი